

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი

# სისხლის სამართლის ჟურნალი

№1

ედვინება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს

ISSN 2587-4977

თბილისი  
2018

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტი

# სისხლის სამართლის ჟურნალი

№1

ედვინება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს

ISSN 2587-4977

თბილისი  
2018

**თსუ იურიდიული ფაკულტეტი**  
**სისხლის სამართლის მიმართულების**  
**პერიოდული გამოცემა**

სარედაქციო საბჭო:  
**მარინა მესხი**  
**მანია ივანიძე**  
**თამარ მახარაძელი**  
**თამარ მაჭანაძე**  
**მარიამ სურგულაძე**

კორექტორი **ნალი ელიზბარაშვილი**

ტექ. რედაქტორი **კახაბერ რუსიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **დავით კუტუბიძე**

© ავტორთა ჯგუფი, 2018

ISSN 2587-4977

გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47.

☎ 239-15-22; E-mail: meridiani777@gmail.com

# შინაარსი

ბაქარ შიოშვილი

პირობითი მსჯავრის გაუქმება და სასჯელის  
აღსრულება განზრახი დანაშაულის ჩადენისას ..... 4

როინ ხინთიბიძე

ნორმათა ინტერპრეტაცია სისხლის სამართალში –  
ბენვის ხიდი სიკეთესა და ბოროტებას შორის..... 25

მარიამ ბებიაშვილი

შინაპატიმრობა და მისი აღსრულება..... 45

რუსლან ბედიევი

სასჯელის მიზნები გაუფრთხილებლობით  
ჩადენილ დანაშაულში ..... 67

შორენა გვილავა

პრობაციის სამსახურის ამოცანები და მიზნები საზოგადოებისათვის  
სასარგებლო შრომის აღსრულების პროცესში ..... 94

ნინო შარმანაშვილი

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის  
წარმოშობა-განვითარების ისტორია ..... 124

მარიამ ხუროშვილი

შინაპატიმრობა, როგორც არასრულწლოვნის სასჯელის  
ერთ-ერთი სახე ..... 167

**ბაქარ შიოშვილი**  
სამართლის მაგისტრი

## **პირობითი მსჯავრის გაუქმება და სასჯელის აღსრულება განზრახი დანაშაულის ჩადენისას**

### **1. საკითხის აქტუალობა და მნიშვნელობა**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი განსაზღვრავს, რომ თუ პირობით მსჯავრდებულმა გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო გააუქმებს პირობით მსჯავრს და მსჯავრდებულს დაუნიშნავს სასჯელს კოდექსის 59-ე მუხლით გათვალისწინებული წესით. კანონის ამ დანაწესიდან, ერთი შეხედვით, ცალსახად გამომდინარეობს მოსამართლის ვალდებულება, გააუქმოს პირობითი მსჯავრი იმ შემთხვევაში, თუკი მსჯავრდებულმა არ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და ჩაიდინა განზრახი დანაშაული. თუმცა, ვინაიდან კანონში ზუსტად არ არის განერილი, რა იგულისხმება „გამოსაცდელი ვადის პერიოდში ჩადენილ დანაშაულად“, ამან სასამართლო პრაქტიკაში ერთგვარი გაუგებრობა გამოიწვია და შედეგად მოსამართლეთა მხრიდან კანონის არაერთგვაროვანი განმარტება მოჰყვა. საქმე ეხება იმ შემთხვევას, როცა მსჯავრდებული განზრახ დანაშაულს, მართალია, გამოსაცდელი ვადის პერიოდში ჩადის, მაგრამ ახალი დანაშაულისათვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის დროს უკვე გასულია წინა დანაშაულისათვის შეფარდებული პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადა. საკითხავია, ასეთ დროს მოსამართლემ მაინც უნდა გააუქმოს პირობითი მსჯავრი ხსენებული 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ უნდა მიიჩნიოს, რომ პირობითად

ჩათვლილი სასჯელი უკვე მოხდილია და აღარ არსებობს მისი „გაცოცხლების“ ვალდებულება?! აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ დრომდე ამ საკითხზე არ არსებობდა იურიდიული ლიტერატურა და პრაქტიკოს იურისტებს უწევდათ ზემოხსენებული ნორმის ინტერპრეტაცია, რა დროსაც მოსამართლეთა შორის წარმოიშვა გარკვეული ურთიერთინააღმდეგობები და არაერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში განვითარებულია სრულიად განსხვავებული მსჯელობა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, არსებობს მთელი რიგი სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებშიც უარია ნათქვამი პირობითი მსჯავრის გაუქმებაზე იმ მოტივით, რომ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გასული იყო გამოსაცდელი ვადა, სხვა გადაწყვეტილებათა მიხედვით კი, მოსამართლეთა მიერ გამოყენებულია სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი და, მიუხედავად იმისა, რომ განაჩენის გამოტანის დროს დამთავრებულია გამოსაცდელი ვადა, მართებულად არის მიჩნეული პირობითი მსჯავრის „გაცოცხლება“. ასეთი განსხვავებული შეხედულებების არსებობის პირობებში, დიდი მნიშვნელობა აქვს საპირისპირო პოზიციის მქონე იურისტთა არგუმენტების განხილვას და მათი შეჯერებით გამოსავლის ძიებას.

## 2. პირობითი მსჯავრის გაუქმების მოწინააღმდეგეთა არგუმენტები

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ პირობითი მსჯავრი არის ინსტიტუტი, რომელიც დაკავშირებულია როგორც სასჯელთან, ისე გამოსაცდელ ვადასთან და იგი მათ გარეშე არ არსებობს<sup>1</sup>. სისხლის სამართლის კოდექსის 64-65-ე მუხლების თანახმად კი, გამოსაცდელი ვადის პერიოდში მსჯავრდებული ვალდებულია, არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული და ამავე დროს

<sup>1</sup> თოდუა ნ., პირობითი მსჯავრი, სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ.484

შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა, რაც შეიძლება იყოს პირის დავალდებულება, პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა გარკვეულ პირებთან, არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი და სხვ. ამასთან, აღნიშნული მოვალეობის დაკისრება არაა სასამართლოს ვალდებულება, იგი მისი უფლებაა. აქედან გამომდინარე, სასამართლოს შეუძლია, დანიშნული სასჯელი ისე ჩათვალოს პირობით, რომ გამოსაცდელ ვადაში პირს არ დააკისროს 65-ე მუხლში ჩამოთვლილი მოვალეობები. ასეთ შემთხვევაში პირობით მსჯავრდებულს მხოლოდ ერთი მოვალეობა ეკისრება – გამოსაცდელ ვადაში არ ჩაიდინოს ახალი დანაშაული<sup>2</sup>. აღნიშნული კი უპირატესად გულისხმობს მოვალეობას, არ ჩაიდინოს განზრახი დანაშაული, რადგან ასეთ შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია გააუქმოს პირობითი მსჯავრი და უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს, რამდენად პირნათლად ასრულებდა მსჯავრდებული ამ ხნის განმავლობაში დაკისრებულ სხვა მოვალეობას<sup>3</sup>. თუმცა იმ შემთხვევაში, როცა განაჩენის გამოტანის მომენტისათვის უკვე გასულია გამოსაცდელი ვადა, პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხი სადაო და პრობლემური ხდება, თუ მსჯავრდებულის მიმართ განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის სისხლისსამართლებრივი დევნის დანყების შემდეგ სასამართლოში საქმის განხილვამდე იგი ასრულებდა პირობითი მსჯავრით მის მიმართ დაკისრებულ სხვა ვალდებულებებს, რაშიც არ შედის მხოლოდ გამოცხადება პრობაციის ბიუროში<sup>4</sup>. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი მსჯავრდებული არც ამ ვალდებულებებს ასრულებდა, ცხადია, რომ სასამართლომ პირობითი მსჯავრი ყველა შემთხვევაში უნდა გააუქმოს 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენებით და ანგარიში არ უნდა გაუწიოს იმ

2 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2016, გვ.537

3 თოდუა ნ., პირობითი მსჯავრი, სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ.456

4 იქვე, გვ.486

ფაქტს, რომ გამოსაცდელი ვადის პერიოდი კალენდარულად ამოწურულია.

გურჯაანის რაიონულ სასამართლოში 2016 წლის 27 ივნისს მიღებული ერთ-ერთი განაჩენის მიხედვით, შ. თ. ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარება, ჩადენილი ასეთ ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ – ჩადენისათვის და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 180 საათის ვადით. საქმის გარემოებების მიხედვით, 2014 წლის 30 სექტემბერს, შ. თ. გასამართლებული იყო ოჯახში ძალადობისათვის და სასჯელის სახით დანიშნული ჰქონდა 8 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც, სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, 4 თვე რეალურად უნდა მოეხადა პენიტენციურ დაწესებულებაში, ხოლო დარჩენილი 4 თვე ჩაეთვალა პირობით, სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლის საფუძველზე კი, გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 1 წელი. შ. თ.-მ რეალური სასჯელის მოხდა დაასრულა 2015 წლის 30 იანვარს, საიდანაც დაეწყო განაჩენით დადგენილი 1-წლიანი გამოსაცდელი ვადის ათვლა. ამდენად, გამოდის, რომ გამოსაცდელი ვადა მის მიმართ იწურებოდა 2016 წლის 30 იანვარს, თუმცა მანამდე, 2015 წლის 27 აგვისტოს, შ. თ.-ს ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარებისათვის დაედო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სახდელი, ხოლო 2015 წლის ოქტომბრის დასაწყისში (როცა გამოსაცდელი ვადის დასრულებამდე დარჩენილი იყო 3-4 თვე) მან კვლავ მოიხმარა ნარკოტიკული საშუალება და მის მიმართ უკვე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. მოცემული ბრალდების სისხლის სამართლის საქმეზე გურჯაანის რაიონულ სასამართლოში განაჩენი გამოტანილი იქნა 2016 წლის 27 ივნისს (მაშინ, როცა უკვე გასული იყო 2014 წლის



30 სექტემბრის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადა). აღნიშნულ განაჩენში მოსამართლემ სამართლებრივი რეაგირების გარეშე დატოვა ის ფაქტი, რომ შ. თ.-მ ახალი განზრახი დანაშაული ჩაიდინა პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის პერიოდში და გამომდინარე იქიდან, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მომენტში გასული იყო გამოსაცდელი ვადა, უგულებელყო სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნა, არ გააუქმა პირობითი მსჯავრი და სასჯელი არ დანიშნა 59-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული განაჩენთა ერთობლიობის წესით. ამგვარი სასჯელის დანიშვნის გასამართლებლად, მოსამართლე განაჩენში უთითებს „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-8<sup>1</sup> პუნქტზე, სადაც მითითებულია, რომ „თუ მსჯავრდებულს, რომელსაც შეფარდებული აქვს არასაპატიმრო სასჯელი, ან პირობით მსჯავრდებულს სასჯელის აღსრულების ან გამოსაცდელი ვადის პერიოდში სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა, პრობაციის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს უფროსი გადაწყვეტილებით აჩერებს სააღსრულებო წარმოებას.“ მოსამართლის აზრით, კანონმდებლის მიერ განისაზღვრა სასჯელის მოხდის დროს სასჯელის აღსრულების შეჩერების წესი. ამგვარი წესი არ მოქმედებს იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელსაც შეფარდებული აქვს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება. კანონმდებელი არ მიიჩნევს აუცილებლად გამოსაცდელი ვადის დინების შეჩერებას იმ შემთხვევაში, თუ პირს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება აქვს შეფარდებული და შესაძლებლად მიიჩნევს სასჯელის მოხდის დადგენილი წესით გაგრძელებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მოსაზრებით, კანონმდებელს მიზანშეწონილად მიაჩნია, პირმა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების პირობებშიც გააგრძელოს და დაასრულოს სასამართლოს განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდა. ვინაიდან შ. თ.-ს საქმის განხილვის პერიოდში შეფარდებული ჰქონდა სწორედ არასაპატიმრო აღკვეთის

ლონისძიება და იგი პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას (ცხადდებოდა პრობაციის ბიუროში), სასამართლომ მიიჩნია, რომ მან დაასრულა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოხდა. მოსამართლის განმარტებით, სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილში მითითებული სიტყვები – „სასამართლო აუქმებს პირობით მსჯავრს“ – ნიშნავს, რომ სასჯელის დანიშვნის დროს უნდა არსებობდეს პირობითი მსჯავრი. ანუ, სასამართლოს მოსაზრებით, თუ პირმა გამოსაცდელ ვადაში ჩაიდინა დანაშაული და განაჩენის გამოტანის დროს მას უკვე მოხდელი აქვს წინა განაჩენით დანიშნული პირობითი სასჯელი, ნიშნავს, რომ არ არსებობს პირის მიმართ პირობითი მსჯავრი, ხოლო თუ ბრალდებულის მიმართ ახალი განაჩენის გამოტანის დროს არ არსებობს პირობითი მსჯავრი, ვერ დადგება არარსებული პირობითი მსჯავრის გაუქმების ვალდებულება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ შ. თ.-მ 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის პერიოდში, მაგრამ ვერ დადგებოდა პირობითი მსჯავრის გაუქმების ვალდებულება, ვინაიდან მას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელი უკვე მოხდელი ჰქონდა<sup>5</sup>.

ზემოაღნიშნულ განაჩენში ჩამოყალიბებული მსჯელობა, ერთი შეხედვით, ლოგიკური და ერთობ თანმიმდევრულია. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, პირობით მსჯავრდებულმა არ შეასრულა მასზე დაკისრებული მთავარი მოვალეობა ახალი დანაშაულის ჩაუდენლობის შესახებ, მაგრამ, რადგანაც საქმის განხილვის პერიოდში არ შეჩერებულა გამოსაცდელი ვადის დინება, ხოლო ახალი განაჩენის გამოტანის დროისათვის ამონაწერი იყო პირობითი მსჯავრით დადგენილი გამოსაცდელი ვადა, შეიძლება ითქვას, რომ პირობით მსჯავრს დაკარგული ჰქონდა თავისი იურიდიული ძალა. შესაბამისად, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ, რადგან შეუძლებელია არარსებული პირობითი მსჯავრის გაუქმება, ასევე შეუძლებელია იმ სასჯელის მოხდის დანესება,

5 გურჯაანის რაიონული სასამართლოს განაჩენი, საქმე № 1/338 15

რაც დადგენილი იყო პირველი განაჩენით. ე. ი. შეუძლებელია სასჯელის დანიშვნა განაჩენთა ერთობლიობით<sup>6</sup>. ამასთანავე, მსგავს შემთხვევებში პირობითი მსჯავრის გაუქმების მოწინააღმდეგეთა სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის“, შესაბამისად, თუკი ჩავთვლით, რომ გამოსაცდელი ვადის დინების გაგრძელება და მისი ვადის გასვლა წარმოადგენს სასჯელის მოხდას, გამოდის, რომ ზემოხსენებულ შემთხვევაში პირობითი მსჯავრის გაუქმება და სასჯელის განაჩენთა ერთობლიობის წესით დანიშვნა ეწინააღმდეგება კონსტიტუციის დებულებებსაც.

### **3. პირობითი მსჯავრის გაუქმების მხარდამჭერთა არგუმენტები**

როგორც ზემოთ აღვნიშნე, გამოსაცდელი ვადის პერიოდში განზრახი დანაშაულის ჩადენისას პირობითი მსჯავრის გაუქმების აუცილებლობას მხარს უჭერს არაერთი იურისტი და მათი აზრით, განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გამოსაცდელი ვადის დასრულების ფაქტი სულაც არაა პირობითად ჩათვლილი სასჯელის „გაცოცხლების“ ხელშემშლელი გარემოება. აღნიშნული მოსაზრებები, ძირითადად, გაბნეულია ზემდგომი ინსტანციების სასამართლო გადაწყვეტილებებში და უპირისპირდება საქალაქო და რაიონულ სასამართლოებში დამკვიდრებულ პრაქტიკას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობის მიხედვით, გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნაა წინა განაჩენით დანიშნული პირობითი მს-

6 თოდუა ნ., პირობითი მსჯავრი, სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016, გვ.485-486

ჯავრის გაუქმება და საბოლოო სასჯელის განაჩენითა ერთობლიობით დანიშვნა, ამასთან, კანონმდებელი აღნიშნული მოთხოვნის შესრულებას არანაირად არ უკავშირებს ახალ დანაშაულზე განაჩენის დადგენის თარიღს. ამავე განაჩენში სასამართლო განმარტავს, რომ პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის დინება არ ნარმოადგენს სასჯელის მოხდას, ანუ გამოსაცდელი ვადის დამთავრება ავტომატურად ვერ გაიგივდება სასჯელის მოხდასთან, რადგანაც სასჯელის პირობითად ჩათვლა ნიშნავს მის პატიებას მხოლოდ იმ პირობით, რომ მსჯავრდებული გამოსაცდელ ვადაში აღარ ჩაიდენს ახალ დანაშაულს. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ქუთაისის სააპელაციო პალატამ ცალსახად დაინახა პირობითი მსჯავრის გაუქმების აუცილებლობა, რადგანაც მსჯავრდებულმა ვერ გამოიყენა სახელმწიფოს მიერ მისთვის მიცემული შანსი და გამოსაცდელ ვადაში ჩაიდინა ახალი განზრახვი დანაშაული, რის გამოც მნიშვნელობა აღარ უნდა მიენიჭოს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გამოსაცდელი ვადის გასვლის ფაქტს და სასჯელი მოხდილად არ უნდა ჩაითვალოს.

მსგავსი მოსაზრებაა განვითარებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთ განაჩენშიც, რომელიც ყურადღებამისაქცევია იმ კონტექსტში, რომ პალატის მიერ განმარტებულია პირობითი მსჯავრის სამართლებრივი ბუნება. მოსამართლის მიერ განვითარებული მსჯელობის თანახმად, გარკვეული პირობების არსებობისას, სასამართლოს შეუძლია, დანიშნული სასჯელი ან მისი ნაწილი ჩათვალოს პირობით. სასჯელის მოხდის ზემოაღნიშნული მექანიზმი გულისხმობს იმას, რომ პირი რეალურად არ იხდის დანიშნულ სასჯელს, თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად, კანონმდებელი მას უწესებს გამოსაცდელ ვადას. მოსამართლე აღნიშნავს, რომ სასჯელის პირობით ჩათვლის და გამოსაცდელი ვადის დაწესების მიზანი არ არის დანაშაულის ჩამდენი პირის სისხლისსამართლებრივი ზემოქმედებისაგან სრულად გათავისუფლება. გამოსაცდელი ვადა ის პირობაა, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მისთ-

ვის დაკისრებული მოვალეობა. პირობის დარღვევის ერთ-ერთი შემთხვევა კი გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილით, რომელიც მოითხოვს ორი გარემოების კუმულაციურად არსებობას: 1) უნდა არსებობდეს გამოსაცდელი ვადა; 2) ახალი დანაშაული სწორედ გამოსაცდელი ვადის პერიოდში უნდა იყოს ჩადენილი. მოსამართლის მოსაზრებით, განაჩენის გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ გამოტანის ფაქტი ვერ გახდება სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოუყენებლობის საფუძველი. მსგავს შემთხვევაში განაჩენთა ერთობლიობის გარეშე სასჯელის დანიშვნა ეწინააღმდეგება კანონმდებლის ნამდვილ ნებას, რადგან, ამ თვალსაზრისით, მოხდება საქმეების ხელოვნური გაჭიანურება გამოსაცდელი ვადის გასვლამდე, რაც არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. მოსამართლე ხაზს უსვამს, რომ გამოსაცდელი ვადა არ წარმოადგენს სასჯელის სახეს, თუმცა წარმოადგენს ერთგვარ გამოცდას, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში არ აღსრულდება განაჩენით დანიშნული სასჯელი<sup>7</sup>. აღნიშნული განაჩენით სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, გააუქმა პირობითი მსჯავრი და სასჯელი დანიშნა განაჩენთა ერთობლიობის წესით მიუხედავად იმისა, რომ რაიონულ სასამართლოში გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის გასული იყო პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადა.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით პირველი ინსტანციების მოსამართლეებისაგან განსხვავებული პოზიცია გააჩნიათ არამარტო სააპელაციო სასამართლოებს, არამედ პირობითი მსჯავრის გაუქმების მომხრეა საქართველოს უზენაესი სასამართლოც. საკასაციო პალატის მიერ მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში გაკეთებული განმარტების თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილში მითითებული გარემოებების არსებობი-

7 თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, საქმე № 1/ბ-763-16

სას პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხი უკავშირდება დანაშაულის ჩადენის დროს და არა განაჩენის გამოტანის დროს, ანუ თუ განზრახი დანაშაული ჩადენილია გამოსაცდელი ვადის მოქმედების პერიოდში, აღნიშნული ნარმოადგენს პირობითი მსჯავრის გაუქმების საფუძველს და ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გასულია თუ არა გამოსაცდელი ვადა, რადგან ასეთ დათქმას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს<sup>8</sup>.

ამდენად, როგორც ვხედავთ, ზემდგომი სასამართლო ინსტანციები ცალსახად იზიარებენ სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის დანაწესს და გამოსაცდელი ვადის პერიოდში განზრახი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში განაჩენთა ერთობლიობით სასჯელის დანიშვნის წესს უჭერენ მხარს. შედეგად, ცხადია, რომ საქალაქო და რაიონული სასამართლოების პოზიცია, როგორი არგუმენტირებულიც არ უნდა იყოს იგი, ერთობ არამდგრადია და გასაჩივრების შემთხვევაში მათი განაჩენები გაუქმებისთვისაა განწირული.

#### **4. პრობლემური საკითხის გადაწყვეტის საკანონმდებლო საფუძველი**

განსახილველი საკითხის გარშემო არსებული სხვადასხვა მოსაზრებების განხილვისას ცხადი გახდა, რომ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გამოსაცდელი ვადა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს გასული, თუ პირს ახალი განზრახი დანაშაულის ჩადენის გამო შეფარდებული ჰქონდა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება, რადგანაც, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-8<sup>1</sup> პუნქტი აწესრიგებს აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის შეფარდების პირობებში გამოსაცდელი ვადის დინების შეჩერების საკითხს.

<sup>8</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი, საქმე № 401აპ-15

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, წინასასამართლო სხდომა უნდა გაიმართოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან არაუგვიანეს 60 დღისა, გამონაკლის შემთხვევაში კი ეს ვადა მხარის შუამდგომლობით შესაძლოა გაგრძელდეს 9 თვემდე, რადგანაც 169-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, წინასასამართლო სხდომამდე პირის ბრალდებულად ყოფნის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს, აღნიშნული ვადის ათვლა იწყება ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანიდან ან პირის დაკავებიდან.<sup>9</sup> ამავე დროს, საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა. საპროცესო კოდექსის აღნიშნული ნორმები ნათლად მეტყველებს, რომ არასაპატიმრო სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენის გამოტანა, შესაძლოა, დროში საკმაოდ გაიწელოს, საუბარი აღარ გვაქვს იმაზე, რომ საპროცესო კოდექსი მკაცრად არ განსაზღვრავს სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ვადას და მას მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადებით შემოსაზღვრავს<sup>10</sup>. შესაბამისად, კანონის ზემოაღნიშნული რეგულაციების მხედველობაში მიღებით, თუ პირმა პირობითი მსჯავრის გამოსაცდელ ვადაში განზრახი დანაშაული ჩაიდინა, არსებობს მაღალი ალბათობა, რომ ახალ დანაშაულზე განაჩენის გამოტანის მომენტისათვის უკვე გასული იყოს გამოსაცდელი ვადა, რადგანაც კანონი დასაშვებად მიიჩნევს როგორც გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის გაჭიანურებას. ცხადია, ამ მსჯელობით არ ვუპირისპირდებით სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპს და ვაღიარებთ, რომ მას გააჩნია თანაბარი მნიშვნელობა როგორც გამოძიების ეტაპისათვის, ისე საქმის სასამართლოში არსებითად განხილვის

9 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015, გვ.497

10 იქვე, გვ.333

სტადიისათვის<sup>11</sup>, თუმცა იმის ხაზგასმა გვსურს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება ხანგრძლივი პროცედურაა და ეს ფაქტორი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩვენ მიერ განსახილველ საკითხზე, კერძოდ, პირობით მსჯავრდებულის მიერ განზრახვი დანაშაულის ჩადენისას არსებობს რისკი, რომ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გასული იყოს გამოსაცდელი ვადა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ თუკი ამ უკანასკნელ შემთხვევებში უარს ვიტყვით პირობითი მსჯავრის გაუქმებაზე, ეს არ იქნება ერთეული გამონაკლისები და პირობითი მსჯავრის გამოყენება დაკარგავს მსჯავრდებულის შემაკავებელ ეფექტს.

მართალია, პირობითი მსჯავრი არ წარმოადგენს სასჯელის სახეს<sup>12</sup> და არც მის გადავადებას, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს<sup>13</sup>, თუმცა იგი, სასჯელის მსგავსად, წარმოადგენს რთულ და ამავე დროს ფაქიზ ფენომენს<sup>14</sup>, რომელსაც სასჯელის ანალოგიური მიზნები გააჩნია<sup>15</sup>. აღნიშნულზე მეტყველებს „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი, რომლის მიხედვითაც პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიზნებია ამ კანონით განსაზღვრული სამართლებრივი აქტების აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვა, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია. აღნიშნული მიზნების სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლით განსაზღვრულ სასჯელის მიზნებთან მსგავსება სწორედ, რომ მეტყველებს სასჯელისა და სასჯელის

11 თუმანიშვილი, გ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014, გვ.78

12 დვალიძე, ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ.128

13 I. baumann, Strafrecht, Allgemeiner Teil, Bielefeld, 1961, შ.574

14 ნანობაშვილი ზ., სასჯელის რაობა ფილოსოფოსთა თვალსაზრისით, ყურნალი „სამართალი“ №1-2, 1998, გვ.61

15 დვალიძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ.134



აღსრულების მჭიდრო კავშირზე<sup>16</sup>. ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად კანონი პირობით მსჯავრდებულს უწესებს გარკვეული ვალდებულებების შესრულებას, ვინაიდან კანონმდებელს არ სურს საერთოდ გაათავისუფლოს დანაშაულის ჩამდენი სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედებისაგან, შედეგად, სასჯელისაგან გათავისუფლება პირობადებულია<sup>17</sup>. აღნიშნული მოვალეობები იყოფა ძირითად და დამატებით ვალდებულებებად. ძირითადი მოვალეობა გულისხმობს მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩამდენისაგან თავშეკავებას, დამატებით ვალდებულებებს კი განეკუთვნება სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლში ჩამოთვლილი სანიმუშო მოვალეობები, რომელთა დაკისრება სასამართლოს უფლებაა<sup>18</sup>. კანონმდებლის მიერ მსჯავრდებულის ამგვარი შეზღუდვა გამართლებულია, რადგანაც პირობითი მსჯავრი არ არის შეწყალება<sup>19</sup> და პირის პასუხისმგებლობისგან სრულად განთავისუფლება<sup>20</sup> აზრს დაუკარგავდა სასჯელის პირობითად ჩათვლას. სასჯელისაგან გათავისუფლებისას საქმე, დასჯის საჭიროების არარსებობის გამო, სასჯელზე უარის თქმასთან გვაქვს<sup>21</sup>, პირობითი მსჯავრი კი სასჯელისაგან გათავისუფლების სახე კი არ არის, არამედ იგი წარმოადგენს ინდივიდუალური გაფრთხილების ღონისძიებას<sup>22</sup> და მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იქნეს გამოყენებული, როცა, დამნაშავის პიროვნებიდან გამომ-

16 არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ.48

17 დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ.127

18 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2016, გვ.541-542

19 Bockelmann P., Strafrecht, Allgemeiner Teil, Munchen, 1979, შ.262

20 ტყეშელაძე გ., პირობითი მსჯავრის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ №5, გვ.16

21 ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედაქტორი დვალაძე ი., თბილისი, 2010, გვ.282

22 Люблинский П., Уголовное осуждение в иностранном и советском праве, Москва, 1924, ст.112

დინარე, სწორად შეესაბამება დანაშაულს<sup>23</sup>. პირობითი მსჯავრის ფარგლებში დაკისრებული ზემოხსენებული მოვალეობის შეუსრულებლობას კი შედეგად მოსდევს ნეგატიური პასუხისმგებლობა. ლიტერატურაში გამოთქმული აზრის თანახმად, პირობითი მსჯავრისას ნეგატიური პასუხისმგებლობა ისედაც არსებობს, რადგანაც მსჯავრდებული განიცდის სახელმწიფოს მიერ დამნაშავედ აღიარებას<sup>24</sup>, თუმცა, ვფიქრობთ, ჩადენილის გამო შინაგანი მწუხარების განცდა იშვიათი ადამიანების „ნიჭია“ და ზემოაღნიშნული მოსაზრება ვერ გავრცელდება ყველა პირზე. რეალურ ნეგატიურ პასუხისმგებლობას პირობითი მსჯავრი მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევს, თუ მსჯავრდებული გამოსაცდელ ვადაში ჩაიდენს ახალ დანაშაულს.

მართალია, ყოველგვარი დანაშაულებრივი ქმედება ხელყოფს მართლწესრიგს, თუმცა, კანონის მიხედვით, განსხვავებული სამართლებრივი შედეგი დგება გამოსაცდელი ვადის პერიოდში გაუფრთხილებლობითი და განზრახვი დანაშაულების ჩადენის შემთხვევებში. კერძოდ, თუკი პირველ სიტუაციაში სასამართლოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია, გაითვალისწინოს დამნაშავეს პიროვნება, ასევე სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები და ამის მიხედვით გადანყვიტოს პირობითი მსჯავრის გაუქმება-ძალაში დატოვების საკითხი<sup>25</sup>, განზრახვი დანაშაულის ჩადენისას პირობითი მსჯავრის გაუქმება სავალდებულოა<sup>26</sup>. მაგრამ, საკითხავია, რა მომენტიდან შეიძლება ითქვას, რომ პირმა გამოსაცდელ ვადაში ნამდვილად ჩაიდინა განზრახვი დანაშაული?! საქართველოს კონსტიტუციის მე-40

23 თუმანიშვილი გ., სასჯელის ადეკვატურობის საკითხი დანაშაულთან მიმართებაში, ჟურნალი „სამართალი“ №1-2, 2003, გვ.127

24 ქათამაძე მ., პირობითი მსჯავრი, როგორც ნეგატიური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალიზაციის ფორმა, ჟურნალი „სამართალი“ №11-12, 2002, გვ.93

25 არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015, გვ.188

26 დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ.141

მუხლით გარანტირებული უდანაშაულობის პრეზუმფცია იცავს თითოეულ ადამიანს დამნაშავედ გამოცხადებისაგან, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით<sup>27</sup>. შესაბამისად, განზრახი დანაშაულის ჩადენის გამო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირმა სწორედ გამოსაცდელ ვადაში ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული, მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გადაწყვეტილების გამოტანისას, შესაძლოა, უკვე გასულიც იყოს ზემოხსენებული გამოსაცდელი ვადა. სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი სწორედ დანაშაულის ჩადენის დროზე აკეთებს აქცენტს და არა განაჩენის გამოტანის მომენტზე. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, დანაშაულის ჩადენის დროა ის დრო, როცა მოქმედება ამსრულებელი<sup>28</sup>. ამრიგად, მნიშვნელობა არ აქვს გამოსაცდელი ვადის გასვლამდე თუ გასვლის შემდეგ დადგინდება გამამტყუნებელი განაჩენით პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენა, რადგანაც 67-ე მუხლის მე-5 ნაწილი შეიცავს იმპერატიულ დანაწესს და აუცილებელია ამ ნორმის ისე განმარტება, როგორი გრამატიკული ფორმითაცაა იგი ჩამოყალიბებული<sup>29</sup>. შესაბამისად, ვფიქრობთ, პირველი ინსტანციის მოსამართლეთა მიერ არასწორად ხდება ხსენებული ნორმის განმარტება და არასწორია პირობითი მსჯავრის გაუქმებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გასულია გამოსაცდელი ვადა. გასათვალისწინებელია ევროპული სასამართლოს აზრი, რომ სისხლის სამართლის ნორმის სასამართლო განმარტების აუცილებლობა გამომწვეულია იმით, რომ „ყოველთვის იარსებებს გაუგებარი მომენტებისა და შეცვლილ გარემოებებთან

27 ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ.488

28 ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013, გვ.24

29 ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, გვ.155-156

ადაპტაციის აუცილებლობა<sup>30</sup>, თუმცა სამართალშემფარდებელი ვალდებულია გამოიყენოს განმარტების ის მეთოდი, რომელიც ყველაზე ნათლად და ობიექტურად ხსნის როგორც ნორმის არსს, ისე მისი მოქმედების ფარგლებს, იგი არ შეიძლება გასცდეს იმ სადემარკაციო ხაზს, რომლის გადალახვის შემთხვევაში ინტერპრეტაციორიდან კანონმდებლად იქცევა<sup>31</sup>. სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის განმარტება კი იმგვარად, რომ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის გამოსაცდელი ვადის გასვლის ფაქტი ხელს უშლის პირობითი მსჯავრის გაუქმებას, ეწინააღმდეგება მთლიანად ინსტიტუტის არსს, რადგანაც პირობითად ჩათვლილი სასჯელის აღსრულების საკითხი, კანონის თანახმად, მსჯავრდებულის მხრიდან მხოლოდ და მხოლოდ იმ პირობათა საწინააღმდეგო შესრულებაზეა დამოკიდებული, რომლებიც გამამტყუნებელ განაჩენში არიან ფორმულირებულნი (უმთავრესი ამ პირობათაგან მაინც დანაშაულის არჩადენის მოვალეობაა), პირობითი მსჯავრი წარმოადგენს სასჯელის დანიშვნის თავისებურ სახეს, რომლის დროსაც არ ხდება სასჯელის რეალური აღსრულება იმ პირობით, რომ მსჯავრდებული გამოსაცდელ ვადაში არ ჩაიდენს ახალ დანაშაულს და გამოიყენებს სასჯელის გარეშე გამოსწორების შესაძლებლობას.<sup>32</sup>

საკითხის არგუმენტაციისას არარელევანტურად მიგვაჩნია პირველი ინსტანციის მოსამართლეთა მიერ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-8<sup>1</sup> პუნქტზე მითითება, რომელიც აწესრიგებს პირობით მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის გამო აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შემთხვევაში გამოსაცდელი ვადის შეჩერების საკითხს. ვფიქრობთ,

30 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე „ს.რ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, პუნქტი 34 და „ს.ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, პუნქტი 36

31 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება №1/1/428,447,459, პუნქტი 18

32 ქათამაძე მ., პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნება, ჟურნალი „სამართალი“ №1-2, 2004, გვ.63

კანონის ეს დანაწესი არ უნდა გავიგოთ იმგვარად, რომ რადგან იგი არ მოითხოვს არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემთხვევაში გამოსაცდელი ვადის შეჩერებას, პირობით მსჯავრდებულს შეუძლია გააგრძელოს სასჯელის მოხდა და შემდგომში მას აღარ „გაუცოცხლება“ პირობითი სასჯელი. ვფიქრობთ, ხსენებული კანონის დანაწესი იცავს პირობით მსჯავრდებულის ინტერესებს და იმიტომ მოითხოვს პატიმრობაშეფარდებული პირისათვის გამოსაცდელი ვადის შეჩერებას, რომ თავისუფლებააღკვეთილი პრობაციონერი ვერ შეძლებს მასზე დაკისრებული გამოცხადების ვალდებულების შესრულებას და სწორედ იმიტომ უნდა შეჩერდეს გამოსაცდელი ვადა, რომ პრობაციის ბიუროში გამოცხადების მოვალეობის შესრულების შეუძლებლობა, სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-2-3 ნაწილებით დადგენილი წესის შესაბამისად, არ გახდეს გამოსაცდელი ვადის გაზრდის ან პირობითი მსჯავრის რეალური სასჯელით შეცვლის საფუძველი. ამასთანავე, არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, სწორედაც, რომ არ უნდა ჩერდებოდეს გამოსაცდელი ვადა და პირი უნდა აგრძელებდეს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, რადგანაც თუკი იგი განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის წარდგენილ ბრალდებაში გამართლდება ან სხვა საფუძვლით შეწყდება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა, ბრალდებულად ყოფნის პერიოდში შესრულებული ვალდებულება ჩაეთვალოს მას სასჯელის მოხდის საერთო ვადაში. მაგრამ თუკი პირი წარდგენილ ბრალდებაში დამნაშავედ იქნება ცნობილი, სასამართლომ ყველა შემთხვევაში უნდა გააუქმოს პირობითი მსჯავრი და სასჯელი დანიშნოს 59-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული განაჩენთა ერთობლიობის წესით, მიუხედავად იმისა, განაჩენის გამოტანისას გასული იქნება თუ არა გამოსაცდელი ვადა. ამავდროულად, მიგვაჩნია, რომ ერთგვარად შეუსაბამოა პირობით მსჯავრთან მიმართებაში ტერმინ „სასჯელის მოხდის“ გამოყენება, რადგანაც ამ დროს რეალურად არანაირი სასჯელის მოხდა არ ხდება, იგი უბრალოდ „მიძინებულია“ და მისი „გაცოცხლება“ დამოკიდებული

ლია დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობაზე. როგორ შეიძლება პირობით მსჯავრდებულს ჰქონდეს მოლოდინი, რომ პრობაციის ბიუროში პირნათლად გამოცხადების შემთხვევაში იგი დაასრულებს გამოსაცდელ ვადას, თუკი მან არ შეასრულა თავისი უმთავრესი მოვალეობა და გამოსაცდელ ვადაში ჩაიდინა განზრახვი დანაშაული?! სახელმწიფო ხომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაჰპირდა მას სასჯელის პატიებას, თუკი გამოსაცდელ ვადაში აღარ ჩაიდენდა დანაშაულს! შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ გამოსაცდელი ვადის განმავლობაში განზრახვი დანაშაულის ჩადენისათვის არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შემთხვევაში პირმა თვითონ უნდა აწონ-დაწონოს უღირს თუ არა განაჩენის გამოტანამდე პრობაციის ორგანოში გამოცხადების გაგრძელება. მან უნდა განსაზღვროს, რამდენად არსებობს მისი გამართლების ან სხვა საფუძვლით სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შანსი, წინააღმდეგ შემთხვევაში, უნდა აეხსნას, რომ თუკი გამტყუნდება, მას აუცილებლად გაუუქმდება პირობითი მსჯავრი და სასჯელი დაენიშნება განაჩენთა ერთობლიობით მიუხედავად იმისა, იმ მომენტში გასული იქნება თუ არა პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადა.

## 5. განსხვავებულ მოსაზრებათა შეჯამება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, სასამართლო ინსტანციებს შორის ხსენებული საკითხის ირგვლივ წარმოშობილი განსხვავებული აზრი სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის არასწორად განმარტების შედეგია. ნორმის იმპერატიული დანაწესიდან ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ პირობითი მსჯავრის გაუქმება დამოკიდებულია განზრახვი დანაშაულის ჩადენის და არა განაჩენის გამოტანის დროზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი დაეკარგებოდა პირობითი მსჯავრის გამოყენებას და ყველა პრობაციონერი შეეცდებოდა საქმის განხილვის გაჭიანურებითა და გამოსაცდელი ვადის

გასვლით თავი დაეღწია პირობითი მსჯავრის „გაცოცხლების“ სახით მოსალოდნელი მკაცრი პასუხისმგებლობისაგან. ღრმად გვენამს, რომ გამოსაცდელი ვადის დასრულება არ გულისხმობს სასჯელის მოხდას და სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენება არ ეწინააღმდეგება განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვის კონსტიტუციურ პრინციპს. მართალია, დემოკრატიულ სახელმწიფოში და მით უფრო იურისპრუდენციაში, პლურალიზმი მეტად მისასაღმებელია, თუმცა სასამართლო ინსტანციებში განსხვავებული შეხედულებების არსებობა ხელს უშლის ერთიანი პრაქტიკის ჩამოყალიბებას. შემდგომში ამ საკითხზე აზრთა სხვადასხვაობის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია, „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატოს ახალი პუნქტი შემდეგი შინაარსით: „პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის პერიოდში განზრახი დანაშაულის ჩადენისათვის არასაპატიმრო აღკვეთისლონისძიებაშეფარდებულ პირს შეუძლია, გააგრძელოს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება და დაასრულოს გამოსაცდელი ვადა, რაც, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, ხელს ვერ შეუშლის მსჯავრდებულის მიმართ სასჯელის დანიშვნას სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული წესით.“ აღნიშნული ხელს შეუწყობს კანონის ერთგვაროვან განმარტებასა და ბრალდების მხარის მიერ ნაკლები განაჩენების გასაჩივრებას ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში.

## ბიბლიოგრაფია

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2015
2. დვალაძე ი., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013
3. ვესელსი ი., ბოილკე ვ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედაქტორი ი. დვალაძე, თბილისი, 2010
4. თოდუა ნ., პირობითი მსჯავრი, სისხლის სამართლის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016
5. თუმანიშვილი გ., სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, თბილისი, 2014
6. თუმანიშვილი გ., სასჯელის ადეკვატურობის საკითხი დანაშაულთან მიმართებაში, ჟურნალი „სამართალი“ №1-2, 2003
7. ნანობაშვილი ზ., სასჯელის უფლება, ჟურნალი „სამართალი“ №5, 1999
8. ნანობაშვილი ზ., სასჯელის რაობა ფილოსოფოსთა თვალსაზრისით, ჟურნალი „სამართალი“ №1-2, 1998
9. ტურავა მ., სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელო, მეცხრე გამოცემა, თბილისი, 2013
10. ტყეშელიაძე გ., პირობითი მსჯავრის ზოგიერთი საკითხი, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ №5
11. ქათამაძე მ., პირობითი მსჯავრი, როგორც ნეგატიური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალიზაციის ფორმა, ჟურნალი „სამართალი“ №11-12, 2002
12. ქათამაძე მ., პირობითი მსჯავრის იურიდიული ბუნება, ჟურნალი „სამართალი“ №1-2, 2004
13. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004
14. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2016
15. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2015
16. ავტორთა კოლექტივი, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013



17. Люблинский П., Уголовное осуждение в иностранном и советском праве, Москва, 1924

18. I. baumann, Strafrecht, Allgemeiner Teil, Bielefeld, 1961

19. P. Bockelmann, Strafrecht, Allgemeiner Teil, Munchen, 1979

**გამოყენებული ნორმატიული აქტები:**

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. სისხლის სამართლის კოდექსი
3. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
4. „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონი
5. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

**გამოყენებული სასამართლო გადაწყვეტილებები:**

1. გურჯაანის რაიონული სასამართლოს განაჩენი, საქმე № 1/33815
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, საქმე № 1/ბ-24-15
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, საქმე № 1/ბ-763-16
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი, საქმე № 401აბ-15
5. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ს.რ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“
6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ს.ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“
7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება №1/1/428,447,459

## ნორმათა ინტერპრეტაცია სისხლის სამართალში – ბუნვის ხიდი სიკეთესა და ბოროტებას შორის

*„ახსენით სიტყვების ზუსტი მნიშვნელობა და თქვენ ნახევარ  
უბედურებას ააცდენთ მსოფლიოს“ – მიშელ დე მონტენი<sup>1</sup>*

### შესავალი

კანონში მოცემული ზოგადი დანაწესები ხშირად იძლევა განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. სამართლის ნორმის ინტერპრეტაცია გულისხმობს მისი შინაარსის გარკვევას, მის გაგებას, ე. ი. იმის დადგენას, თუ რა აზრი ჩააქსოვა მასში კანონმდებელმა. კანონის გაგება ნიშნავს, რომ სიტყვებს ის ზოგადი წარმოდგენითი შინაარსი მიუსადაგო, რომელიც ამ სიტყვებით უნდა იქნას აღნიშნული.

იურისტებს ხშირად უწოდებენ „განმარტების აკრობატებს“. აღნიშნული განპირობებული იმით, რომ სამართალშემფარდებელს ხშირად უხდება განსხვავებული შემთხვევებისათვის ნორმის ზოგადი დანაწესების მორგება. მაქს ვებერი ჯერ კიდევ 1910 წელს წერდა: „გერმანიის სამოქალაქო კოდექსის პარაგრაფებში ცვლილებათა შეტანის გარეშეც შეიძლება ეკონომიკური წესრიგი ისე რადიკალურად შეიცვალოს, რომ ერთ მშვენიერ დღეს სოციალისტური ეკონომიკური სისტემა მივიღოთ.“<sup>2</sup>

1 ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004 წელი, გვ. 3.

2 იქვე, გვ. 152

დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ძალაში შესვლიდან 18 წელია გასული, რაც ზედმეტად ცოტა დროა იმისთვის, რათა განვითარებული ქვეყნების სამართლებრივ აზროვნებას დავენიოთ. ნორმის სწორი განმარტება უდიდესი სამართლებრივი ცოდნისა და აზროვნების შედეგია, რაც ისეთი მწირი სამართლებრივი ისტორიის მქონე ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, ხშირად გადაუღახავ პრობლემას წარმოადგენს. თუმცა, უკანასკნელ პერიოდში, ჰუმანური სისხლის სამართლის პოლიტიკისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ზრდის კვალდაკვალ, თანდათან იმატებს ნორმის მნიშვნელოვანი და ამავდროულად, სამართლიანი განმარტებები, რასაც საბოლოოდ, იმ ბენჯის ხიდის ბოლოსაკენ მივყავართ, სადაც სიკეთე, როგორც სამართლიანი განმარტების საბოლოო შედეგი, იმალება.

ნაშრომის ძირითადი მიზანი, ნორმის ინტერპრეტაციის იმ პრობლემების წარმოჩენა და გააზრებაა, რომელიც პრაქტიკაში ხშირად იჩენს თავს. მიგვაჩნია, რომ განხილული თემები, თეორიული მოსაზრებები და პრაქტიკული მაგალითები, საინტერესო იქნება სისხლის სამართლითა და სამართლის თეორიით დაინტერესებული მკითხველისთვის.

## 1. კანონის ანალოგიისა და ნორმის ინტერპრეტაციის ურთიერთმიმართება

ზოგადად, სამართლის ყველა ნორმა საჭიროებს განმარტებას. ზოგჯერ, კანონის დასაშვები განმარტება და აკრძალული ანალოგია, ისე შეიძლება გადაიზარდოს ერთმანეთში, რომ შეუძლებელი გახდეს მათ შორის მკვეთრი ზღვრის გავლება.

ნორმატიული რეგულირების მასშტაბები განუხრელად იზრდება, თუმცა, მიუხედავად ამისა, ზოგჯერ არ არსებობს იმ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა, რომელიც მოითხოვს იურიდიულ გადანყვეტას. როდესაც სამართლებრივი თვალსაზრისით

განსახილველი და გადასანყვეტი საკითხი არ არის გათვალისწინებული და რეგულირებული სამართლის არცერთ ნორმაში, ადგილი აქვს ხარვეზს კანონმდებლობაში.<sup>3</sup> სწორედ ასეთ დროს, მოსამართლე ვალდებულია გამოიყენოს ყველაზე მსგავსი ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა ანალოგიით, ასეთ შემთხვევას კანონის ანალოგია ეწოდება. მოსამართლე ვალდებულია საკითხი გადაწყვიტოს მაშინაც კი, როდესაც არ არსებობს მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა, ამ შემთხვევას სამართლის ანალოგია ეწოდება.

რაც შეეხება კანონის განმარტებას, იგი მხოლოდ სამართლის ნორმის მნიშვნელობის, შინაარსის ამოცნობას ცდილობს და მისი არსის ინტერპრეტაციითაა შეზღუდული. ანალოგიისგან განსხვავებით, განმარტების მიზანი არ არის ახალი ნორმის შექმნა, მისი მიზანი კანონის არსის დადგენა და თანამედროვეობის სახეშეცვლილი მოთხოვნილებებისა და შეხედულებებისთვის მორგებაა.

## 2. ინტერპრეტაციის ხერხები

ყოველი განმარტება, ჩვეულებრივ, იურიდიული სასაუბრო ენის მარაგის დახმარებით, კანონის ტექსტის გაგებით იწყება, რომელსაც კანონის გრამატიკულ განმარტებას უწოდებენ. გრამატიკული განმარტება არკვევს არა სიტყვების განცალკევებულ მნიშვნელობას, არამედ მთლიანად წინადადების ლოგიკურ აზრსა და სტრუქტურას. გრამატიკული განმარტების პირველადობა თვით ამ ხერხის ბუნებიდან გამომდინარეობს, რადგან ნორმის წაკითხვა ლოგიკურად გაუმართლებელია დავიწყოთ ისეთი მეთოდებით, რომლებიც გაცილებით რთულ განსჯას მოითხოვს, ვიდრე ეს ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო და იურიდიული ლექსიკის გამოყენებით შეიძლება.<sup>4</sup>

3 ინწკირველი გ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2003 წელი, გვ. 169.

4 დვალიძე ი., თუმანიშვილი გ., გვენტაძე ნ., კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია

თუმცა, სპეციფიკისა და მიხედვით, გარკვეულ სფეროში შეიძლება გართულდეს აბსოლუტური სიზუსტით სისხლის სამართლის კანონის ფორმულირება. ზოგჯერ აუცილებელია, რომ სისხლის სამართლის კანონს გარკვეული ხარისხით მოქნილობა ახასიათებდეს, რათა შიდასახელმწიფოებრივ სასამართლოებს ჰქონდეთ შეფასების შესაძლებლობა.<sup>5</sup>

როდესაც ტექსტი ორაზროვანია, მაშინ მისი განმარტებისათვის დამხმარე საშუალებას, ნორმათა სისტემაში მისი ადგილისა და დანიშნულების მიხედვით განმარტება წარმოადგენს, რომელსაც სისტემური განმარტებას ეწოდება. მართლწესრიგი ერთიანია, რამდენადაც მისი შემადგენელი ნორმები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირში იმყოფება და ერთიან სისტემას ქმნის. სისტემური განმარტება მოითხოვს, რომ სამართლის ნორმა უნდა წავიკითხოთ სხვა ნორმებთან კავშირში და არა იზოლირებულად.<sup>6</sup> სამართალში და მით უმეტეს, სისხლის სამართალში, არ არსებობს ნორმა, რომელიც მოქმედებს სხვა ნორმებისაგან განცალკევებით.

განმარტებას, რომელიც არკვევს კანონმდებლის ისტორიულ ნებას, ისტორიული განმარტება ეწოდება. ისტორიული განმარტება არკვევს ნორმის სუბიექტურ მიზანს ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე. ნორმის ისტორიული განმარტება გვიხსნის, თუ რა სოციალურმა, პოლიტიკურმა, და ეკონომიკურმა გარემოებებმა განაპირობა მისი მიღების საჭიროება. ამ დროს შესაძლებელია მოძიებულ იქნას, ნორმის მიღებამდე არსებული დოკუმენტები, მაგალითად, კანონის პროექტები, საპარლამენტო დებატების ოქმები და ა.შ. სისტემური განმარტების მომხრეები აღნიშნავენ, რომ შეუძლებელია კანონსა და კანონმდებელს შორის კავშირი განყდეს მისი მიღებისთანავე და იგი მისგან დამოუკიდებლად განვიხილოთ. პირიქით, კანონი ისტორიის კუთვ-

სისხლის სამართალში, თბილისი, 2015 წელი. გვ. 80-81.

5 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 1999 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Başkaya and Okçoğlu v. Turkey.

6 ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004 წელი, გვ. 148.

ნილება და შინაგანად უკავშირდება კანონმდებელს – თუ თქვენ კანონის ნების გაგება გსურთ, თქვენ უნდა იცნოდეთ კანონმდებელს და იცოდეთ მისი ენა.

კანონის განმარტებას, მისი ობიექტური მიზნიდან გამომდინარე, ტელეოლოგიური განმარტება ეწოდება. ნორმის ტელეოლოგიური განმარტებისას, ძირითადი ყურადღება კანონის განსაკუთრებულ დამცავ ფუნქციაზე, მის ობიექტურ არსსა და მიზანთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებასა და გარკვევაზეა გადატანილი. მისი მომხრეთა აზრით, სახეცვლილი ურთიერთობების დროს, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა იმას, თუ როგორ ესმოდა კანონი საწყის ეტაპზე კანონმდებელს (სუბიექტური თეორია), არამედ იმას, თუ როგორია კანონის ობიექტური ნება ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან მოსამართლე კანონმდებლის ნებით კი არაა შებოჭილი, არამედ – კანონში ჩადებული ობიექტური ნებით (ობიექტური თეორია). ანმყოსათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ ვისი ავტორიტეტით გამოიცა კანონი იმთავითვე, არამედ იმას, თუ ვისი ავტორიტეტით აგრძელებს იგი დღესაც მოქმედებას.<sup>7</sup>

ნორმის ტელეოლოგიურ განმარტებასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის 2012 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება. საქმის გარემოებები მდგომარეობდა შემდეგში: სასჯელმთხედო ა. ლ-მ შუამდგომლობით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და ითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო მის მიერ ჩადენილი ქმედების მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. იგი აღნიშნავდა, რომ გაასამართლეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, რომელიც ამჟამად განეკუთვნება მძიმე კატეგორიის დანაშაულს. რაც გავლენას ახდენდა ნასამართლობის გაქარწყლების ვადებზე.

სააპელაციო სასამართლომ დაუშვებლად მიიჩნა აღნიშნული საჩივარი და მიუთითა, რომ სსსკ-ის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილში

<sup>7</sup> ციკელიუხი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნჰენი, 2006 წელი (თარგმანი – ლევან თოთლაძე), გვ. 30.

მითითებული მსჯავრდებულის ცნება არ მოიცავს სასჯელმობ-  
დილ პირს.

საკასაციო პალატამ არასწორად მიიჩნია სააპელაციო სა-  
სამართლოს განმარტება საქართველოს სისხლის სამართლის საპ-  
როცესო კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილთან მიმართებით,  
– რომ მსჯავრდებულში არ იგულისხმება სასჯელმობდილი პირი.  
საკასაციო პალატის განმარტებით, ასეთი განმარტებით ყოველ-  
გვარ მნიშვნელობას კარგავს საქართველოს სისხლის სამართლის  
საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლი, რომლის თანახმად, ახლად  
გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ვადა  
შეუზღუდავია, მაშინ აღნიშნული ნორმა ისე უნდა განმარტებუ-  
ლიყო, რომ მითითებული განაჩენის გადასინჯვის ვადა შეუზღუ-  
დავია მხოლოდ პროკურორისათვის – მსჯავრდებულის ინტერ-  
ესების საწინააღმდეგოდ, რაც იქნებოდა სისხლის სამართლის  
პროცესში მხარეთა თანასწორობის პრინციპის დარღვევა.<sup>8</sup>

საკასაციო სასამართლის განმარტებით, გარდა ამისა, ასეთი  
პოზიცია ეწინააღმდეგება ნასამართლობის მოხსნისა და გაქარწყ-  
ლების ინსტიტუტს. საქართველოს სისხლის სამართლის საპრო-  
ცესო კოდექსის 79-ე მუხლის მიხედვით, პირი, რომელმაც სას-  
ჯელი მოიხადა, ნასამართლობის გაქარწყლებამდე და მოხსნამდე  
ითვლება მსჯავრდებულად და უფლება აქვს, თხოვნით მიმარ-  
თოს სასამართლოს – მოუხსნას მას ნასამართლობა. სრულიად  
ნათელია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო  
კოდექსის 312-ე მუხლის მე-2 ნაწილის ჩამონათვალში მითითებუ-  
ლი მსჯავრდებულის ცნება გულისხმობს არა მხოლოდ იმ პირს,  
რომელიც იხდის რეალურ ანდა პირობით სასჯელს, არამედ იმ  
პირსაც, რომელმაც უკვე მოიხადა ასეთი სასჯელი, მაგრამ მას  
ნასამართლობა გაქარწყლებული ან მოხსნილი ჯერ კიდევ არა  
აქვს, რის გამოც იგი, როგორც მსჯავრდებულის სტატუსის  
მქონე პირი, სარგებლობს აგრეთვე უფლებით – მიმართოს სა-  
სამართლოს ახლად გამოვლენილი გარემოების გამო მის მიმართ

8 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის გად-  
ანყვეტილება, ქ. თბილისი, 2012 წლის 11 იანვარი, საქმე №1აგ-12.

გამოტანილი განაჩენის გადასინჯვის თაობაზე.<sup>9</sup>

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის შინაარსი სავსებით სწორად, მისი ობიექტური მიზნიდან გამომდინარე განმარტა და მასში მოაქცია სასჯელმოსხილი პირიც. გამართლებულია მითითება იმაზე, რომ აღნიშნული ნორმის ობიექტური მიზანი არ არის მხოლოდ მსაჯავრდებული პირის დაცვა, იგი სისხლის სამართლის პროცესის ორივე მხარეს თანაბრად და რაც მთავარია, განუსაზღვრელი ვადით იცავს. ამდენად, შეუძლებელია მასში არ მოიაზრებოდეს სასჯელმოსხილი პირიც.

სისხლის სამართალში გამოიყენება ინტერპრეტაციის თანამედროვე მეთოდებიც, ესენია: კონსტიტუციის შესაბამისი ახსნა-განმარტება, ევროგაერთიანების სამართლის შესაბამისი ახსნა-განმარტება, ტელეოლოგიური შეზღუდვა (რედუქცია), ტელეოლოგიური განვრცობა (ექსტენზია) და “არგუმენტუმ ა ფორტიორი”.<sup>10</sup>

კონსტიტუციის შესაბამისი ინტერპრეტაციის მეთოდი განიხილება, ასევე, ტელეოლოგიური ან სისტემური განმარტების ნაირსახეობად. არ შეიძლება სისხლის სამართლის კანონის ნორმა ისე იქნეს ინტერპრეტირებული, რომ იგი კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდეს.<sup>11</sup>

ევროპის კავშირის ფარგლებში გამოიყენება ე.წ. ევროგაერთიანების სამართლის შესაბამისი ინტერპრეტაციის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ევროპული სამართლის უპირატეს გამოყენებას. სხვაგვარად აღნიშნულ განმარტებას შედარებითსამართლებრივ განმარტებასაც უწოდებენ. ევროკავშირის შესაბამისი ახსნა-განმარტების მეთოდი გამოირჩევა იძულების მაღალი ხარისხით და აიძულებს უამრავ ქვეყანას მოახდინონ ევროპული

9 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, ქ. თბილისი, 2012 წლის 11 იანვარი, საქმე №1აგ-12.

10 ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013 წელი, გვ.35.

11 იქვე, გვ.36



სამართლის შესაბამისი ინტერპრეტაცია.

argumentum a fortiori, ერთი მხრივ, გამოიხატება ფორმულით: argumentum a maiore ad minus და იგი გულისხმობს, რომ უფრო დიდიდან კეთდება დასკვნა პატარაზე.<sup>12</sup> მეორე მხრივ, იგი გამოიხატება ფორმულით: argumentum a minore ad maius, რომელიც გულისხმობს, რომ, პირიქით, უფრო პატარაიდან კეთდება დასკვნა დიდზე.<sup>13</sup>

მიუხედავად განმარტების ხერხების სიმრავლისა, უნდა ითქვას, რომ განმარტების ხერხების დადგენილი იერარქია არ არსებობს, რადგანაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ნორმის შემფარდებელი უნდა გამოვიდეს კონკრეტული შემთხვევის თავისებურებებიდან და ინტერპრეტაცია განახორციელოს „გონივრული თანმიმდევრობის“ დაცვით. ...თუ რომელ ინტერპრეტაციას აირჩევს პიროვნება, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სახელმწიფოს ფილოსოფია აქვს მას... ინტერპრეტაციის თეორიები განხილულ უნდა იქნას არა როგორც მარტივი არჩევანი „სუბიექტურ“ და „ობიექტურ“ ახსნა-განმარტებას შორის, არამედ როგორც ინტერპრეტაციის თეორიების ნაირსახეობა „ობიექტური“ და „სუბიექტური“ ფაქტორების კომბინაციით.<sup>14</sup>

### 3. ნორმის ინტერპრეტაციის სახეები მოცულობის მიხედვით

ნორმა შეიძლება განიმარტოს მოცულობის მიხედვითაც. მოცულობის მიხედვით განმარტება შეიძლება იყოს: სიტყვა-სიტყვითი, განვრცობითი და შეზღუდული.

ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტება უკვე განვიხილეთ განმარტების ძირითადი ხერხების ჩამოთვლისას. ამდენად, მასზე აღარ შევჩერდებით.

12 იქვე, გვ.36.

13 იქვე, გვ.37.

14 ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნჰენი, 2006 წელი (თარგმანი – ლევან თოთლაძე), გვ. 28.

როდესაც კანონის ტექსტში მოაზრებული მოვლენები, ნიშნები, შედეგები და ა.შ. სიტყვა-სიტყვითი განმარტების მიხედვით, ვერ ასახავს კანონის ჭეშმარიტი არსს, მაშინ ნორმის შემფარდებელი კანონის ობიექტური გონიდან გამომდინარე, იყენებს შეზღუდულ (ტელეოლოგიური რედუქცია) ან განვრცობით (ტელეოლოგიური ექსტენზია) განმარტებას. როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, სახეცვლილი ურთიერთობების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა იმას, თუ როგორ ესმოდა კანონი მის მიმღებს, არამედ იმას, თუ რა ობიექტური ნებითაა შეპოჭილი კანონი.

„ტელეოლოგიურ რედუქცია“ ნორმის ობიექტური მნიშვნელობის შეზღუდვას ნიშნავს. ტელეოლოგიური რედუქციის დროს ნორმა არ უნდა იქნეს გამოყენებული, თუ მისი გამოყენება მიგვიყვანს კანონის მიზნის საწინააღდეგო შედეგამდე.

სამწუხაროდ, ტელეოლოგიური რედუქცია ხშირ შემთხვევაში არასწორად გამოიყენება ქართულ სასამართლო პრაქტიკაში და იწვევს ბრალდებულისა თუ სხვა პირების კანონით მინიჭებულ უფლებათა დაუსაბუთებელ შეზღუდვას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 სექტემბრის განჩინებაში აღნიშნულია, რომ ე.წ. საპროცესო სამართლებრივ გამართლებას უთანაბრდება ამნისტიის ან შეწყალების აქტი, კერძოდ, ამნისტიის აქტით ის კი არ დგინდება, რომ პირს არ ჩაუდენია დანაშაული, პირიქით, ამნისტიის აქტის გამოყენება ხდება განაჩენით მსჯავრდებული (დანაშაულის ჩამდენი) პირის მიმართ. ეს არის სახელმწიფოს მხრიდან ჰუმანური მიდგომის დემონსტრირება და დამნაშავე თავისუფლდება სასჯელის შემდგომი მოხდისაგან და ამნისტიის აქტით მას აგრეთვე შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა. ამნისტიის აქტის გამოყენება პირის მიმართ არ ნიშნავს იმას, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია. რა თქმა უნდა, ბრალდებული ნასამართლობის არმქონედ ითვლება, ამიტომ საქართველოს სსსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად „გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლო-

ბის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას”, ანუ სსსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილი გამორიცხავს პირის მდგომარეობის რაიმე ფორმით მატერიალურსამართლებრივ დამძიმებას, მაგრამ სსსკ-ის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილი არ კრძალავს პირის წარსულ ნასამართლობაზე მითითებას მისი პიროვნების შეფასებისას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიზნებიდან გამომდინარე”<sup>15</sup>

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული განმარტებით, შესაძლებელია უკვე გაქარწყლებული ნასამართლობის გამოყენება, თუ იგი პირის უფლებების მატერიალურ-სამართლებრივ დამძიმებას არ ეხება. აღნიშნული განმარტება ცალსახად დაუსაბუთებელია, რადგანაც შეუძლებელია ნასამართლობისა და მისი გაქარწყლების იმდენად გახლეჩა, რომ იგი მხოლოდ მატერიალური სისხლის სამართლის ინსტიტუტად იქნეს აღქმული. ნორმის ამდაგვარი ინტერპრეტაცია აშკარად წარმოადგენს ტელეოლოგიურ რედუქციას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ნორმის ამდაგვარი შეზღუდვა არ წარმოადგენს ნასამართლობის გაქარწყლების ინსტიტუტის ობიექტურ მიზანს. შესაბამისად, იგი არ შეიძლება გამართლებულ იქნეს. ვინაიდან, გაქარწყლებული ნასამართლობა, ქარწყლება მთლიანი სისხლის სამართლისთვის და მისი, როგორც პირის ან ქმედების მახასიათებლად გამოყენება, აკრძალულია. ამ შემთხვევაში, არ აქვს მნიშვნელობა მოცემული მატერიალურ სისხლის სამართალში ხორციელდება, თუ სისხლის სამართლის პროცესში, რადგან სამართლებრივი სისტემა და, მით უმეტეს, სისხლის სამართალი ერთიანია და დაუშვებელია ერთი და იმავე ტერმინსა და ინსტიტუტს სისხლის მატერიალურ და საპროცესო სამართალში განსხვავებული შინაარსი ჰქონდეს.

რაც შეეხება ნორმის მოცულობის მიხედვით განმარტების მესამე სახეს – ტელეოლოგიურ ექსტენზიას. იმ შემთხვევაში თუ

<sup>15</sup> საქართველოს სააპელაციო სასამართლის განჩინება „ქ. თბილისი, 2016 წლის 9 სექტემბერი, საქმე №1გ/1455.

ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტება წინააღმდეგობაში მოდის მის ობიექტურ მიზანთან და მოითხოვს უფრო მეტს, ვიდრე ეს ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტებითაა შესაძლებელი, ნორმის შემფარდებელმა უნდა იმოქმედოს კანონის მიზნიდან გამომდინარე და ნორმა განმარტოს ტელეოლოგიური განვრცობის (ექსტენზიის) გზით. განვრცობითად განიმარტება კანონში მოცემული დაუსრულებელი ჩამონათვალი და ა.შ.

ტელეოლოგიურ განვრცობასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2007 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებით, არ დაკმაყოფილდა ხაშურის რაიონული პროკურორატურის პროკურორ ზაზა გვრიტიშვილის საკასაციო საჩივარი, რომლითაც კასატორი ითხოვდა განაჩენის გაუქმებას სასჯელის ნაწილში და მის უკან დაბრუნებას სააპელაციო სასამართლოში განსახილველად. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილება სხვა მხრივაც გამორჩეული, კერძოდ, 2007 წლის 23 მაისის ცვლილებებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოღებულ იქნა 184-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა დასჯადობას ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების დროებითი გამოყენების მიზნით, მართლსაწინააღმდეგო დაუფლებისათვის. მსჯავრდებულს სწორედ აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის ჰქონდა სასჯელი შეფარდებული, თუმცა, დიდი პალატის განმარტებით, ის, რომ ამჟამად მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლით გათვალისწინებული სპეციალური შემადგენლობის დანაშაული არ არსებობს, არ ნიშნავს იმას, რომ ამ ქმედებას არა აქვს დანაშაულებრივი ხასიათი, დაკარგა საზოგადოებრივი საშიშროება და მოხდა მისი დეკრიმინალიზაცია. პალატამ აღნიშნა, რომ ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით ასეთი ქმედების დასჯადობას ფაქტობრივად ითვალისწინებს გატაცების ხერხის მიხედვით საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამისი მუხლები, კერძოდ, 177-ე, 178-ე და 179-ე მუხლები. კანონმდებელმა სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღო რა სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე

მუხლი, ამით უარი თქვა, დამნაშავეს განზრახვიდან გამომდინარე ავტომანქანის გატაცების შემთხვევაში, მისი სპეციალური მუხლით დასჯაზე და ერთ სიბრტყეში, კერძოდ, გატაცების ხერხის მიხედვით, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შესაბამის მუხლებში მოაქცია ავტომანქანისა და სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება როგორც დროებითი გამოყენების, ასევე სხვა ფორმით მისი გამოყენების მიზნით. ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის კოდექსის 184-ე მუხლის დისპოზიციაში არ არის მოცემული მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი, არ ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის დროს არ არსებობს ამ ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების განზრახვა დროებით, რა დროსაც დამნაშავე, თავისი შეხედულებით, მხოლოდ დროებით, ანგარებითი მოტივით თავისი სასარგებლოდ გამოიყენებს სხვის საკუთრებას – ავტოტრანსპორტს, რადგან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ნიშნავს იმას, რომ დამნაშავეს ეძლევა შესაძლებლობა, ფლობდეს და განკარგოს სხვისი ქონება, როგორც საკუთარი.<sup>16</sup>

მოცემული გადაწყვეტილებით, დიდმა პალატამ სსკ-ის 184-ე მუხლი განმარტა, როგორც 177-ე, 178-ე და სხვა მუხლების კერძო შემთხვევა და მასში მითითებულ დროებითი გამოყენების მიზანს არ მისცა რაიმე განსხვავებული შეფასება, რითაც სსკ-ის 177-ე, 178-ე და 179-ე მუხლების შემადგენლობის ერთ-ერთი ელემენტი, კერძოდ, „მისაკუთრების მიზანი“ განმარტა ტელეოლოგიური ექსტენზიის გზით. მოცემული განმარტება აშკარად არ შეესაბამება სისხლის სამართლის სახელმძღვანელო პრინციპებსა და დოგმატიკაში აბსოლუტურად გაბატონებულ მოსაზრებებს. პროფესორი მ. ტურავა მიუთითებს, რომ ნორმის ასეთი ინტერპრეტაცია არასწორია, რადგან “მისაკუთრება არ ხდება „დროებით“ რის გამოც უზენაესი სასამართლოს ასეთი ინტერპრეტაცია

16 საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება, ქ. თბილისი, 2007 წლის 28 ივნისი, საქმე №1042აპ

ინვეს სამართლიან კრიტიკას.<sup>17</sup> აღსანიშნავია, რომ ტელელო-  
გიური განვრცობის გამოყენება სისხლის სამართლის ზოგად ნაწ-  
ილში შესაძლებელია, როგორც პიროვნების სასიკეთოდ, ასევე მის  
საზიანოდაც. რაც შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო  
ნაწილს, აქ ტელელოგიური ექსტენზიის გამოყენება შესაძლე-  
ბელია მხოლოდ პიროვნების სასარგებლოდ. ხოლო პიროვნების  
საუარესოდ კერძო ნაწილის ნორმის ტელელოგიური განვრცობა  
სისხლის სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, კანონიერე-  
ბის პრინციპის დარღვევას ნარმოადგენს.

#### 4. განმარტება კანონიერი უსამართლობის წინააღმდეგ – CONTRA LEGEM

„ბრძანება ბრძანებაა“, – ეუბნებიან ჯარისკაცებს. „კანონი  
კანონია“, – ამბობს იურისტი. თუმცა, ამავდროულად, ჯარისკაცს  
არც მოვალეობა და არც კანონი ავალდებულებს ბრძანებისადმი  
მორჩილებას, თუკი მისთვის ცნობილი გახდება, რომ ბრძანების  
მიზანი, დანაშაულის ჩადენა ან სამართალდარღვევის განხ-  
ორციელებაა. ბუნებითი სამართლის უკანასკნელი იურისტის  
გარდაცვალებიდან უკვე საუკუნეებია გასული, შესაბამისად,  
იურისტებისათვის უცნობია, კანონის მოქმედებიდან მსგავსი გა-  
მონაკლისები და მათდამი დაქვემდებარების სავალდებულობა.  
კანონი მოქმედებს, რადგან კანონია. და იგი კანონია, თუკი მისი  
მოქმედება უზრუნველყოფილია შემთხვევათა უმრავლესობაში.<sup>18</sup>

სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგი ზოგადად  
სამართლიანია. თუმცა, ზოგჯერ ხდება ისე, რომ ნორმის სიტყ-  
ვასიტყვითი განმარტება, აშკარად უსამართლო შედეგს იძლევა.  
რა უნდა ქნას ამ შემთხვევაში ნორმის შემფარდებელმა? დაე-  
მორჩილოს უსამართლო ნორმას და ამით დაიცვას სამართლე-

17 ტურავა მ., სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცე-  
მა, თბილისი, 2013 წელი, გვ.38.

18 რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წიგნი, სამართლის ჟურნალი  
– სარჩევი, 2012 წელი (თარგმანი – დიმიტრი გეგენავა), გვ. 247.

ბრივი უსაფრთხოება, თუ განმარტოს ნორმა მისი სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის საწინააღდეგოდ და ამით სამართლიანობა აღადგინოს? აქვს კი ნორმის შემფარდებელს უფლება, კანონი შეუსწოროს კანონმდებელს? საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს. მაგრამ, უნდა დაემორჩილოს თუ არა მოსამართლე ისეთ კანონს, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან? უნდა დაემორჩილოს თუ არა მოსამართლე „უსამართლო“ კანონს?<sup>19</sup>

გუსტავ რადბრუხი აღნიშნავდა, რომ კანონის არსებობა, საერთო ჯამში, ყოველთვის სჯობს კანონის არ არსებობას, ვინაიდან, ეს ყოველივე, როგორც მინიმუმ, უზრუნველყოფს სამართლებრე უსაფრთხოებას. თუმცა სამართლებრივი უსაფრთხოება არ გახლავთ სამართლის ეფექტურობის არც ერთადერთი და არც განმსაზღვრელი მახასიათებელი. სამართლებრივ უსაფრთხოებასთან ერთად, არსებობს ორი სხვა ღირებულება: მიზნობრიობა და სამართლიანობა.<sup>20</sup>

სამართლიანობა იდეალური მდგომარეობაა და წარმოადგენს როგორც სამართალშემოქმედების, ასევე სამართლის შეფარდების მიზანს.<sup>21</sup> სამართლიანობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებას შორის დავა შესაძლებელია გადაწყდეს შემდეგნაირად: პოზიტიური სამართალი, რომელიც კანონმდებლობითა და ძალაუფლებითაა უზრუნველყოფილი, უპირატესია მაშინაც, თუკი უსამართლო და ხალხისათვის ნაკლებ სასარგებლო დებულებებს მოიცავს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კანონსა და სამართლიანობას შორის დავა მიაღწევს ისეთ გაუსაძლის ხარისხს, რომ კანონმა, როგორც „ნაკლოვანმა სამართალმა“ უნდა დაუთმოს

19 ხუბუა გ., *contra legem* საქართველოს სახელით? ჟურნალი ინტერპრესნიუსი, 2015წელი.

20 რადბრუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წიგნი, სამართლის ჟურნალი – სარჩევი, 2012 წელი(თარგმანი – დიმიტრი გეგენავა), გვ. 321.

21 ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004 წელი, გვ.67.

სამართლიანობას. როცა სამართლიანობისკენ სწრაფვის მცდელობაც კი არ არსებობს, როცა თანასწორობა, როგორც სამართლიანობის არსი (ბირთვი), განზრახ უგულვებელყოფილია პოზიტიური სამართლის შემუშავებისას, მაშინ კანონი არა მხოლოდ უბრალოდ „ნაკლოვანი სამართალია“, არამედ თავად მისი ბუნებაც კი არასამართლებრივია.<sup>22</sup>

ამდენად, როდესაც სამართლის ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტება უსამართლო შედეგამდე მიგვიყვანს, სამართლის შემფარდებელი უფლება-მოსილია ნორმა *contra legem* განმარტოს და ამით სამართლიანობის პრინციპი დაიცვას.

აღსანიშნავია, რომ ნორმის განმარტება მისი სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის საწინააღდეგოდ, შეუძლია არა ყველა იურისტს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ნორმის შემფარდებელ სასამართლოს. აღნიშნული ხორციელდება არა მოსამართლის სუბიექტური შეხედულების საფუძველზე, არამედ მოქმედი მართლწესრიგის ფარგლებში და მისი დაცვის მიზნით.

ნორმის *contra legem* განმარტებასთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 29 ივნისის განაჩენი, რომლის მიხედვითაც დამკაცოფილდა მსჯავრდებულ კ.მ-ეს საჩივარი და მას დანიშნული სასჯელი ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით. საქმის გარემოებები მდგომარეობს იმაში, რომ მსჯავრდებული უზენაესი სასამართლოს მიერ საქმის განხილვისა და განაჩენის გამოტანის დროს იყო სრულწლოვანი<sup>23</sup>, ხოლო იმ დროს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, თუ მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა 18 წელი, სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დანიშნული სასჯელი ჩაუთვალოს პირობით.

22 რადბრუხი გ, სამართლის ფილოსოფიის ხუთი წიგნი, სამართლის ჟურნალი – სარჩევი, 2012 წელი (თარგმანი – დიმიტრი გეგენავა), გვ 322.

23 აღსანიშნავია, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის კ.მ იყო არასრულწლოვანი და მას 18 წელი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე შეუსრულდა.



საკასაციო პალატამ განმარტა რომ, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის მე-5 ნაწილის დებულება ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო აქტებსა და კონვენციებს, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ამ დროს უპირატესი ძალა უნდა მინიჭებოდა საერთაშორისო აქტებით აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს. შესაბამისად, პალატა უფლებამოსილი იყო, არ გამოეყენებინა წინააღმდეგობრივი ნორმა, უპირატესი ძალა მიენიჭებინა საერთაშორისო სტანდარტებისათვის და ემსჯელა კ. მ-ს მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხზე.<sup>24</sup>

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საკასაციო პალატა დაეყრდნო ისეთ სამართლებრივ დოკუმენტებს, როგორებიცაა: „გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“ (პეკინის წესები); „გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის შესახებ“ (ერ-რიადის პრინციპები); „სახელმძღვანელო პრინციპები სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებით მოქმედების შესახებ“ (ვენის პრინციპები); „აფრიკული ქარტია ბავშვის უფლებებისა და კეთილდღეობის შესახებ“ („ბანჯულის ქარტია“) და „ადამიანის უფლებათა ამერიკის კონვენცია“, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და ა.შ.<sup>25</sup>

აღსანიშნავია, რომ საკასაციო სასამართლოს მსჯელობიდან არ ჩანს, თუ რა სახის განმარტებასთან გვაქვს საქმე. ამდენად, შეიძლება გაჩნდეს მოსაზრება, რომ ეს არა განმარტება *contra legem*, არამედ ნორმის სისტემური განმარტება იყო. თუმცა, ნორმის განმარტება, სამართლის ისეთი ზოგადი პრინციპების შესაბამისად, როგორცაა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და ა.შ., არ შეიძლება წარმოადგენდეს ნორმის უბრალო, სისტემურ განმარტებას და იგი ბევრად მეტ წინააღმდეგობას მოიცავს. ვინაიდან, ზოგიერთი ურთიერთობა, შეუძლებელია

24 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, ქ. თბილისი, 2015 წლის 29 ივნისი, საქმე №265აპ-15.

25 იქვე

გადაწყდეს მხოლოდ სამართლის ნორმის საფუძველზე. დეორკინი ასეთ ურთიერთობებს უწოდებს „hard cases“-ს ანუ „რთულ შემთხვევებს“, რომელთა გადაწყვეტა მოსამართლისაგან მოითხოვს „ჭერკულების ძალას“, რამდენადაც მან უნდა განავითაროს სამართლიანი სამართლის სისტემაზე ორიენტირებული კონსტიტუციის პოლიტიკური თეორია.<sup>26</sup> მოცემულ შემთხვევაში, სწორედ ასეთი “რთული შემთხვევა” გვაქვს სახეზე და საკასაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განმარტებაც ნორმის CONTRA LEGEM ინტერპრეტაციას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება უპრეცედენტოა და წარმოადგენს დიდ ნაბიჯს საქართველოში სამართალმემოქმედების განვითარების გზაზე. მ. ოშხარელი, გ. შავლიაშვილი და პ. სილაგაძე მიეკუთვნებიან იმ მოსამართლეთა რიგს, რომლებმაც შეძლეს და გაარღვიეს ეროვნული სამართლით დადგენილი ვინრო ფარგლები, რითაც სამართლიანობას, როგორც სამართლის უმთავრეს მიზანს მისცეს რეალიზაციის საშუალება.

## დასკვნა

წინამდებარე სტატიაში განვიხილეთ ნორმის ინტერპრეტაციის, როგორც შემეცნებით პროცესის არსი და მისი მნიშვნელობა სისხლის სამართალში. სამწუხაროდ, ნორმათა ინტერპრეტაციის პრობლემა, ნაკლებადაა შესწავლილი ქართულ სამართლებრივ თეორიაში, ამიტომ შევეცადეთ, დაგვემუშავებინა აღნიშნული თემა და მეტად გამოგვეკვეთა ის პრობლემები, რომელიც შესაძლოა სამართალგამოყენების პროცესში წარმოიშვას.

სტატიაში ძირითადი ყურადღება გადატანილ იქნა ნორმის ინტერპრეტაციის არაორდინალურ ხერხებზე, კონკრეტულ საქმეთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ხშირად სამართლის შემფარდებლები უფროსიან მათ გამოყენებას და კანონს მხოლოდ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობით განმარტავენ.

26 ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004 წელი, გვ. 164.

ნორმის ინტერპრეტაციის ისეთი მეთოდი, როგორც ტელე-ოლოგიური განვრცობა (ექსტენზია) და ტელეოლოგიური შეზღუდვა (რედუქცია), სხვა ხერხებისგან განსხვავებით, უფრო საფუძვლიან და ფრთხილ მიდგომას საჭიროებს, რადგანაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სამართალშემფარდებელმა უნდა გაითვალისწინოს ნორმის ადგილი სისხლის სამართლის სისტემაში, მისი ობიექტური მიზანი და ისტორია რაც, თავის მხრივ, უამრავ რისკთანაა დაკავშირებული.

აღსანიშნავია ნორმის CONTRA LEGEM განმარტების მნიშვნელოვანი როლი სამართლის განვითარებაში. ახალგაზრდა სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედების პირობებში, მოსამართლის მიერ კანონმდებლის შეცდომის გამოსწორება შეიძლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს და წარმოადგენდეს უკანასკნელ საშუალებას ადამიანის უფლებათა დაცვისათვის. კარგი იქნებოდა, ნორმის ინტერპრეტაცია მისი სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის საწინააღდეგოდ უფრო მეტად იყოს გამოყენებული სასამართლო პრაქტიკაში.

ნორმათა ინტერპრეტაცია არა მარტო სამართლებრივ, არამედ ფილოსოფიურ გააზრებასაც მოითხოვს. მიგვაჩნია, რომ ინტერპრეტაცია, როგორც შემეცნებითი პროცესი, არათუ სისხლის სამართლის, არამედ სამართლის ყველა დარგისთვის მნიშვნელოვანი პროცესია, რომლის სწორად წარმართვაც, სამართლიანობის იდეის მატერიალურ განხორციელებამდე მიგვიყვანს.

ნორმის განმარტებას, თუ იგი არსებული მართლწესრიგის ფარგლებში, სამართლიანობის იდეას ემყარება, უდიდესი სამართლებრივი სიკეთის მოტანა შეუძლია, ხოლო, თუ იგი დაუსაბუთებლად ზღუდავს სუბიექტის უფლებებსა და არ ემსახურება მართლწესრიგის დაცვას, შესაძლოა ბოროტების საფუძველი გახდეს. სწორედ ეს არის ის ბუნვის ხიდი, რომლის გავლაც სამართალშემფარდებელს ყოველ ახალ შემთხვევაში, ახლიდან უწევს და მოითხოვს იმ ძალას, რომელიც მხოლოდ, მაღალი სამართლებრივი კულტურის მქონე პირს შეიძლება გააჩნდეს.

## ბიბლიოგრაფია

### ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995 წ.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2000 წ.
3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2010 წ.
4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015 წ.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. დვალიძე ი. თუმანიშვილი გ. გვენეტაძე ნ. კაზუსის ამოხსნის მეთოდის სისხლის სამართალში, თბილისი, 2015 წ.
2. ინჩკირველი გ. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბილისი, 2003 წ.
3. რადბრუხი გ. სამართლის თეორიის ხუთი წიგნი, სამართლის ჟურნალი – სარჩევი, 2012 წ.
4. ტურავა მ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, თბილისი, 2013 წ.
5. ციპელიუსი რ, იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მიუნჰენი, 2006 წ.
6. ხუბუა გ. contra legem საქართველოს სახელით? ჟურნალი ინტერპრესნიუსი, 2015 წ.
7. ხუბუა გ. სამართლის თეორია, თბილისი, 2004 წ.

### სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, ქ. თბილისი, 2015 წლის 29 ივნისი, საქმე №265აპ-15.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება, ქ. თბილისი, 2007 წლის 28 ივნისი, საქმე №1042აპ
3. საქართველოს სააპელაციო სასამართლის განჩინება, ქ. თბილისი, 2016 წლის 9 სექტემბერი, საქმე №1გ/1455.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, ქ. თბილისი, 2012 წლის 11 იანვარი, საქმე №1აგ-12.

---

---

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:**

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 1999 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Başkaya and Okçoğlu v. Turkey.

## მარიამ ბეგიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი

# შინაპატიმრობა და მისი აღსრულება

## შესავალი

საქართველო განეკუთვნება იმ ქვეყანათა რიცხვს, სადაც მოქმედებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალური კოდექსი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ევროპულ სტანდარტებსა და ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციასთან. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის კუთხით წინგადადგმულ ნაბიჯს, რომელიც მთლიანად მიმართულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვისაკენ. ბავშვის მიმართ ყველა მოქმედებაში იმის მიუხედავად, მიმართავენ მას სოციალური უზრუნველყოფის საკითხზე მომუშავე სახელმწიფო, ადმინისტრაციული თუ კერძო დაწესებულებები, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები, უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.<sup>1</sup> სწორედ ბავშვთა საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფისათვის შექმნილია საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც გადანყვეტილების მიღების პროცესში მიზნის მიღწევის ყველაზე მსუბუქი საშუალების გამოყენების პრიორიტეტულობას ითვალისწინებს.

გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის თანახმად, თავისუ-

<sup>1</sup> ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია (1989 წლის 20 ნოემბერი), მუხლი 3 (1)

ფლების აღკვეთა გამოყენებულ უნდა იქნეს უკიდურეს შემთხვევაში და მხოლოდ უმოკლესი დროის განმავლობაში. თავისუფლების აღკვეთის ლიმიტირება – როგორც რაოდენობრივად, ასევე ხანგრძლივობის თვალსაზრისით- საერთაშორისო ინსტიტუტების ქვაკუთხედია.<sup>2</sup> ამის შესაბამისად, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გვთავაზობს სასჯელის ალტერნატიულ სახეებს, მათ შორის, სრულიად ახალ სახეს - შინაპატიმრობას, რომელიც 2015 წლის 1 სექტემბერს ამოქმედდა.<sup>3</sup> სტატიაში განხილული იქნება შინაპატიმრობის გამოყენების ზოგადი საფუძვლები. ასევე გაანალიზებული იქნება შინაპატიმრობის გამოყენებასთან და მის აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები. სტატიაში გამოკვეთილია შინაპატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, გამოყენების საპროცესო ნორმები ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით.

## 1.1. შინაპატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახე

შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე, ქართული სამართლებრივი სივრცისათვის ნოვაციას წარმოადგენს, თუმცა 1998 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 152-ე მუხლით, შინაპატიმრობა მიეკუთვნებოდა საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთ ფორმას. დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს შინაპატიმრობას, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახეს, თუმცა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მისი განხილვა ძველად მოქმედი საპ-

2 ვაიკუნდი, უ. მართლმსაჯულება ბავშვებისთვის, საუნივერსიტეტო კურსი, საკითხავი მასალა სტუდენტებისთვის, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი, 2013, (ლექცია 5).

3 მახარობლიძე თ., შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში, წიგნში: გურამ ნაჭყებია-75 საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016, გვ 281.

როცესო ნორმების მიხედვით. პატიმრობის შემდეგ შინაპატიმრობა უმკაცრესი საპატიმრო აღკვეთის ღონისძიება იყო, რომელიც გამოიყენებოდა მარტოოდენ იმ პირის მიმართ, რომლის „სრული იზოლაციაც აუცილებელი არ იყო“. კანონი არ განმარტავდა, თუ რა იგულისხმებოდა „სრული იზოლაციის“ ცნების ქვეშ. „აშკარაა, რომ აქ სრული იზოლაცია გულისხმობს დაპატიმრებას, ე.ი. ლაპარაკია იმაზე, რომ ამ პირის დაპატიმრება აუცილებელი არ არის“.<sup>4</sup> ასეთი აუცილებლობის მომენტი კი, ცხადია, შეფასებითი იყო და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საქმის გარემოებათა გათვალისწინებით მოსამართლის მიერ განისაზღვრებოდა. მიუხედავად ამისა, შინაპატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახე, გამოიყენებოდა მხოლოდ გარკვეული კატეგორიის პირთა მიმართ. კერძოდ, 1998 წლის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, სუბიექტები, რომლის მიმართაც გამოიყენებოდა შინაპატიმრობა, იყვნენ: პირველი ან მეორე ჯგუფის ინვალიდი, მძიმე ქრონიკული ან ინფექციური სნეულებით დაავადებული, 12 კვირაზე მეტი ხნის ორსული, აგრეთვე, იმ პირის მიმართ, რომელსაც ჰქონდა მძიმე ოჯახური მდგომარეობა. ვფიქრობთ, ყველაზე მეტად სადავო სწორედ ეს უკანასკნელი პირთა ჯგუფი უნდა ყოფილიყო. პირის მძიმე ოჯახური მდგომარეობა არის შეფასებითი კატეგორია და მისი დადგენა ხდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, გარემოებათა ერთობლიობის გათვალისწინებით. ასეთი შეიძლება იყოს ბრალდებულის ოჯახის წევრთა ასაკი, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა, ეკონომიკური სიდუხჭირე და სხვ. ძველად მოქმედი საპროცესო ნორმებით, სასამართლო აქტში ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შინაპატიმრობის გამოყენების თაობაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო გადანყევითი შემდეგი საკითხები: „გარკვეულ პირთან ურთიერთობის აკრძალვა, სატელეფონო საუბრის აკრძალვა, კორესპონდენციის გაგზავნისა და მიღების აკრძალვა, სახლიდან გასვლის აკრძალვა,

4 გაბისონია ი. აღკვეთის ღონისძიების სახეები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2003წ, გვ 139.



მისი საცხოვრებლისთვის პოლიციის ზედამხედველობის მიჩენა, მის ქცევაზე პოლიციის ზედამხედველობის დაწესება.“ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ შინაპატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახე, წარმოადგენდა თავისუფლების შეზღუდვას განსაზღვრული ვადით, სახლიდან გასვლის აკრძალვით და კანონით დადგენილი სხვა შეზღუდვების დაწესებით.<sup>5</sup> სასამართლო პრაქტიკის ანალიზით ირკვევა, რომ შინაპატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, თითქმის ყველა კატეგორიის დანაშაულთა საქმეზე გამოყენებული, მათ შორის იმ ბრალდებულთა მიმართაც, რომლებიც იმხილებიან მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში, კერძოდ, კვალიფიციური ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, თაღლითობა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, ნარკოტიკულ საშუალებათა გასაღება და ა.შ. არ არის გამოყენებული მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობის საქმეებზე.<sup>6</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქმედი საპროცესო კოდექსის მიხედვით, შინაპატიმრობა აღკვეთის ღონისძიების სახედ არ გამოიყენება.

## 1.2. შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე

ქართულ კანონმდებლობაში შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე, სიახლეა, თუმცა იგი დიდი ხანია გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკაში. ისტორიიდან ცნობილია, რომ შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის ერთ-ერთი სახე, პირველად 1600 წელს იქნა გამოყენებული ცნობილი მეცნიერის, გალილეო გალილელის, მიმართ.<sup>7</sup> თანამედროვე გაგებით, შინაპატიმრობის გამოყენება დაიწყო აშშ-ში, კერძოდ „1987 წელს დაიწყო შინაპატიმრობის ელექტრონული მონიტორინგის გამოყ-

5 ბენიძე ვ., დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2003, გვ 119

6 იქვე

7 <http://chnm.gmu.edu/history/faculty/kelly/wciv/science/galileo.htm>. (n.d.).

ენება და 1990 წელს 47 შტატში 12000 მსჯავრებულის, ხოლო 2002 წელს უკვე 100000 პირის მიმართ იყო გამოყენებული. შინაპატიმრობა ევროპაში პირველად გამოიყენეს დიდ ბრიტანეთში (1989-1990), შვედეთსა (1994) და ჰოლანდიაში (1995 წელს).<sup>8</sup> სწორედ ამ დროიდან იზრდება მისი პრაქტიკული დანიშნულება. შინაპატიმრობა წარმოადგენს ალტერნატიული სასჯელის ერთ-ერთ ფორმას. მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, ალტერნატიული სასჯელები სასჯელის ჰუმანურ სახეს წარმოადგენს. ისინი რეალურად თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივაა და მათი ხშირი გამოყენება სასჯელის მთავარ მიზანს, დანაშაულის თავიდან აცილებას ემსახურება.<sup>9</sup> შინაპატიმრობა არ არის პირობითი მსჯავრი. ის არც თავისუფლების აღკვეთაა. ვფიქრობ, ის პირობითი მსჯავრისა და თავისუფლების აღკვეთის შუალედურ ფორმას წარმოადგენს. შინაპატიმრობა არის სასამართლოს მიერ დამნაშავისათვის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა. სასჯელის მოხდის ახალ ფორმას, შინაპატიმრობას, ითვალისწინებს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. მისი 69-ე მუხლის თანახმად, შინაპატიმრობა ნიშნავს არასრულწლოვნისათვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა შეიძლება დაეკისროს 6 თვიდან 1 წლამდე ვადით, მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენს ქვეყანაში შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე, ახალი დამკვიდრებულია, სწორედ ამიტომ მისი გამოყენება საჭიროებს მეტად ფრთხილ და განსაკუთრებულ მიდგომას.

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა შინაპატიმრობის 3 ფორმას იცნობს:

8 შალიკაშვილი ვ, მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016, გვ 136

9 ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2016, გვ 304

1. აბსოლუტური შინაპატიმრობა, რომლის დროსაც პირს ეკრძალება საცხოვრებელი ადგილის დატოვება. ამ დროს სახლი არის ციხე. ასეთ მსჯავრებულს არ შეუძლია სახლიდან გასვლა, არც მუშაობა და არც სტუმრის მიღება;<sup>10</sup>

2. შინაპატიმრობა საქმიანობის უფლებით. ამ კატეგორიის შინაპატიმრობამისჯილ პირს უნარჩუნდება სწავლისა და მუშაობის შესაძლებლობა, რელიგიურ და სამედიცინო დაწესებულებაში სიარულის უფლება;

3. თავისუფალი შინაპატიმრობა – პირი, ვალდებულია მხოლოდ ღამის საათებში დაფიქსირდეს საცხოვრებელ ადგილას.<sup>11</sup>

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.

ამკ-ის 69-ე მუხლის მეოთხე ნაწილის ჩანაწერი აშკარად მიუთითებს, რომ საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი იცნობს შინაპატიმრობის მეორე სახეს ანუ შინაპატიმრობას საქმიანობის უფლებით. ამ დროს მსჯავრდებულს აქვს განათლების მიღებისა და ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების შესაძლებლობა, რაც მისი გამოსწორებისათვის ხელშემწყობი ფაქტორია.

შინაპატიმრობა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შეიძლება დანიშნულ იქნეს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ჩვენი აზრით, მაშინ, როდესაც შინაპატიმრობა ინიშნება მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, არ არის მიზანშეწონილი მისი დანიშვნა დამატებით სასჯელად. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულია გაითვალისწინ-

10 შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016, გვ 136

11 <http://lawfacts.ca/criminals/sentences>. (n.d.).

ოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლები. კერძოდ, ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვ. ზემოქმედების ზომა უნდა იყოს არა მარტო სამართალდარღვევის სიმძიმისა და გარემოებების პროპორციული, არამედ ასევე არასრულწლოვნის მდგომარეობისა და მოთხოვნების, ასევე საზოგადოების მოთხოვნების პროპორციული.<sup>12</sup> სასჯელის დანიშვნისას მოსამართლემ უნდა გააცნობიეროს, რომ არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნის მიზანი არის არა მხოლოდ მსჯავრდებულის პოზიტიური პასუხისმგებლობის აღდგენა, არამედ მისი აღზრდაც. სასჯელის მიზნად დასჯის აღიარება გამორიცხულია არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. არასრულწლოვანთა მიმართ სასჯელის გამოყენების ძირითადი მიზანია მათი რესოციალიზაცია და გამოსწორებული სახით საზოგადოებაში დაბრუნება.<sup>13</sup> აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა, არის სასჯელის ერთ-ერთი ყველაზე ლოიალური ფორმა, რადგან მსჯავრდებულს საშუალება აქვს იყოს ოჯახთან და მათი დახმარებით გაანალიზოს დაშვებული შეცდომები, გადადგას კონკრეტული ნაბიჯები წარსულში ჩადენილი ქმედებების გამოსასწორებლად.

საზოგადოების ნაწილი შეიძლება ფიქრობდეს, რომ სასჯელის ეს ფორმა ადეკვატური არ არის კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულთან, რადგან პირს მხოლოდ დღის გარკვეულ მონაკვეთში სახლიდან გასვლა ეზღუდება და ალტერნატიული სასჯელის ეს სახე უფრო მეტად

12 გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ – „პეკინური წესები“, მე-17 (1) პრინციპი

13 ლეკვეიშვილი მ., სასჯელის ინდივიდუალიზაცია როგორც სასჯელის შეფარდების მნიშვნელოვანი პრინციპი, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ.2016, გვ.175

ჰგავს არასრულწლოვნის დასასვენებლად გამგზავრებას, ვიდრე სასჯელის სახეს, რომლის მიზანიც საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, უნდა იყოს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტი, რომ შინაპატიმრობა ენიშნება არასრულწლოვანს, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული ანუ ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას. გარდა აღნიშნულისა, შინაპატიმრობა არ ნიშნავს იმას, რომ შინაპატიმრობამისჯილი პირი იძულებულია მხოლოდ დღის განმავლობაში იყოს სახლში და ის ყველა დანარჩენი ვალდებულებისაგან თავისუფალია. სასამართლომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, მუდმივი ბინადრობის ადგილსამყოფელიდან გაუსვლელობის გარდა, ზემოაღნიშნული კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილით შეიძლება დააკისროს გარკვეული მოვალეობების შესრულება, კერძოდ, არ შეიცვალოს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი. ასევე, სასამართლოს შეუძლია დააკისროს არასრულწლოვანს სხვა მოვალეობებიც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას. ამ დროს გათვალისწინებული უნდა იყოს, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის საუკეთესო ინტერესები ანუ „არასრულწლოვანის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებსა და არასრულწლოვანის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება“.

არასაპატიმრო სასჯელის ეს სახე არის ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური სასჯელთა შორის, რომელიც იცავს არასრულწლოვნის ჰუმანიტარული განვითარების უფლებას. თავისუფლების აღკვეთის

ან თავისუფლების შეზღუდვისაგან განსხვავებით, კანონთან წინააღმდეგობაში მყოფი არასრულწლოვანი სასჯელს იხდის ოჯახში, მისთვის კარგად ნაცნობ გარემოში. ოჯახის წევრების გარემოცვაში სასჯელის მოხდა კი, მიგვაჩნია, რომ მსჯავრდებულს უნარჩუნებს სოციალური ხასიათის ქცევებს. მოზარდისთვის ოჯახი არის არა მხოლოდ საკუთარი იდენტიფიკაციის ობიექტი, არამედ მოზარდის საზოგადოებრივი და სოციალური იდენტიფიკაციის ერთგვარი ხიდი.<sup>14</sup> ოჯახში სასჯელის მოხდა ეხმარება არასრულწლოვანს, თავი არ იგრძნოს გარიყულად, მიტოვებულად, მარტოსულად. ვფიქრობთ, რომ ოჯახს დიდი როლი მიუძღვის ადამიანის პიროვნულ ჩამოყალიბებაში, რადგან ბავშვი ოჯახში ვითარდება, იზრდება და საზოგადოების წევრად ყალიბდება. სწორედ ოჯახში უყალიბდება მოზარდს ზრდილობა, ზნეობა, ეტიკეტი და ქცევის კულტურა. მიუხედავად თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განხორციელებული პროგრამებისა, რომელთა მიზანიც არასრულწლოვნის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციაზე ზრუნვაა, ის ვერასოდეს იქნება ოჯახის, უდიდესი სოციალური ინსტიტუტის, შემცველი, რადგან ყველაზე მეტად არასრულწლოვანი დაცულად თავს საკუთარ სახლში, ოჯახურ გარემოში გრძნობს.

ცნობილია, რომ პენიტენციურ სისტემაში ყოფნა დაკავშირებულია გაზანდობიერებულ სტრესთან.<sup>15</sup> პენიტენციური სტრესის არის სტრესი, რომელიც დაკავშირებულია გამოსასწორებელ დაწესებულებაში, თავისუფლების აღმკვეთ ღონისძიებასთან, რაც ნეგატიურად აისახება ინდივიდის ფსიქიკაზე. არასრულწლოვნის შემთხვევაში კი მდგომარეობა გაცილებით მძიმეა. ფსიქოგენური დაავადებები მეტად ხშირია ამგვარ გარემოში მყოფ მოზარდებში. პენიტენციური სტრესი ტოვებს რა ღრმა

14 შალიკაშვილი მ, კრიმინოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2010, გვ 219

15 ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები, წიგნი: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2016, გვ.352

კვალს მოზარდის ფსიქიკაზე, არასასურველი დინამიკის შემთხვევაში ხელს უწყობს პიროვნული დევიაციის გაჩენას, რომელიც შესაძლოა მეტად გამყარდეს ანდა გამოიხატოს მძიმე ფსიქიკური აშლილობით.<sup>16</sup> არასრულწლოვანი განეკუთნება ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელთა ფსიქიკა არამდგრადი და ჩამოუყალიბებელია. მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმდება ახლობელი ადამიანებისაგან განცალკევების შემდეგ. მართალია, საქართველოს პატიმრობის კოდექსი ითვალისწინებს პაემანის უფლებას, მაგრამ იგი ვერასოდეს გახდება არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის ოჯახის შემცველი.

შესაბამისად, სასჯელის სახედ შინაპატიმრობის გამოყენების შემთხვევაში, არასრულწლოვნის მიმართ პენიტენციური სტრესიდან გამომდინარე, უარყოფითი შედეგები თითქმის არ გვაქვს, რადგან კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი სასჯელს სახლის პირობებში იხდის. მიუხედავად იმისა, რომ შინაპატიმრობის დროს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესში ოჯახს დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მოსამართლემ არასაპატიმრო სასჯელის ამ სახის გამოყენებისას კარგად უნდა გააანალიზოს, თუ რამდენად მიზანშეწონილია არასრულწლოვნის ოჯახში გაჩერება. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი მოზარდზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს, თავს არიდებს ან არაჯეროვნად ასრულებს მშობლის უფლებებს, ასეთ დროს შინაპატიმრობის მისჯა სასურველი არ არის, რამეთუ შინაპატიმრობის დროს მსჯავრდებულის გამოსწორებისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თავად ოჯახში არსებულ ატმოსფეროს და მის გავლენას ახალგაზრდის ცხოვრებაზე. არასრულწლოვნისათვის სასჯელის ფორმად შინაპატიმრობის დადგენით, სახელმწიფო ოჯახთან ერთად იღებს პასუხისმგებლობას ბავშვის აღზრდაზე, რაც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის გამოსწორებისა და საზოგადოების სრულფასოვან წევრად დაბრუნების საფუძველია. რა თქმა უნდა,

<sup>16</sup> ტყეშელაშვილი ნ., პენიტენციური სტრესი და მისი გამკლავების სტრატეგიები არასრულწლოვან მჯსავრდებულებთან, სამაგისტრო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014 წ. გვ.9

შინაპატიმრობის დროს მაღალია რისკი იმისა, რომ არასრულწლოვანი განმეორებით ჩაიდენს უკანონო ქმედებას, მაგრამ, ვფიქრობთ, ეს რისკი გამართლებულია და არ შეიძლება მხოლოდ იმიტომ შევიკავოთ თავი არასრულწლოვნისათვის შინაპატიმრობის გამოყენებისაგან, რომ მის მიმართ ნდობა ნაკლებია. ჩვენი აზრით, ყველა ადამიანს, განსაკუთრებით კი – არასრულწლოვანს, უნდა მიეცეს შანსი საკუთარი ქცევით დაუმტკიცოს საზოგადოებას თავისი გამოსწორების გულწრფელი სურვილი. სწორედ ამ „შანსს“ წარმოადგენს შინაპატიმრობა, რომელიც მთლიანად ნდობაზეა დამყარებული. შინაპატიმრობის დროს მთავარი ადგილი არასრულწლოვანს უკავია და მისი გადასაწყვეტია, რამდენად აქვს სურვილი რომ გახდეს საზოგადოების ნაწილი.

არასრულწლოვანის მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, არასრულწლოვანს აქვს ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი თუ სოციალური განვითარების უფლება. აქედან გამომდინარე, არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. არასრულწლოვნის ჩამოყალიბებისათვის განათლება უმნიშვნელოვანესია. განათლების ხელმისაწვდომობაში ვგულისხმობთ, როგორც პროფესიულ, ისე უმაღლეს განათლებას. განათლების უფლება ადამიანის ბუნებით მინიჭებული და კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა. განათლების კონსტიტუციური უფლება თითოეულ ადამიანს აძლევს განვითარების თანაბარ შანსს.<sup>17</sup> განათლება პროფესიის დაუფლების წინასაფეხურია, ორივე ერთად კი – უმნიშვნელოვანესი კომპონენტი ცხოვრებაში ინტეგრირებისათვის.<sup>18</sup> თვით ვიქტორ ჰიუგო ამბობდა: „გსურთ აღმოფხვრათ დანაშაულებანი? გაავრცელეთ ხალხ-

17 იზორია ლ., კუბლაშვილი კ., კორკელია კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2005, გვ 399

18 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი 2013, გვ 424



ში განათლება“.<sup>19</sup> განათლების მიღება ეხმარება არასრულწლოვანს ჩამოყალიბებასა და თავის შეცდომების გაანალიზებაში. ეს უკანასკნელი კი კარგი საშუალებაა არასრულწლოვნის რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ პიროვნებად დამკვიდრებისათვის.

თავის მხრივ, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია ემსახურება მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანის ზნეობისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემასა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას. განსხვავებით შინაპატიმრობისაგან, თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის შემთხვევაში რესოციალიზაციის პროცესს ახასიათებს გარკვეული თავისებურებები და ის მეტად პრობლემატურია. პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული პირობები ძლიერ ზემოქმედებას ახდენს არასრულწლოვან მსჯავრდებულზე, რადგან ისინი რადიკალურად განსხვავდება რიგითი მოქალაქის ცხოვრების პირობებისაგან. პენიტენციური დაწესებულებისათვის დამახასიათებელია ცხოვრების მონოტონურობა, ინფორმაციის მინოდების შეზღუდვა, მარტოობა, ოჯახის წევრებთან და ახლობლებთან შეზღუდული კონტაქტი, პირადი სივრცის შეგრძნების დაკარგვა. ამასთანავე, საპატიმრო სასჯელის გამოყენების შემთხვევაში, არასრულწლოვანი დაცული ვერ იქნება კრიმინალური სუბკულტურისაგან. ზემოაღნიშნული კი, ბუნებრივია, ზიანის მეტს არაფერს მოუტანს არასრულწლოვნის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. შინაპატიმრობის გამოყენების შემთხვევაში ზემოთ მითითებული რისკები დაბალია, რადგან მსჯავრდებულის სასჯელს იხდის ოჯახში და მას აქვს განათლების მიღებისა და მუშაობის უფლება. მართალია, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასაც აკისრია ვალდებულება მისცეს განათლება არასრულწლოვანს, თუმცა მაინც არსებობს გარკვეული პრობლემები. აღნიშნული ნაკლებად ეხება ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობას არასრულწლოვანი მსჯავრდებულების

19 <http://www.quotesigma.com/75-memorable-quotes-by-victor-hugo/>

მხრიდან, მაგრამ, როდესაც საქმე საუნივერსიტეტო განათლებას ეხება, პენიტენციურ დაწესებულებებში თავს იჩენს მთელი რიგი პრობლემები. კერძოდ, არასრულწლოვანი საშუალოდ 16-18 წლის ასაკში ამთავრებს სკოლას. საქართველოს კანონმდებლობით არასრულწლოვან მსჯავრდებულებს აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ ერთიან ეროვნულ გამოცდებში. მსჯავრდებულის მიერ გამოცდების წარმატებით ჩაბარებასა და უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის შემთხვევაში, ეჭვის ქვეშ დგება მსჯავრდებულის მიერ უმაღლესი განათლების მიღებას შესაძლებლობის საკითხი, რადგანაც, განვითარებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, ამ ეტაპზე საქართველოში არ ფუნქციონირებს დისტანციური სწავლების მეთოდის კონსტრუქციული მიმართულება, რომლის საშუალებითაც მსჯავრდებულს საშუალება ექნებოდა უნივერსიტეტში მიუსვლელად, კომპიუტერის საშუალებით მოესმინა ლექციები, ჩაებარებინა გამოცდები და დაეგროვებინა კრედიტები. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ შინაპატიმრობა, საპატიმრო სასჯელებისაგან განსხვავებით, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს განათლების მიღების აბსოლუტურ თავისუფლებას აძლევს. შინაპატიმრობის დროს პირი უფლებამოსილია მიიღოს ზოგადი და უმაღლესი განათლება, ჩააბაროს პროფესიულ სასწავლებელში და დაეუფლოს ხელობას კონკრეტული მიმართულებით.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას. შესაბამისად, შინაპატიმრობა საშუალებას აძლევს მსჯავრდებულს იყოს დასაქმებული მხოლოდ ანაზღაურებად სამუშაოზე და არჩინოს როგორც საკუთარი თავი, ისე ოჯახი. ეს კი, კანონმდებლობის მიერ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით წინგადადგმული ნაბიჯია, რადგან დასაქმებული ადამიანი რეალიზებულად გრძნობს თავს, ეს კი, თავის მხრივ, დანაშაულის რეციდივის რისკს ამცირებს.

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ კანონში არსებული ჩანაწერის მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი უფლებამოსილია სასჯელის მოხდისას იმუშაოს მხოლოდ ანაზღაურებად სამუშაოზე. კანონმდებლობაში არ არის საუბარი მსჯავრდებულის მოხალისეობრივ საქმიანობაზე, რაც, კანონში არსებული ჩანაწერიდან გამომდინარე, ნიშნავს იმას, რომ შინაპატიმრობის დროს მსჯავრდებული უფლებამოსილი არ არის შეასრულოს სამუშაო, საიდანაც არ იღებს ფინანსურ სარგებელს. მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული მიდგომა სამუშაოების კლასიფიკაციის კუთხით გამართლებული არ არის. მართალია, სასჯელის მოხდის პირობებში ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება მნიშვნელოვანია პირის რეაბილიტაცია-რესოციალიზაციისათვის, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობის მქონეა ამ მიმართულებით არასრულწლოვნის ჩაბმა მოხალისეობრივ საქმიანობაშიც. მაგალითად, გარემოს დასუფთავება, ცხოველთა დაცვა, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვ. სწორედ ამიტომ, ვფიქრობთ, რომ შინაპატიმრობის დროს ნებადართული უნდა იყოს არა მხოლოდ ანაზღაურებადი, არამედ მოხალისეობრივი სამუშაოს შესრულებაც შინაპატიმრობამისჯილი პირის მიერ. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის მე-4 ნაწილში არსებული ჩანაწერი ხარვეზიანია. მიუხედავად მითითებული არასაპატიმრო სასჯელის დროს მსჯავრდებულის მიერ ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების მთელი რიგი სიკეთეებისა, მის რეალიზაციას შეიძლება გარკვეული პრობლემებიც შეექმნას დამსაქმებლის მხრიდან. მეტად საფრთხილოა, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდი, რომელსაც სასჯელის სახით დანიშნული აქვს შინაპატიმრობა, არ გახდეს დისკრიმინაციის მსხვერპლი შრომით ურთიერთობებში. ელექტრონული სამაჯური, რომელიც არის შინაპატიმრობის აღსრულების საშუალება, არის ხილვადი და დამსაქმებელი შესაძლოა მოერიდოს მსჯავრ-

დებული პირის დასაქმებას.<sup>20</sup> მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა დასაქმება მეტად მნიშვნელოვანია, რადგან სტატისტიკის მიხედვით, მეტად მძიმეა იმ მსჯავრდებულთა სტატისტიკური მაჩვენებელი, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს არ მუშაობდნენ.<sup>21</sup> ამასთანავე მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ შინაპატიმრობა საშუალებას იძლევა განიტვირთოს პენიტენციური დაწესებულებები მსჯავრდებულთა რაოდენობისაგან. შინაპატიმრობის მისჯის შემთხვევაში სახელმწიფოს არ მოუწევს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის, კვებისა და სამედიცინო დახმარებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის გამოყენება, რითიც ქვეყანა მნიშვნელოვან თანხას დაზოგავს.

## 2. შინაპატიმრობის აღსრულება

შინაპატიმრობა, როგორც ალტერნატიული სასჯელის ერთ-ერთი სახე, ეფექტური რომ იყოს, აუცილებელია მისი აღსრულებისათვის შესაბამისი ინსტრუმენტების არსებობა. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. ელექტრონული ზედამხედველობის გამოყენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პრობაციის ეროვნული ბიურო. „ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენების წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის N178 ბრძანება აწესრიგებს ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენე-

20 მახარობლიძე თ., შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალური იუსტიციაში, წიგნში: გურამნაჭყებია-75 საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2016, გვ 284

21 შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016, გვ 10

ბას.<sup>22</sup> ზემოაღნიშნული ბრძანების მეორე მუხლის თანახმად,<sup>23</sup> ელექტრონული ზედამხედველობა გულისხმობს ელექტრონული აპარატურის საშუალებით მსჯავრდებულის კონტროლს, ხოლო სასჯელის სახით შინაპატიმრობის გამოყენებისას – სასამართლოს მიერ დადგენილ პერიოდში ელექტრონული აპარატურის გამოყენებით მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილზე ყოფნის უწყვეტ კონტროლს. ელექტრონული მონიტორინგი ტანდემში მუშაობს შინაპატიმრობასთან ერთად.<sup>24</sup> ელექტრონული ზედამხედველობისათვის გამოიყენება ე.წ. „ელექტრონული სამაჯური“, რომელიც არასრულწლოვანს უმაგრდება მაჯაზე ან ფეხზე, ისე რომ მას არ ძალუძს მისი მოშორება. იგი წყალგაუმტარია, მოხერხებულია სატარებლად, იკვებება სპეციალური ელექტრონული წყაროდან. ელექტრონული აპარატურა შედგება გადამცემისა და მიმღებისაგან. გადამცემს წარმოადგენს ელექტრონული სამაჯური, მიმღები კი განთავსებულია სასჯელის აღსრულების ადგილას, შინაპატიმრობის შემთხვევაში კი მსჯავრდებულის საცხოვრებელ ადგილას. იგი მუდმივად მიერთებულია დენის წყაროსთან.<sup>25</sup> შინაპატიმრობამისჯილი პირი სამაჯურის მართვის პუნქტიდან კონტროლდება ანუ მასზე ზედამხედველობა დისტანციურად ხორციელდება. ელექტრონული ზედამხედველობის მართვის აპარატურა განთავსებულია პრობაციის ეროვნულ სააგენტოში მდებარე ელექტრონული ზედამხედველობის მართვის ცენტრში. ეს არის სათანადო წესით დაცული ოთახი. მართვის ცენტრიდან ზედამხედველობა უწყვეტ რეჟიმში, 24 საათის გან-

22 <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3128308>

23 იხ: იქვე

24 ხერხეულიძე ი., სტატია „პრობაციის ინსტიტუტი – არასრულწლოვანთა დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი 85, საიუბილეო კრებული, გამომცემლობა: „იურისტების სამყარო“, თბილისი 2014, გვ 198

25 მჭედლიშვილი-პედრიხი ქ., ელექტრონული ზედამხედველობა, წიგნში: სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2016, გვ 697

მავლობაში, სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამშრომლების მიერ ხორციელდება. პრობაციის ოფიცრის მიერ განხორციელებული მკაცრი ზედამხედველობა გადამწყვეტია ნებისმიერი შინაპატიმრობის ან ელექტრონული მონიტორინგის პროგრამის წარმატებისათვის.<sup>26</sup> მაგრამ რა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ფიზიკურად არ არსებობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების საშუალება. ასეთ დროს, პრობაციის ოფიცერმა გარკვეული პერიოდულობით უნდა გადაამოწმოს მსჯავრდებულის სახლში ყოფნის პირობები.

რა იგულისხმება შინაპატიმრობის პირობათა დარღვევაში? არასაპატიმრო სასჯელის აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ საქართველოს კანონის 44-ე მუხლით, დაკისრებული მოვალეობის მსჯავრდებულის მიერ შეუსრულებლობად მიიჩნევა: ა) პრობაციის ოფიცერის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, და ბ) სასამართლოს მიერ დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა ან მის შესრულებაზე უარის თქმა. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ არასრულწლოვანი არღვევს მითითებული სასჯელის მოთხოვნებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 77-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, პრობაციის სამსახური ვალდებულია მიმართოს სასამართლოს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, რომ მოზარდს შინაპატიმრობა შეეცვალოს სასჯელის სხვა ფორმით.

ამასთან მნიშვნელოვანია ითქვას, რომ ამავე კოდექსის 77-ე მუხლის მე-8 ნაწილით, განაჩენით დანიშნული სასჯელის სხვა სასჯელით შეცვლის შემთხვევაში, არასრულწლოვნის მიერ მოსახდელი სასჯელის ზომის დადგენისას, მოხდელი სასჯელის გათვალისწინებით, ერთმანეთის შესაბამისად ითვლება შინაპატიმრობის 1 დღე, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის 5

26 ხერხეულიძე ი., სტატია „პრობაციის ინსტიტუტი -არასრულწლოვანთა დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი 85, საიუბილეო კრებული, გამომცემლობა: „იურისტების სამყარო“, თბილისი 2014, გვ 199

საათი, ჯარიმის 50 ლარი, თავისუფლების შეზღუდვის 1 დღე და ვადიანი თავისუფლების აღკვეთის 1 დღე. კანონმდებლობა უფლებას აძლევს არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს ან ადვოკატს, სააპელაციო წესით გაასაჩივროს არასაპატიმრო სასჯელის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება მისი გამოტანიდან 1 თვის ვადაში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 78-ე მუხლით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არის საბოლოო და არ საჩივრდება. მნიშვნელოვანია, რომ შინაპატიმრობის დროს გამოყენებული ელექტრონული მონიტორინგის სწორად შერჩევა და გამოყენება. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2014) 4 ნევრი ქვეყნების მიმართ ელექტრონული მონიტორინგის შესახებ, გამოცემული 2014 წლის 19 თებერვალს მოიცავს მითითებას იმის შესახებ თუ როდის უნდა გამოიყენონ ელექტრონული მონიტორინგი. კერძოდ: სისხლის სამართლის საქმის წინასასამართლო ეტაპზე; როგორც პატიმრობის შეწყვეტის ან აღსრულების პირობა; როგორც სისხლის სამართლის სასჯელის აღსრულების ცალკე მდგომი საშუალება ან საზოგადოებრივი საშუალება; პრობაციის სხვა ჩარევასთან ერთად; როგორც პატიმრების ვადაზე ადრე გათავისუფლების ღონისძიება; ციხიდან პირობით გათავისუფლების ფარგლებში; როგორც ინტენსიური მითითების და ზედამხედველობის საშუალება გარკვეული ტიპის დამნაშავეებისათვის ციხიდან გათავისუფლების შემდეგ; როგორც მონიტორინგის საშუალება დამნაშავეების შიდა გადაადგილების დროს და/ან ღია საპატიმრო ტერიტორიაზე; როგორც განსაკუთრებული დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის საშუალება კონკრეტული დამნაშავეებისაგან ან ბრალდებულებისაგან.<sup>27</sup> ელექტრონული მონიტორინგის გამოყენებისას არასრულწლოვანთან ურთიერთობისას პრობაციის ეროვნული სამსახური უნდა მოქმედებდეს გონივრულად, განსაკუთრებული სიფრთხილით. არასრულწლოვანის ზედამხედველობაზე პასუხისმგებელ პრო-

27 შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016, გვ 140

ბაცის თანამშრობელს გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური გადამზადება, როგორც ეს ხდება ამერიკის შეერთებულ შტატებში.<sup>28</sup> ამავე დროს, ელექტრონული მონიტორინგის არ უნდა იწვევდეს ბავშვის ღირსების შელახვას, მის სტიგმატიზაციას. ელექტრონული ფორმით ზედამხედველობის განხორციელება მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ასეთ დროს „დამნაშავეს ესმის, რომ იგი თვალთვალის ობიექტია, მისი გადაადგილება და ადგილსამყოფელი კონტროლდება და ყველაფერი ხელს უწყობს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის პრევენციას – სწორედ ამაში გამოიხატება ელექტრონული მონიტორინგის სარეაბილიტაციო შედეგი.“<sup>29</sup> ელექტრონული მონიტორინგის დადებითი მხარე იმაშიც მდგომარეობს, რომ იაფია და ხელს უწყობს არასაპატიმრო სასჯელების ეფექტურ აღსრულებას, შინაპატიმრობამისჯილი არასრულწლოვნების ეფექტურ კონტროლსა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგავს საბიუჯეტო სახსრებს.

## დასკვნა

ამდენად, შინაპატიმრობა, როგორც არასაპატიმრო სასჯელი, რიგი მიზეზების გამო კრიტიკის ობიექტი ხშირად გამხდარა,<sup>30</sup> მიუხედავად ამისა, მაინც მიგვაჩნია, რომ ის არის სასჯელის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმა, რადგან გამოირჩევა არასრულწლოვნის მიმართ ჰუმანურობით, ხელს უწყობს მის რესოციალიზაციასა და ღირსეულ მოქალაქედ აღზრდას. თუ სასჯელის ეს სახე არასწორად იქნება გამოყენებული, იგი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების რეალიზაციას. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისათვის სასჯელის მისჯა ემსახურება არა დას-

28 (<http://www.probationofficeredu.org/juvenile-probation-officer/how-to-become-a-juvenile-probation-officer/>)

29 არსოშვილი გ., შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., პრობაციის სამართალი, თბილისი 2015, გვ 162

30 (<http://www.statelandrecords.com/3999503.html>)



ჯას, არამედ მის აღზრდას. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტიც, რომ არასრულწლოვან დამნაშავეებს სრულწლოვანი დამნაშავეებისაგან განსხვავებით, არ შეუძლიათ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და ხარისხის სრულად გაცნობიერება, რაც მოზარდის არასაკმაო ინტელექტუალური მომზადებითა და გამოუცდელობითაა განპირობებული. სწორედ ამიტომ სასჯელის მისჯისას მოსამართლე მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ დამნაშავე არასრულწლოვანს შეუფარდოს ნაკლებად მკაცრი სასჯელი. აღნიშნული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-7 მუხლიდანაც გამომდინარეობს.<sup>31</sup> რაც შეეხება საპატიმრო სასჯელებს, როგორცაა თავისუფლების აღკვეთა ან/და თავისუფლების შეზღუდვა, დასჯის ეს ფორმა უნდა გამოვიყენოთ, როგორც უკიდურესი ზომა. სასურველია, სასჯელის ვადაც მინიმალური იყოს. შინაპატიმრობის, როგორც არასაპატიმრო სასჯელის შეფარდებით, სასამართლო აარიდებს არასრულწლოვანს პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრას და მისცემს მას გამოსწორების შანსს. სახელმწიფო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, შედგება არასრულწლოვნებისაგან, მათ შორის იმ მოზარდებისგანაც, რომელთა ცხოვრებაც ცუდად დაიწყო. შესაბამისად, ჩვენ ყველანი ვალდებული ვართ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი კი არ გავკიცხოთ მის მიერ ჩადენილი უკანონო ქმედებისათვის, არამედ მივცეთ შანსი, დავანახოთ გზა უკეთესი მომავლისაკენ, ვუბიძგოთ გამოსწორებისაკენ. აღნიშნული მიზნის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოების მხრიდან არასრულწლოვნების მიმართ მზრუნველობის გამოჩენითა და მათი სათანადო აღზრდით.

31 <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/arasrw.martil.pdf> მუხლი 7

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. არსოშვილი, გ. შალიკაშვილი მ. მიქანაძე, გ, პრობაციის სამართალი, თბილისი 2015
2. ბენიძე ვ. დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2003
3. გაბისონია, ი. აღკვეთის ღონისძიების სახეები სისხლის სამართლის პროცესში, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2003 წ.
4. გურამ ნაჭყებია-75 საიუბილეო კრებული, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2016
5. ვაიკუნდი უ. მართლმსაჯულება ბავშებისთვის, საუნივერსიტეტო კურსი, საკითხავი მასალა სტუდენტებისთვის, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბილისი 2013
6. იზორია, ლ. კუბლაშვილი, კ. კორკელია, კ. ხუბუა, გ. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2005
7. შზია ლეკვეიშვილი 85, საიუბილეო კრებული, გამომცემლობა: „იურისტების სამყარო“, თბილისი, 2014
8. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი 2013
9. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016
10. შალიკაშვილი, მ. კრიმინოლოგია, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2010
11. შალიკაშვილი, მ. მიქანაძე, გ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება (სახელმძღვანელო), გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016.
12. ტყეშელაშვილი, ნ. პენიტენციური სტრესი და მისი გამოკლავების სტრატეგიები არასრულწლოვან მჯსავრდებულებთან, სამაგისტრო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2014 წ.

**გამოყენებული ნორმატიული მასალა:**

1. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია (1989 წლის 20 ნოემბერი)
2. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ

3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი
5. საქართველოს პატიმრობის კოდექსი
6. საქართველოს კანონი „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“
7. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (1998 წელი)
8. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის N 178 ბრძანება

**გამოყენებული ინტერნეტ-რესურსი:**

1. <http://chnm.gmu.edu/history/faculty/kelly/wciv/science/galileo.htm>.  
(n.d.).
2. <http://lawfacts.ca/criminal/sentences>
3. <http://www.probationofficeredu.org/juvenile-probation-officer/how-to-become-a-juvenile-probation-officer/>
4. <http://www.statelandrecords.com/3999503.html>
5. <http://www.quotesigma.com/75-memorable-quotes-by-victor-hugo/>
6. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3128308>

**რუსლან ბედიევი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი*

## **სასჯელის მიზნები გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში**

### **შესავალი**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის გამოყოფს სასჯელის სამ მიზანს, ესენია: სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, ხოლო სასჯელის მიზანი არ უნდა იყოს ადამიანის ფიზიკური ტანჯვა, ან მისი ღირსების დამცირება.

დოქტრინაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, სასჯელის მიზნების ასახვა კანონმდებლობაში გამართლებულია, რადგან ამით „ერთგვარად იზღუდება კანონმდებელი, რომელსაც აღარ ექნება შესაძლებლობა ისეთი სასჯელის დადგენისა, რომელიც ერთის მხრივ, შეუსაბამო იქნება დადგენილი სასჯელის მიზნებისა და მეორეს მხრივ, დაარღვევს ზოგადი და სპეციალური პრევენციის მიზნის მნიშვნელობის თანაზომიერებას.“<sup>1</sup> აღნიშნული მოსაზრება, ნაშრომშიც არის გაზიარებული, თუმცა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში ჩნ-

---

<sup>1</sup> სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში., რედ. თოდუა ნ., გამომცემლობა მერიდიანი, 2016, გვ.159

დება კითხვა: ხომ არ სცდება მოსამართლე სასჯელის მიზნებით მისთვის მინიჭებულ ფარგლებს და რამდენად ატარებს სასჯელი სამაგიეროს მიზლის ფუნქციას გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დროს? ერთ-ერთი ავტორის, იოჰანეს ბიულერის განმარტებით „სასჯელი არის ძალადობა (კარგი ძალადობა), რომელიც უნდა იყოს სწორი, გამართლებული და ლეგიტიმური; ცხადია, ისევ და ისევ იმისთვის, რომ მიღწეულ იქნეს მისი ლეგიტიმური მიზანი. როდესაც ვსაუბრობთ გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულზე, სწორედ სასჯელის გამართლება და ლეგიტიმურობა არის დოქტრინაში კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებული. ყველაფერთან ერთად ისმის კითხვა თუ რამდენად შეიძლება სასჯელმა ატაროს პრევენციული მიზანი დანაშაულებრივი დაუდევრობის დროს, როდესაც პირს არც სურდა მართლსაწინააღმდეგო შედეგი და არც ითვალისწინებდა მას. <sup>2</sup> გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დასჯადობა ვერ საბუთდება ვერც სასჯელის რეტრიბუციული ან შემაკავებელი მიზნებიდან გამომდინარე. <sup>3</sup>

ფაქტია რომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული არსებითად განსხვავდება განზრახ ჩადენილი ქმედებისგან. სწორედ ამ განსხვავებამ აიძულა ჰეგელი, უარი ეთქვა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დასჯადობაზე, რადგან დანაშაული – ეს არის ცალკეული გონის შეგნებული დაპირისპირება საერთო ნებასთან, აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის წესით პასუხი უნდა აგოს მხოლოდ იმ პირმა, ვინც განზრახ მოქმედებდა, რადგან მხოლოდ განზრახვის დროს არსებობს შეგნებული ნებელობითი დამოკიდებულება მართლსაწინააღმდეგო შედეგთან. <sup>4</sup> ჰეგელის ეს რადიკალური პოზიცია, გამონვეულია როგორც ზემოთმოყვანილი მოსაზრებით, ასევე სასჯელის მიზნით, სამ-

2 H.L.A Hart., *Punishment and Responsibility, Essays in the phylosophy of law*, 2<sup>nd</sup> eddition, Oxford university press, 2008, გვ.138

3 იქვე, გვ.138

4 კუტალია ლ, გ., ბრალი სისხლის სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 2000, გვ.237

აგიერო მიზლვოდა დამნაშავეს.<sup>5</sup> გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, კი სამაგიეროს მიზლვა (რეტრიბუცია) კარგავს თავის დანიშნულებას, რადგან დანაშაულებრივი ქმედება არის არსებული საერთო ნების უარყოფა, ხოლო სასჯელი თავისი სამაგიეროს მიმზღველი ბუნებით, ახდენს ამ უარყოფის უარყოფას. <sup>6</sup>აბრუნებს რა დამნაშავეს საწყის მდგომარეობაში. აქედან გამომდინარეობს ჰეგელის ცნობილი მოსაზრებაც რომ სასჯელი დამნაშავეს უფლებათ.<sup>7</sup> თუმცა გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული არ წარმოადგენს საერთო ნების უარყოფას, რის გამოც სასჯელის გამოყენებაც აზრს კარგავს.

ქართულ სამართლებრივ დოქტრინაში, მრავლადაა სასჯელის მიზნებსა და სახეებზე დანერგილი ნაშრომები, მაგრამ არსად არ გვხვდება განხილვა იმის თაობაზე, თუ რამდენად უცვლელი რჩება ეს მიზნები გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დროს და ხომ არ ხდება კანონმდებლობის უგულვებლყოფა, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისთვის, სასჯელის დანიშნვის ნაწილში. სწორედ აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, ნაშრომი ქართული კანონმდებლობის მაგალითზე განიხილავს სასჯელის მიზნებს გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის კონტექსტში, და წარმოაჩენს იმ საპირისპირო მოსაზრებებს, რომლებიც არსებობენ დოქტრინაში.

5 სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში., რედ. ნ. თოდუა, გამომცემლობა მერიდიანი, 2016, გვ.160. სამაგიეროს მიზლვად ჰეგელს კანტისგან განსხვავებით, მიაჩნდა სამართლიანი თანაფარდობა დამნაშავეს მოქმედებით გამოწვეულ ზიანსა და დამნაშავესთვის სასჯელის შეფარდებით მიყენებული ზიანის ფასეულობას შორის. (იქვე)

6 Dyde S. W., Hegel's Conception of Crime and Punishment, The Philosophical Review, Vol. 7, No. 1 (Jan., 1898)., Duke University press, გვ.63

7 ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016, გვ.54

#### 4. გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დასჯადობის საფუძვლები

ისტორიულად საქართველოში განზრახვით და გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედებების გამიჯვნა ჯერ კიდევ ექვთიმე მთაწმინდელის მიერ შედგენილ „მცირე სჯულის კანონში“ ვლინდება. ბრალის ფორმების მრავლფეროვნება: ნებსითი, ანუ განზრახი, განზრახვასთან მიახლოებული უნებლიე ბრალი. ავტორს კარგად ესმის განზრახვისა და გაუფრთხილებლობის მნიშვნელობაც და ერთმანეთისგან განასხვავებს: „განზრახვას, გაუფრთხილებლობას და შემთხვევას.“<sup>8</sup>

ასევე აღსანიშნავია, რომ „მცირე სჯულის კანონში“ განხილული სამართალდარღვევები მკაცრად სისტემატიზირებული მოძღვრების გამოვლინებაა და არა დანაშაულთა შემთხვევითი ჩამონათვალი. მასში მოყვანილი მაგალითები კი ნებისა და გონების კორელაციით მიღებული ბრალის სხვადასხვა ხარისხობრივი გრადაციის სქემას შეესაბამება.<sup>9</sup>

ყოველივე ეს ქართული სამართლებრივი კულტურის განვითარებასა და აზროვნების მაღალ დონეზე მიუთითებს. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართულ ჩვეულებით სამართალში საკმაოდ დიდხანს შემორჩა ობიექტური შერაცხვისთვის დამახასიათებელი ელემენტები. განსაკუთრებით ხევსურეთსა და სვანეთში, სადაც ჩვეულებითი სამართლის მოქმედება ყველაზე სრულყოფილი და უძველესი სახით იყო წარმოდგენილი.<sup>10</sup>

საბჭოთა კავშირის პერიოდში: სისხლის სამართალში განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებად იყო მიჩნეული

8 ვაჩიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ.1, თბ., 1946, გვ.153

9 ონიანი ს., ბრალი „მცირე სჯულის კანონში“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, 2015 №1, გვ.28.

10 დავითაშვილი გ., ბრალის საკითხი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, 2009 №2, გვ.166.

და იგი თავის თავში მოიცავდა ფაქტობრივი გარემოებების ცოდნას, ნებელობასა და საზოგადოებრივი საშიშროების შეგნებას.<sup>11</sup> გამოყოფილი იყო გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის ორი ფორმა-დაუდევრობა და თვითიმედოვნება, ხოლო მათი დასჯადობა საბუთდებოდა პირის დაუდევარი ქცევით საზოგადოებრივ სიკეთეთან მიმართებაში.<sup>12</sup>

აღსანიშნავია, რომ ქმედების დასჯა ახალი დანაშაულის პრევენციის მიზნით, გამართლებულად მიიჩნეოდა როგორც განზრახ, ასევე გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში.<sup>13</sup> გაუგებარია, როგორ უნდა მომხდარიყო ახალი დანაშაულის თავიდან აცილება ან დამნაშავის რესოციალიზაცია მაშინ, როდესაც პირს არ სურდა მართლსაწინააღმდეგო შედეგი და არც ითვალისწინებდა მისი დადგომის შესაძლებლობას.

როგორც ვხედავთ, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული საქართველოში, სამართლის განვითარების საწყის ეტაპზე, დიდად არ განსხვავდებოდა განზრახ ჩადენილი დანაშაულისგან და შესაბამისად, მის ჩამდენს სასჯელიც განზრახი დანაშაულის ჩამდენის იდენტურად ეკისრებოდა. სამართლებრივი აზროვნების დახვეწის შედეგად კი გაუფრთხილებლობა გამოეყო განზრახ ჩადენილ დანაშაულს და ბრალის დამოუკიდებელ ფორმად იქცა.

## 2. სასჯელის დანიშნვისა და სასჯელის მიზნების ურთიერთ მიმართების პრობლემა

სისხლის სამართლის თეორიაში სასჯელის შესახებ არსებული თეორიები შეიძლება დავეყოს აბსოლუტურ, უტალიტარისტულ და შეფარდებით თეორიებად. აბსოლუტური თეორიები სასჯელის საფუძვლად აცხადებენ აბსოლუტურ საწყისს, რომ-

11 მაღლაკელიძე ლ., ბრალის გენეზისი ქართულ სისხლის სამართალში, ჟურნალი „მართმსაჯულება და კანონი“ №5, გვ.91

12 Макашвили В. Г., Уголовная Ответственность за неосторожность, Москва, 1957, 93

13 იქვე., გვ.94



ლის მიზანიც სამაგიეროს მიზღვა, ჩადენილი უმართლობის გამოსწორება ან შურისძიებაა.<sup>14</sup> სასჯელის შეფარდებითი, ანუ პრევენციული (უტალიტარისტული) თეორიები სასჯელის მიზნად ასახელებენ სასარგებლო ეფექტის (სუფთა სარგებლის) მიღებას. სასჯელი და სისხლის სამართალი სახელმწიფოს ხელში რეპრესიული საშუალებაა, მაგრამ სასჯელის მიზანი არა რეპრესია, ან სამაგიეროს მიზღვა, არამედ დანაშაულის პრევენციაა.<sup>15</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აღიარებს ე.წ. „შემადრთებელ თეორიას“ რომელიც სასჯელის აბსოლუტური და უტილიტარისტული თეორიების სინთეზის შედეგია და წარმოადგენს მცდელობას ერთმანეთთან გააერთიანონ როგორც აბსოლუტური, ასევე რელატიური თეორიები. სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში, შესაბამისად მოცემულია აბსოლუტური და შეფარდებითი თეორიების სინთეზი. სამართლიანობის აღდგენა შეიძლება სასჯელის აბსოლუტურ თეორიას მივაკუთვნოთ, ვინაიდან სამართლიანობის აღდგენაში ძირითადად დამნაშავის ბრალის შესაბამისი დანაშაულის დანიშნვა იგულისხმება, ხოლო ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნები კი სასჯელის უტილიტარულ თეორიას ეკუთვნის (ზოგადი და სპეციალური პრევენცია).<sup>16</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლი ეხება სასჯელის დანიშნვის ზოგად სანქციებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო დამნაშავეს სამართლიან სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით, დადგენილ ფარგლებში და ამავე კოდექსის ზოგადი ნაწილის დებულებათა გათვალისწინებით. სასჯელის უფრო მკაცრი სახე

14 ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლის-სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები., ჟურნალში „მართმსაჯულება და კანონი“ №4, გვ.20

15 ცქიტიშვილი თ., „სასჯელის შეფარდების საკითხთათვის“ გურამ ნაჭყელობას 75 წლის საიუბილეო კრებული, გვ.131

16 ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016, გვ.69

შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნაკლებად მკაცრი სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას. შესაბამისად, სასამართლოს სასჯელის დანიშვნისას ხელმძღვანელობს არა მხოლოდ სისხლის სამართლის კერძო, არამედ ზოგადი ნაწილითაც.<sup>17</sup> ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული უნდა იყოს „სასჯელის მიზნებზე“ და არა „სასჯელის მიზანზე“ ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად სასჯელს აქვს სამი და არა ერთი მიზანი.<sup>18</sup>

დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას რომ სასჯელის მიზნების ანატომია გამოიხატება იმაში, რომ მათ აქვთ ურთიერთსაწინააღმდეგო ამოცანები. ამიტომ აუცილებელია მათი ურთიერთშერიგება, შერწყმა და სინთეზი. თავდაპირველად დასჯის საფუძველი შეიძლება იყოს სასჯელის აბსოლუტური თეორია, როგორც სახელმწიფოს მიერ სასჯელის დანიშვნის პირველი აბსოლუტური აუცილებელი საფუძველი. სამართლისა და სამართლიანობის ისევ აღდგენა. ამის შემდეგ გამოყენებული უნდა იქნეს სხვადასხვა რელატიური თეორიები, მთავარია რომ დამნაშავე არ გახდეს ინსტრუმენტი სახელმწიფოს ხელში, არამედ უნდა დაისაჯოს თავისი ქმედებისთვის, ბრალის ხარისხისა და დამნაშავეს პიროვნების გათვალისწინებით.<sup>19</sup>

რაც შეეხება გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულს, როგორც უკვე ვნახეთ ის თავისი არსით არსებითად განსხვავდება განზრახ ჩადენილი დანაშაულისგან, ამიტომ ნაშრომის შემდეგ ნაწილებში არსებითად იქნება ახსნილი თუ რა მნიშვნელობას ატარებენ და რა კონტექსტში უნდა იქნეს განხილული სასჯელის მიზნები გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დროს.

17 ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016, გვ.186

18 იქვე, გვ.186

19 ტურავა მ., საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბილისი 2010. გვ.289

### 3. სამართლიანობის აღდგენა და გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული

როდესაც სამართლიანობის აღდგენაზე ვლაპარაკობთ, ავტომატურად გვახსენდება ჰეგელი, რომელიც სისხლის სამართალს ბოროტებისა და სამართლიანობის კონტექსტში განიხილავდა.<sup>20</sup> ჰეგელს მიაჩნდა რომ არსებობს სამართლიანობის ობიექტური და სუბიექტური მხარე და მორალური შეხედულებები საბოლოოდ უნდა გამიჯნულიყო სამართლის, განსაკუთრებით კი სასჯელის ნაწილისაგან.<sup>21</sup> დანაშაული კი ისჯებოდა არა იმიტომ რომ ის იყო ბოროტების სათავე, არამედ იმიტომ რომ ის ბუნდოვანს ხდიდა ფარგლებს სწორსა და არასწორს, სამართლიანსა და უსამართლოს შორის.<sup>22</sup> თუმცა, როგორც ნაშრომში უკვე აღინიშნა, ჰეგელის მსჯელობამ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული დასჯადობის უარყოფამდე მიიყვანა, რადგან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული არ წარმოადგენს შეგნებულ უარყოფას და ჰეგელი თავის ცნობილ დებულებას რომ სასჯელი დამნაშავის უფლებაა საერთოდ ვერ ასაბუთებს.<sup>23</sup>

თუმცა ჰეგელი არ წარმოადგენს ერთადერთ ფილოსოფოსს, რომელიც სამართლიანობის პრობლემის გადაწყვეტას შეეცადა. იმანუელ კანტისათვის სამართლიანობის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იყო კანონმდებლის მიერ კანონების ხალხის გაერთიანებული ნების საფუძველზე შედგენა.<sup>24</sup> ასევე საყოველთაოდ ცნობილია კანტის კატეგორიული იმპერატივი, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში თუ მიუვალ კუნძულზე მცხოვრები მოსახლეობა ერთ მშვენიერ დღეს გადაწყვეტს დატოვოს აღნიშნული

20 G.W.F Hegel., Elements of the philosophy of mind, Cambridge University press, English printing-2003, 127

21 იქვე, გვ.128

22 იქვე, გვ.129

23 ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016, გვ.54

24 გარიშვილი მ, შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, თბილისი, 2010. გვ.106

ტერიტორია და მთელ დედამიწაზე მიმოიფანტოს, აუცილებელია უკანასკნელმა დამნაშავემაც კი ბოლომდე მოიხადოს სასჯელი ციხეში რათა აღსრულდეს სამართლიანობა.<sup>25</sup> ამრიგად, როგორც ვხედავთ, კანტის აზრით, სასჯელი გვევლინება შურისძიების ზღვევინების აქტად. ზღვევინება უნდა გამოიხატოს სასჯელისა და დანაშაულის თანასწორობის (ე.ი ტალიონის) პრინციპით, <sup>26</sup>ტალიონის პრინციპი მიაჩნდათ სამართლიანობის აღდგენად ე.წ. ობიექტური შერაცხვის სტადიაზე, როდესაც მართალია ანსხვა ვებდნენ განზრახ და გაუფრთხილებლობით ჩადენილ ქმედებებს, მაგრამ სამართლიანობისა და სასჯელის დანიშნვის საკითხისთვის ის უბრალოდ რელევანტურად არ მიაჩნდათ.<sup>27</sup>

სოკრატეს მიხედვით, სამართლიანობა არამხოლოდ კანონიერების კრიტერიუმია, არამედ არსებითად მისი თანაბარია. ამგვარად, კანონიერია ის რაც სამართლიანია და სამართლიანია ის რაც კანონიერია. <sup>28</sup>პლატონის შეხედულებებით, სამართლიანობა გულისხმობს გარკვეულ თანასწორობას, საჭირო ზომიერებას, პლატონი განასხვავებდა გეომეტრიულ (სათნოებით, ღირსებით) და არითმეტიკულ (ზომა-წონისა და რიცხვითი) თანასწორობას. <sup>29</sup>აღნიშნული მოძღვრება მოგვიანებით განავითარა მისმა მოწაფემ, არისტოტელემ, რომელიც სამართლიანობაზე საუბრობდა როგორც სპეციალურ სამართლიანობაზე და განასხვავებდა განაწილებით და განტოლებით სამართლიანობას.<sup>30</sup>

ამრიგად, სამართლიანობის ცნება არ არის ერთგვაროვანი და მოაზროვნესა თუ ეპოქასთან ერთად იცვლება. თუკი ჰეგე-

25 სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში., რედ. ნ. თოდუა, გამომცემლობა მერიდიანი, 2016, გვ.160

26 ვარძელაშვილი მ., სასჯელის მიზნები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016, გვ.53.

27 გამყრელიძე ო ., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. მესამე გამოცემა,ნიგნში სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბილისი, 2011 გვ.43

28 გარიშვილი მ., შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, თბილისი, 2010. გვ.37

29 იქვე, გვ.39

30 იქვე, გვ.43

ლს მიაჩნდა რომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დასჯა არ იყო სამართლიანი, ობიექტური შერაცხვის ეტაპზე, საერთოდ არ განასხვავებდნენ გაუფრთხილებლობითი ბრალის ფორმას და ის განზრახი დანაშაულის იდენტურად ისჯებოდა. დასკვნის სახით კი შეგვიძლია ვთქვათ რომ: „სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებული ცნება არ არსებობს. ამავე დროს, სავსებით შესაძლებელია, რომ ესა თუ ის კონკრეტული ქცევა ან გადანწყვეტილება შეფასდეს, როგორც „სამართლიანი“ ან „უსამართლო“.<sup>31</sup> ე.ი სამართლიანობა არის ნორმატიული, ანუ შეფასებითი კატეგორია. მისი მასშტაბებით შეიძლება შეფასდეს, როგორც ნორმები და მთელი ნორმათა სისტემა, ასევე, პრინციპები და სამართლებრივი ინსტიტუტებიც. თეოლოგია აღიარებს ღმერთის სამართლიანობას, გადატანითი მნიშვნელობით ლაპარაკობენ ბუნების ან ისტორიის სამართლიანობაზეც.<sup>32</sup>

შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სამართლიანია ის რაც კოდექსშია დანერილი (სამართლიანია ის სასჯელი რაც კოდექსის კონკრეტულ მუხლში ან მუხლის ნაწილშია გათვალისწინებული). ამ დროს კი ჩნდება კითხვა, ხომ არ აბუნდოვანებს სისხლის სამართლის კოდექსი ზღვარს სამართლიანსა და კანონიერს შორის. სამწუხაროდ, ჩვენი უახლოესი სასამართლო პრაქტიკიდან შესაძლებელია დავასახელოთ უსამართლოდ და ზოგჯერ დანაშაულებრივი კანონებიც კი. მაგალითად, უსამართლო იყო 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 71 მუხლი (ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა) 165 (სპეკულაცია) და ა.შ.<sup>33</sup> ხოლო თუ უსამართლოა კანონი ან ნორმა, რომელიც ქმედების კრიმინალიზაციას ახდენს, მაშინ, მინიჭებული სასჯელიც ვერ იქნება სამართლიანი.

ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ დოქტრინაში, არსე-

31 ხუბუა გ., სამართლის თეორია. თბ. 2004წ. გვ.67

32 იქვე, გვ. 68

33 გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. მესამე გამოცემა, წიგნში სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბილისი, 2011 გვ.50

ბობს მოსაზრება რომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული არ უნდა იყოს დასჯადი. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დასჯადობა ვერ საბუთდება სასჯელის შემაკავებელი ან დამსჯელობითი მიზნებით. მათი მოსაზრებით, გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედების დასჯა არ შეიძლება იყოს არც სამართლიანი, არც ეფექტური.<sup>34</sup> რაც შეეხება ქმედების სუბიექტურ მხარეს, არსებობს მოსაზრება, რომ გაუფრთხილებლობა არის პირის „გონების მდგომარეობა,“ როდესაც იგი ახორციელებს ქმედებას, ისე რომ სრულიად ვერ აცნობიერებს შედეგის დადგომის შესაძლებლობას. ხოლო პირის გაუცნობიერებელ ქმედებას შეუძლებელია სუბიექტური მხარე (*mens rea*) გააჩნდეს, რაც გამორიცხავს სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობას.<sup>35</sup> ზემოთქმული ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ ჭკუასუსტი ან აფექტის მდგომარეობაში მყოფი პირის გონებრივ მდგომარეობას. ამ შემთხვევაში ადამიანი მართალია ჩადის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, მაგრამ მას არ აქვს აცნობიერებული ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და შესაბამისად, შედეგის დადგომის შესაძლებლობა. ასეთ მდგომარეობაში ყოფნისას, პირს არ შეუძლია ჩაიდინოს ისეთი დანაშაულები როგორცაა ძარცვა, ყაჩაღობა, გაუპატიურება და ასე შემდეგ.<sup>36</sup> ხოლო თუ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული არ უნდა ისჯებოდეს, მაშინ მისთვის მინიჭებული სასჯელიც ვერ იქნება „სამართლიანი.“ ნაშრომში ეს მოსაზრება არ არის მხარდაჭერილი,<sup>37</sup> მაგრამ ჩნდება კითხვა თუ რატომ გადანწყვიტა კანონმდებელმა სამართლიანობის ეს რთული ფილოსოფიური ცნება სისხლის სამართლის კოდექსში შეეტანა, როდესაც მისი ამდენგვარი დეფინიცია არსებობს. საინტერესოა ასევე ის ფაქ-

34 A Har H.L., *Punishment and Responsibility, Essays in the philosophy of law*, 2<sup>nd</sup> edition, Oxford university press, 2008, გვ.138

35 *The modern approach to Criminal law.*, 1945, გვ.195

36 იქვე, გვ.209

37 დაწვრილებით ამ საკითხზე იხილეთ: H.L.A Hart., *Punishment and Responsibility, Essays in the philosophy of law*, 2<sup>nd</sup> edition, Oxford university press, 2008.

ტი, რომ გერმანულ ენაში ტერმინები სამართალი, უფლება და სამართლიანობა იდენტურია ჩერეცჰტიგკეიტ-დეცჰტ. ხოლო ანგლო-საქსურ სისტემაში, მოსამართლეთა ნაწილი სამართლიანობის აღდგენის მაგივრად სამაგიეროს მიზლვას იყენებენ.<sup>38</sup>

აღნიშნულ მსჯელობას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სისხლის სამართლის კოდექსის 260 მუხლის მეორე ნაწილში მითითებული სანქცია არაკონსტიტუციურად სცნო და მიუთითა რომ : „ზოგადად, არ არსებობს სამართლიანობის დეფინიცია, განმარტება, კანონით რეგლამენტირებული ცნება, თუმცა, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეიდან გამომდინარე, სამართლიანობა წარმოადგენს როგორც სამართალშემოქმედების, ისე სამართლის შეფარდების უპირობო მიზანს და შეფასებადია ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით სრულყოფილად სარგებლობისა და დაცვის ხარისხით.“<sup>39</sup>

დასკვნის სახით, ნაშრომში გატარებული მოსზრებით, ფილოსოფიური თვალთახედვით დაუსაბუთებელია კოდექსის მიერ სასჯელის პირველ მიზნად ტერმინ „სამართლიანობის აღდგენის“ გამოყენება. განსაკუთრებით მაშინ როდესაც სამართლებრივ დოქტრინაში არსებულ მკვლევართა ნაწილი არ თვლის სამართლიანად გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დასჯადობას.<sup>40</sup> შესაბამისად, გაუფრთხილებლობისთვის მინიჭებული სასჯელიც ვერ იქნება სამართლიანი. და ბოლოს, სამართლიანობის აღდგენის მიზანი მიღწეულად უნდა ჩაითვალოს, თუ სასჯელის სხვა მიზნები (ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია) მიღწეულ იქნა.<sup>41</sup> დანაშაულის თავიდან

38 Hugo Adam Bedau & Erin Kelly, Punishment, The Stanford Encyclopedia of Philosophy (Spring 2010), <http://plato.stanford.edu/archives/spr2010/entries/punishment/> (last visited Dec. 8, 2012)

39 აღნიშნული გადაწყვეტილება, პუნქტი 44

40 დაწვრილებით ამ საკითხზე იხილეთ L. Radzinowicz, J. W. C. Turner., The modern approach to Criminal law., 1945

41 ცქტიშვილი თ., სასჯელის შეფარდების საკითხთათვის, გურამ ნაჭყეიას 75 წლის საიუბილეო კრებული, თბილისი, 2016, გვ.133

აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნების მიღწევისას თუ სამართლიანობის აღდგენა განუხორციელებელ მიზნად იქნა განხილული, სასჯელი შიშველ შურისძიებასთან გაიგივდება.<sup>42</sup> აღნიშნული დებულება კი პირიქითაც შეიძლება იქნეს გაგებული, კერძოდ – სასჯელი შიშველ შურისძიებასთან გაიგივდება მაშინ თუ სასჯელი ერთდროულად არ უზრუნველყოფს როგორც ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას, ასევე დამნაშავის რესოციალიზაციას. სამართლიანობაც მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს აღდგენილად.<sup>43</sup>

სწორედ ამიტომ, შემდგომ თავებში განხილული იქნება თუ როგორ ახორციელებს სისხლის სამართლის კოდექსი ზოგად (ახალი დანაშაულის თავიდან არიდება) და კერძო (დამნაშავის რესოციალიზაცია) პრევენციას გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დროს.

#### **4. გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის ზოგადი პრევენცია**

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლში სამართლიანობის აღდგენის გარდა სასჯელის მიზნებია ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. სისხლის სამართლის თეორიაში ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას პრევენციას უწოდებენ.<sup>44</sup> სისხლის სამართლის თეორიაში განასხვავებენ პრევენციის ზოგად და სპეციალურ სახეებს. მართალია კოდექსის 39-ე მუხლის პირველ ნაწილში ზუსტად არ არის განსაზღვრული ზოგადი და სპეციალური პრევენცია, მაგრამ ამავდროულად მეთორე ნაწილში მითითებულია, რომ „სასჯელის მიზანი ხორციელდება დამნაშავესა და სხვა პირზე ზემოქმედებით.“ აქედან გამომდინარე კი შეგვიძლია დავასკვნათ რომ 39-ე მუხ-

42 იქვე, გვ.133

43 იქვე, გვ.133

44 ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016, გვ.84



ლის პირველ ნაწილში, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაში იგულისხმება როგორც ზოგადი, ასევე სპეციალური პრევენცია.<sup>45</sup> აღნიშნულ თავში ნაშრომი განიხილავს მხოლოდ ზოგად პრევენციას, რაც გულისხმობს საზოგადოებისა თუ მათი მერყევი ელემენტების მიერ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის თავიდან აცილებას. სპეციალური პრევენცია (დამნაშავის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის დაუშვებლობა და მისი რესოციალიზაცია) მომდევნო თავში იქნება განხილული.

ჩეზარე ბეკარიას აზრით უკეთესია დანაშაულის თავიდან აცილება ვიდრე მისი დასჯა.<sup>46</sup> დანაშაულის თავიდან აცილების ერთ-ერთი ყველაზე ძლიერ მოქმედი საშუალების არსი კი მდგომარეობს არა სასჯელის სისასტიკეში, არამედ მის გარდაუვალობაში.<sup>47</sup> სასამართლოს მიერ კონკრეტული დამნაშავისათვის სასჯელის დანიშნვის ფაქტი არწმუნებს ყველა სხვა პირს რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში ისინიც აუცილებლად დაისჯებიან ასევე ზოგადი პრევენცია ხორციელდება არა მარტო იმ შემთხვევაში თუ სასამართლო კონკრეტული პირის მიმართ გამოიყენებს სასჯელს, არამედ სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის დღიდან.<sup>48</sup>

კრიმინოლოგიაში გამოიყოფა დანაშაულის პრევენციის პირველადი, მეორეული და მესამედი პრევენცია. პირველადი პრევენცია საყოველთაოა და მიმართულია ზოგადად სოციალურ სტრუქტურებზე. მეორადი პრევენცია მიმართულია დამნაშავე პირებისა და მსხვერპლთა მიმართ და გულისხმობს დანაშაულის ჩადენის სიტუაციისთვის ხელის შეშლას, ხოლო დანაშაულის მესამედი პრევენცია ეხება დანაშაულის შემდგომ პერიოდს და მისი მიზანია დამნაშავე პირის მიმართ ისეთი სახის ღონისძიების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას და საზო-

45 იქვე, გვ.84

46 იქვე, გვ. 86

47 იქვე, გვ.87

48 ნაჭყებია გ., სისხლის სამართლებრივი ურთიერთობის და დანაშაულის ცნება, თბილისი, 2002, გვ.31

გადოებას განმეორებით დანაშაულის ჩადენას ააცილებს თავიდან.<sup>49</sup>

სასჯელის ზოგად პრევენციული ფუნქციის შესახებ დოქტრინაში გამოთქმულია კრიტიკა რომ მისი ეფექტურობა, თუ რამდენად ახდენს იგი ზეგავლენას ადამიანებზე, არასდროს დადასტურებულა.<sup>50</sup> სწორედ ამის გამო, რამდენადმე გართულებული იქნება იმისი ჩვენება, ახდენს თუ არა სასჯელი გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის პრევენციას, თუმცა საბოლოო ჯამში, სასჯელის მიზანია დამნაშავეს შემდეგი პუნქტების გაცნობიერება შეეძლოს დანაშაულის ჩადენამდე: 1) დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის ზოგადი ცოდნა; 2) კონკრეტული დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის ცოდნა; და 3) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდაუვალობის ცოდნა.<sup>51</sup>

ამრიგად, როგორც ვხედავთ, სამივე პუნქტი მოიცავს ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებას. „სასჯელი ფუნქციონირებს, როგორც ფასი, რომელიც ამა თუ იმ ქმედებისთვის პირმა უნდა გადაიხადოს. პოტენციური დამნაშავე, დანაშაულის ჩადენის წინ ერთგვარ შედარებას აკეთებს „ღირებულებისა და მიღებული შედეგის“ ანუ უღირს თუ არა მას ეს სასჯელი ამ ქმედებიდან დამდგარი შედეგისთვის.“<sup>52</sup> მაგალითად, პოტენციური დამნაშავე, რომელმაც წინასწარ იცის რომ კანონმდებელი მნიშვნელოვან ზიანად მიიჩნევს და უფრო მკაცრად სჯის, ქონების ქურდობას 150 ლარის ზემოთ, დაფიქრდება თუ ღირს მისთვის მინიმუმ სამი წლით თავისუფლების აღკვეთა 151 ლარის ქურდობის გამო.<sup>53</sup> ქმედების მართლწინააღმდეგობის ცოდნის გარეშე შეუძლებელია პირმა იცოდეს თუ რა სასჯელი არის აღ-

49 შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2011, გვ.220-223

50 Mike C. Materni., Criminal Punishment and the Pursuit of Justice., 2013, 290

51 ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016, გვ.90

52 შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2011, გვ.225

53 იქვე, გვ.225

ნიშნული ქმედებისთვის გათვალისწინებული და გაითვალისწინოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარდაუვალობა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეათე მუხლი ითვალისწინებს გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის ორ სახეს – თვითიმედოვნებასა და დაუდევრობას. ქმედება თვითიმედოვნება თავის თავში მოიცავს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედების მართლწინააღმდეგობის გათვალისწინებასა და შედეგის თავიდან აცილების უსაფუძვლო იმედს, ხოლო დაუდევრობით ჩადენილი დანაშაულის დროს პირს არც სურს შედეგი და არც ქმედების მართლწინააღმდეგობა აქვს შეგნებული, თუმცა ამისი გათვალისწინება მას შეეძლო და ევალებოდა კიდევ.

როგორც ვხედავთ, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული ამ შემთხვევაშიც არსებითად განსხვავდება განზრახ ჩადენილი დანაშაულისგან.<sup>54</sup> პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით მოქმედების შემთხვევაში, დამნაშავეს აქვს შესაძლებლობა ანონ-დანონოს რამდენად „ღირებულია“ მისთვის მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, სასჯელის გარდაუვლად შეფარდების პირობებში. გაუფრთხილებლობით, უფრო კონკრეტულად დაუდევრობით მოქმედებისას კი, პირი ვერ აცნობიერებს რომ ის მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს, შესაბამისად მას არც იმისი გაცნობიერების უნარი შესწევს რომ აღნიშნული ქმედება ისჯება და ვერც შეაფასებს, თუ რამდენად ღირებულია მისთვის მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, სასჯელის ოდენობასთან შედარებით. დაუდევრობით მოქმედებისას შეუძლებელია სასჯელის მუქარით თავიდან ავირიდოთ დანაშაული რადგან თუ პირი ქმედების მართლწინააღმდეგობის ფაქტს ვერ აცნობი-

54 პროფესორ გამყრელიძეს აზრით, უმჯობესია გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის მაგივრად, ტერმინი განუზრახველი გამოვიყენოთ, რათა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე თავიდან ავიცილოთ შეფასებითი მსჯელობა. გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. მესამე გამოცემა, წიგნში სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბილისი, 2011 გვ.199

ერებს, შესაბამისად დანესებული სასჯელიც ვერ მოახდენს მასზე შემაფერხებელ გავლენას. გავრცელებული მოსაზრებით, სასჯელი ზოგადპრევენციულ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოების იმ წევრებზე რომლებიც მიდრეკილები არიან დანაშაულის ჩასადენად.<sup>55</sup> დანაშაულის დაუდევრობით ჩამდენი კი მათ რიცხვს არ მიეკუთვნება, რადგან იგი ვერც ქმედების მართლწინააღმდეგობას აცნობიერებს და არც მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის სურვილი აქვს.

ამის მიუხედავად, შესაძლებელია დანაშაულის პირველადი პრევენციის დროს გატარებული ზომები, როგორცაა სახელმწიფოს მიერ წამოწყებული საგანმანათლებლო კამპანია სიმთვრალეში ავტომობილის მართვის საფრთხეებზე, საზოგადოებაში არსებულ აქტიურ თემებზე და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდის გზით, დაუდევრობით ჩადენილი დანაშაული მაინც თავიდან იქნეს აცილებული. საუბარია იმ შემთხვევაზე, თუ პიროვნებამ ამგვარი საგანმანათლებლო ღონისძიების შედეგად გაიაზრა შესაძლო ქმედების მართლწინააღმდეგობა და შესაბამისად, აღარც განახორციელა ის.

განსხვავებული მიდგომაა თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაულის განხილვისას. თვითიმედოვნების დროს, პირი აცნობიერებს ქმედების მართლწინააღმდეგობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებს, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგი თავიდან იქნება აცილებული. შესაბამისად, პირს გაცნობიერებული აქვს ქმედების მართლწინააღმდეგობა, მაგრამ არ ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას. ამ შემთხვევაში, პირს აქვს შესაძლებლობა გაითვალისწინოს როგორც ქმედების დასჯადობა, ასევე კონკრეტული დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელი და ის ფაქტი რომ შედეგის დადგომის შემთხვევაში, იგი აუცილებლად დაისჯება.

მაგალითისთვის შესაძლებელია შემდეგი ილუსტრაციის მოყვანა, თუ წვეულებიდან სახლში მიმავალი „ა“ გადანყვეტს ნასვამმა მართოს ავტომობილი, მას აქვს იმისი გააზრების შესაძლებლო-

55 ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016,

ბა რომ 1) ავტომობილის მოძრაობისა და უსაფრთხოების წესის დარღვევა ისჯება, თუ ამან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება გამოიწვია, 2) იგივე ქმედებისთვის სასჯელი მკაცრდება ნასვამ მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში და 3) უღირს თუ არა მას რისკის განევა იმ სასჯელად რაც სასამართლომ შეიძლება შეუფარდოს. დაუდევრობით მოქმედების შემთხვევაში კი როგორც უკვე იქნა აღნიშნული, ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების გააზრება შეუძლებელია. რადგან დაუდევრობით ჩადენილი ქმედება „ყოველთვის უნდა გულისხმობდეს სუბიექტის მიერ რომელიმე წესის, ნორმის, საზოგადოებრივად შეურიგებელ, შეუთავსებელ დარღვევას, როცა ის ამ დარღვევისადმი იმდენად გულგრილია, რომ არ ითვალისწინებს კანონით გათვალისწინებული ანტი-საზოგადოებრივი შედეგის დადგომას, რაც ფაქტობრივად დგება.<sup>56</sup> აღნიშნული მსჯელობა, მართებულია დაუდევრობის ბუნებაზე მსჯელობისას. პირმა რომელიც იმდენად გულგრილია, რომ არ ითვალისწინებს არც საზოგადოებაში გაბატონებულ ნინდახედულობის ნორმებს, (რომელთა გათვალისწინებაც მას ევალებოდა) შეუძლებელია სასჯელის მუქარით გადაიფიქროს აღნიშნული ქმედების ჩადენა.

დოქტრინაში ასევე გავრცელებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული გამოხატავს საზოგადოებრივი ღირებულებებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას და ნინდახედულობის ნორმისადმი დამოკიდებულებაში გრძელდება. მაგალითად, კაცმა ნაკლებად სავარაუდოა შეშინების მიზნით ცეცხლსასროლი იარაღი დაუმიზნოს თავის ახლობელს, ან პატივსაცემ ადამიანს. ხოლო თუ იგი სხვა ვინმეს მოექცა ასე, მაშინ მან საკუთარ თავზე უნდა აილოს ის პასუხისმგებლობა, რომ წარსულში ამგვარ ქმედებას არაერთხელ გამოუწვევია ტრაგიკული შედეგი. <sup>57</sup>აღნიშნული მაგალითი ბუნდოვანს ხდის ზღვარს არაპირდაპირი განზრახვით და

56 სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, რედ. გ. ნაჭყებია, 2016, გვ.247

57 სისხლის სამართალი, ზოგადინაწილი, მეორე გამოცემა, რედ. გ. ნაჭყებია, 2016, გვ.246

თვითიმედოვნებით ჩადენილ დანაშაულს შორის. თუ პირი ითვალისწინებს შედეგის დადგომის შესაძლებლობას და მაინც ახორციელებს ქმედებას რისკის უგულებელყოფით, მაშინ აღნიშნული ქმედება არის არა თვითიმედოვნებით, არამედ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი.

ევენტუალური განზრახვის დროს, დამნაშავეს წარმოდგენილი აქვს კონკრეტული საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის რეალური შესაძლებლობა, დანაშაულებრივი თვითიმედოვნების დროს კი იგი ითვალისწინებს რომ საზოგადოდ ამგვარ მოქმედებას შეუძლია გამოიწვიოს ასეთი შედეგი.<sup>58</sup> აღნიშნული რა თქმა უნდა ამცირებს პირის შესაძლებლობას, გაანალიზოს მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად შესაბამისი რეზულტატის მიღების ალბათობა და გადანყვიტოს თუ რამდენად სურს მას აღნიშნული რისკის განევა. მაგალითად, თუ „ა“-მ იცის რომ იგი დაისჯება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მთვრალ მდგომარეობაში მანქანას მართავს და პირის ჯანმრთელობას მსუბუქად დააზიანებს, ის რეალურად არ დაიწყებს შესაბამისი საფრთხის აღქმას. (იმიტომ რომ ეს შედეგი არ დადგება, თვითონ ძალიან გამოცდილი მძღოლია და ა.შ) ხოლო თუ „ა“-მ იცის, რომ სასჯელი მას უბრალოდ ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვისთვის დაეკისრება, მაშინ მისთვის უფრო ადვილი იქნება გადანყვიტილების მიღება, რომ სარგებელი არ ღირს იმ ზიანად რაც მას სასჯელმა შეიძლება მოუტანოს.

რა თქმა უნდა, ნაშრომი არ გვთავაზობს ნასვამ მდგომარეობაში მართვისთვის სისხლისსამართლებრივი სანქციის დაწესებას. უბრალოდ აღსანიშნავია, რომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულების უმრავლესობა, კვალიფიკაციისთვის საჭიროებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას. შესაძლებელია ზო-

58 პროფესორ გამყრელიძეს აზრით, უმჯობესია გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის მაგივრად, ტერმინი განუზრახველი გამოვიყენოთ, რათა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე თავიდან ავიცილოთ შეფასებითი მსჯელობა. გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. მესამე გამოცემა, წიგნში სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბილისი, 2011 გვ.200

გიერთი ქმედების შემადგენლობის ადრეულ ეტაპზე დასჯადობამ, უკეთესად მოახდინოს თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაულის პრევენცია. სისხლის სამართლის თეორიაში, მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების კანონმდებლობები იცნობენ დანაშაულის ისეთ შემადგენლობებს, რომლებიც ზიანის საფრთხეს ქმნიან. აღნიშნული შემადგენლობები საფრთხის დელიქტების სახელითაა ცნობილი.<sup>59</sup> კანონმდებელი საფრთხის დელიქტების კონსტრუქციას მაშინ მიმართავს, როდესაც ამა თუ იმ სიკეთეს განსაკუთრებული სამართლებრივი დაცვის ღირსად მიიჩნევს. შესაბამისად, საფრთხის დელიქტების არსებობა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ხელს უწყობს მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეთა ეფექტურ დაცვას.<sup>60</sup> ლიტერატურაში მიღებულია საფრთხის დელიქტების კონკრეტულ და აბსტრაქტულ დელიქტებად დაყოფა.<sup>61</sup> თუმცა, ნაშრომის მიზნებისათვის ამ დაყოფას არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ: „გაუფრთხილებლობის შინაარსი ყველაზე სრულად შედეგადად დელიქტებშია წარმოდგენილი. ხოლო შედეგგარეშე დელიქტებში – პირიქით ვიწროდ. ერთი შეხედვით ფორმალურ შემადგენლობებში გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო კონსტრუქციის აგება საეჭვოა, ვინაიდან ფორმალურ დელიქტებში, არც სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა და არც კონკრეტული საფრთხის შექმნა საჭირო არ არის. ხოლო გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო დეფინიციაში აქცენტი სწორედ შედეგისადმი დამოკიდებულებაზეა გაკეთებული.“<sup>62</sup> თუმცა აღნიშნულით კანონმდებელმა აღნიშნული აქცენტი გააკეთა სწორედ შედეგადად დელიქტის სრულყოფილი ფორმის გამო, ხოლო მოქმედი კანონმდებლობით,

59 მამულაშვილი გ. (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ტომი I, მე-4 გამოცემა., თბილისი, 2012, გვ.126

60 ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქნელი დელიქტები, თბილისი 2014, გვ.15.

61 მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ. – სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი, ძირითადი საკითხები კითხვა-პასუხებით გამოცემა, თბილისი 2014, გვ.39

62 იქვე

გაუფრთხილებლობით არა მხოლოდ შედეგიანი, არამედ უშედეგო დანაშაულის ჩადენაც შესაძლებელია.<sup>63</sup>

ამრიგად, შეიძლება ითქვას რომ მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში, ნაკლებად ვხვდებით განუზრახველად ჩადენილ ფორმალურ დელიქტებს.<sup>64</sup> რაც სასჯელის პრევენციული მიზნებიდან გამომდინარე არ არის მიზანშეწონილი. განზრახი საფრთხის ფორმალური შემადგენლობის განხორციელების (მაგალითად ყაჩაღობა) შემთხვევაში ნაკლებად შესაძლებელია მოსალოდნელი სასჯელის შიშმა პრევენციული ზემოქმედება მოახდინოს მის ქმედებაზე, ხოლო როგორც უკვე ვაჩვენეთ, თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, ამგვარი პრევენცია რეალურია და სამართლებრივი სიკეთის დაცვას უკეთ ახდენს.

დასკვნის სახით, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის ზოგადი პრევენცია დასაშვებია როგორც თვითიმედოვნებით, ასევე დაუდევრობით ჩადენილ საფრთხის დელიქტებში. ნაშრომში გატარებული მოსაზრებით, თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაულის პრევენციაზე განსაკუთრებით კარგად იმოქმედებს საფრთხის დელიქტების საკანონმდებლო კონსტრუქცია, რაც პირის პასუხისმგებლობის საფრთხეს უფრო კონკრეტულს გახდის. რაც შეეხება დაუდევრობით ჩადენილ ქმედებას, შესაძლებელია მხოლოდ პირველადი პრევენცია, რის შემდეგაც ახალი დანაშაულის ჩადენის ფუნქცია ვეღარ ახორციელებს თავის მიზანს.

## 5. გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის სპეციალური (კერძო) პრევენცია

სასჯელის სპეციალური, ანუ კერძო პრევენცია გულისხმობს, დანაშაულის თავიდან აცილებას მსჯავრდებულის მხრიდან. სასჯელის დანიშნვისა და მისი მოხდის შემდეგ, მსჯავრდებულს აღარ უნდა ჰქონდეს სურვილი, რომ ხელმეორედ ჩაიდინოს და-

63 იქვე, გვ.141

64 იქვე, გვ.141



ნაშუილი.<sup>65</sup> აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია დამნაშავეისთვის რაიმე უფლების (მაგალითად თანამდებობის დაკავების) სასჯელის აღსრულებისას მასთან აღმზრდელობითი სამუშაოების გატარების და დამნაშავეისთვის დანაშაულის განმეორების შემთხვევაში სასჯელის გამკაცრების გზით.<sup>66</sup>

კერძო პრევენციის მიზანი მიიღწევა მსჯავრდებულზე სასჯელის ისეთი ზემოქმედებით, რომ მომავალში აღარ ჩაიდინოს ახალი დანაშაული, ეს კი მიიღწევა მსჯავრებულის გამოსწორების გზით, რომელიც სასჯელის მოხდის პროცესში უნდა განხორციელდეს.<sup>67</sup> გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა მდებარეობს იმაში, რომ მსჯავრდებულის გათავისუფლებისას გათვალისწინებულია, მიღწეულ იქნა თუ არა მისი რესოციალიზაცია. დამნაშავეები, რომლებიც საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ, პატიმრობაში უნდა დარჩნენ.<sup>68</sup>

გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული ამ შემთხვევაშიც განსხვავდება განზრახ ჩადენილი დანაშაულისგან. განზრახ ჩადენილი დანაშაულის გამეორება იწვევს მის არაერთგზისად ან რაციდივად გამოცხადებას. კანონმდებლობა შეგნებულად ითვალისწინებს პირის მიდრეკილებას დანაშაულისკენ და სამაგალითოდ დასჯის მუქარით ცდილობს ხელი ააღებინოს მას განმეორებით დანაშაულის ჩადენისკენ.<sup>69</sup> სისხლის სამართლის კოდექსში, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის არც ერთი მუხლი კი არ ითვალისწინებს ისეთ დამამძიმებელ გარემოებას როგორცაა არაერთგზისობა. კანონმდებელი სავარაუდოდ არ თვლის საჭიროს დამამძიმებელი სანქციის მუქარით პრევენციული გავლენა მოახდინოს ნასამართლევ პირზე, რადგან სტატის-

65 ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016, გვ.103

66 იქვე, გვ.103

67 იქვე, გვ.105

68 იქვე, გვ.110

69 იქვე, გვ.111

ტიკურად გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის განმეორება იშვიათია. ამერიკის შეერთებულ შტატების 23 შტატში, 2005-2010 წლებში ჩატარდა იშვიათი გამოკვლევა. რომელმაც აჩვენა რომ შტატების პენიტენციური დაწესებულებებიდან იმავე წელს განთავისუფლებული პირების უმნიშვნელო პროცენტი თუ დაბრუნდა უკან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისთვის.<sup>70</sup> აღნიშნული შეიძლება ასევე გვაჩვენებდეს, თუ როგორი ეფექტურია ამერიკის მართლმსაჯულების სისტემა დამნაშავის რესოციალიზაციის პროცესში. მაგრამ ეს არგუმენტიც არ შეიძლება იქნას გაზიარებული, რადგან იმავე კვლევის თანახმად, გათავისუფლებულ პირთა 47 პროცენტი ისევ დაუბრუნდა სასჯელაღმსრულებელ სისტემას განზრახ ჩადენილი დანაშაულის გამო, რომელიც უმეტესად ძალადობასთან ნარკოტიკებთან ან საზოგადოებრივი წესრიგის უხეშ დარღვევასთან იყო დაკავშირებული.<sup>71</sup>

აღნიშნული შედეგები უცვლელია 1983-1994 წლებში ჩატარებულ კვლევაში.<sup>72</sup> გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის გამეორებადობა თითქმის უმნიშვნელოა, განზრახ ჩადენილი დანაშაულების რეციდივთან შედარებით. მართალია ამ საკითხზე შეიძლება შეკამათება, რომ რეციდივი, ეს არის მხოლოდ განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენა,<sup>73</sup> მაგრამ ეს მხოლოდ ადასტურებს ნაშრომში გატარებულ მოსაზრებას, რომ გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისთვის ნასამართლევი პირის მიერ ხელახალი დანაშაულის ჩადენის ალბათობა უმნიშვნელოა.

ყოველივე ზემოთაღნიშნული სხვაგვარად ვერც იქნება. გაუფრთხილებლობით (განსაკუთრებით კი დაუდევრობით) მო-

70 იხილეთ ვებ გვერდზე: <https://www.bjs.gov/index.cfm?ty=dcdetail&iid=270>

71 იგივე კვლევა.

72 იხილეთ ვებ გვერდზე: [https://www.bjs.gov/index.cfm?ty=dcdetail&iid=270№BJS\\_data\\_experts](https://www.bjs.gov/index.cfm?ty=dcdetail&iid=270№BJS_data_experts)

73 გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. მესამე გამოცემა, წიგნში სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბილისი, 2011 გვ.229

ქმედი პირი, როგორც წესი, არ წარმოადგენს მართლწესრიგთან დაპირისპირებულ ადამიანს. მას არ ახასიათებს „კრიმინოგენური თვისებები“ და შესაბამისად, არც რესოციალიზაცია სჭირდება, რათა სასჯელის მუქარით და სხვადასხვა აღმზრდელობითი ღონისძიებებით, აღმოფხვრათ მისი დაპირისპირება მართლწესრიგთან.

ამრიგად, სასჯელის მიზანი, მოახდინოს დამნაშავეს რესოციალიზაცია, მინიმალური შედეგის მომტანია თუ ბრალდებულმა გაუფრთხილებლობით ჩაიდინა დანაშაული. (და საქმე არ ეხება ეტიკეტიზაციის შედეგად შექმნილი კრიმინოგენური თვისებების აღმოფხვრას).

## დასკვნა

სასჯელის მიზნების ანატომია გამოიხატება იმაში, რომ მათ აქვთ ურთიერთსაინანაღმდეგო ამოცანები. ამიტომ აუცილებელია მათი ურთიერთშერიგება, შერწყმა და სინთეზი. თავდაპირველად დასჯის საფუძველი შეიძლება იყოს სასჯელის აბსოლუტური თეორია, როგორც სახელმწიფოს მიერ სასჯელის დანიშნვის პირველი აბსოლუტური აუცილებელი საფუძველი. სამართლისა და სამართლიანობის ისევე აღდგენა. ამის შემდეგ გამოყენებული უნდა იქნეს სხვადასხვა თეორიები, მთავარია რომ დამნაშავე არ გახდეს ინსტრუმენტი სახელმწიფოს ხელში. რაც შეეხება სასჯელის მიზნებს, აღადგინოს სამართლიანობა, თავიდან აიცილოს ახალი დანაშაული და მოახდინოს დამნაშავეს რესოციალიზაცია, როგორც უკვე ვნახეთ, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება შეუძლებელია დაუდევრობის შემთხვევაში და რამდენადმე სუსტია თვითიმედოვნების დროს.

შესაბამისი კვლევების არარსებობის გამო ძალიან ძნელია დადგინდეს, აქვს თუ არა შედეგი პირველად პრევენციას გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის დროს. მინიმალური გაუფრთხილებლობის შედეგად ციხეში მოხვედრილ დამნა-

შავეთა რესოციალიზაციის პროცენტული მაჩვენებელი (იმიტომ რომ აღნიშნულ პირებს თავიდანვე არ გააჩნდათ ამის საჭიროება) კითხვაზე თუ რამდენად ახერხებს სასჯელი სამართლიანობის აღდგენას გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულში ნაწილობრივ უარყოფითი პასუხი უნდა გაიცეს. რადგან მართალია სასჯელი ახერხებს მოახდინოს თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაულის პრევენცია, მაგრამ ყოვლად უსუსურია დაუდევრობის წინაშე. ხოლო სასჯელის მიზანი მოახდინოს დამნაშავის რესოციალიზაცია არარელევანტურია გაუფრთხილებლობით ქმედების ჩადენის შემთხვევაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:

### ქართულენოვანი ნაშრომები

1. გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. მესამე გამოცემა, წიგნში სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბილისი, 2011;
2. გარიშვილი მ., შესავალი სამართლის ფილოსოფიაში, თბილისი, 2010;
3. დავითაშვილი გ., ბრალის საკითხი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, 2009 №2;
4. ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2016;
5. ვაჩიშვილი ალ., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, ტ.1, თბ., 1946;
6. კუტალია ლ, გ., ბრალი სისხლის სამართალში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი. 2000;
7. ლეკვეიშვილი მ., სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები., ჟურნალში „მართმსაჯულება და კანონი“ №4;
8. მამულაშვილი გ. (რედ.), სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, ტომი I, მე-4 გამოცემა., თბილისი, 2012;
9. მაღლაკელიძე ლ., ბრალის გენეზისი ქართულ სისხლის სამართალში, ჟურნალი „მართმსაჯულება და კანონი“ №5;
10. ნაჭყებია გ., სისხლის სამართლებრივი ურთიერთობს და დანაშაულის ცნება, თბილისი, 2002;
11. ონიანი ს., ბრალი „მცირე სჯულის კანონში,“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, 2015 №1;
12. ტურავა მ. ა., საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მერვე გამოცემა, თბილისი 2010;
13. შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2011;
14. ცქიტიშვილი თ., „სასჯელის შეფარდების საკითხთათვის“ გურამ ნაჭყებია 75 წლის საიუბილეო კრებული;
15. ცქიტიშვილი თ., ადამიანის სიცოცხლის ადა ჯანმრთელობისთვის სსაფრთხის შემქნელი დელიქტები, თბილისი 2014.

16. ხუბუა გ., სამართლის თეორია. თბ. 2004წ;
17. სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში., რედ. ნონა თოდუა, გამომცემლობა მერიდიანი, 2016;
18. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, მეორე გამოცემა, გურამ ნაჭყებიას რედაქტორობით, 2016;

### **უცხოური ლიტერატურა:**

1. Hart., Punishment and Responsibility, Essays in the philosophy of law, 2<sup>nd</sup> edition, Oxford university press, 2008;
- 2.S. W. Dyde., Hegel's Conception of Crime and Punishment, The Philosophical Review, Vol. 7, No. 1 (Jan., 1898)., Duke University press;
3. Макашвили В. Г., Уголовная Ответственность за неосторожность, Москва, 1957;
- 4.G.W.F Hegel., Elements of the philosophy of mind, Cambridge University press, English printing-2003;
- 5.Hugo Adam Bedau & Erin Kelly, Punishment, The Stanford Encyclopedia of Philosophy (Spring 2010), <http://plato.stanford.edu/archives/spr2010/entries/punishment/> (last visited Dec. 8, 2012);
6. Mike C. Materni., Criminal Punishment and the Pursuit of Justice., 2013.

## შორენა გვილავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის  
მეოთხე კურსის სტუდენტი

ნაშრომი წარმოადგენს 2016 წ. არასამთავრობო ორგანიზაცია „ციხის საერთაშორისო რეფორმისა“ და გაეროს დემოკრატიული ფონდის ორგანიზებით გამართული ესსეების რეგიონულ კონკურსში (იურიდიული ფაკულტეტის, ფსიქოლოგიისა და სოციალური მუშაობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის), „არასაპატიმრო სანქციების გამოყენების ხელშეწყობა აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში“, II ადგილის მფლობელი ნაშრომის რედაქტირებულ ვარიანტს.

## პრობაციის სამსახურის ამოცანები და მიზნები საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების პროცესში

### შესავალი

„ადამიანები დაიბადნენ სრულიად თავისუფალნი და თანასწორნი. სახელმწიფოდ გაერთიანებისას მათ სახელმწიფოს გადასცეს თავიანთი ხელისუფლების გარკვეული ნაწილი, რათა მას დაეცვა მათი დარჩენილი თავისუფლება, ამიტომ, სახელმწიფოს (ხელისუფლების) მიზანია პიროვნების თავისუფლების დაცვა“.<sup>1</sup>

შეიძლება, ითქვას, რომ, სწორედ ლოკის, ვოლფის, ბლეკსტონის, რუსოსა და სხვათა მიერ შექმნილი ზემოაღნიშნული

1 გოცირიძე ე., გამოსატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში, (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით), თბილისი, 2007 წელი, გვ. 27.

მოძღვრების საფუძვლის<sup>2</sup> ანალოგიურ იდეას ატარებს დღეს-დღეობით საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა დანაშაულსა და დამნაშავეობასთან ბრძოლის საკითხში – დამნაშავეის სიკვდილით დასჯის შესაძლებლობიდან, Broken Windows<sup>3</sup> – ის საფუძველზე ჩამოყალიბებული ბრეტონის „ნულოვანი ტოლერანტობის“<sup>4</sup> პოლიტიკიდან, ლიბერალიზმის<sup>5</sup> პოლიტიკის აღიარებით ქართულმა სახელმწიფომ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი „ნაბიჯი გადადგა“ ცივილიზებულ სახელმწიფოთა შორის სათანადო ადგილის დამკვიდრების შესაძლებლობისკენ. აღნიშნულს ცხადყოფს სისხლის სამართლის პოლიტიკაში ძირეული ცვლილებები. კერძოდ, დამნაშავეის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეფარდებისა და ალტერნატიულ სასჯელთა მეტი რაოდენობით გამოყენების ვალდებულება. ალტერნატიულ სასჯელთა შორის კი, თავისი არსის გათვალისწინებით, უპირატესად ხაზი უნდა გაესვას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. სახელმწიფოს აღნიშნულმა ვალდებულებამ წინ წამოსწია მთელი რიგი სამართლებრივი პრინციპები, მათ შორის, სისხლის სამართლის „ჰუმანიზმის“, „სასჯელის ინდივიდუალიზაციისა“ და კონსტიტუციური „თანაზომიერების“ პრინციპები, რომელთა საწყისებზეც დგას ყოველი თანამედროვე, პლურალისტული, დემოკრატიული თუ სამართლებრივი სახელმწიფო. ამგვარად, ზემოაღნიშნულის ფონზე იზრდება ისეთი სამსა-

2 იგულისხმება ჰიპოთეზა „პიროვნების აბსოლუტური სანყისი დამოუკიდებლობის შესახებ“.

3 Wilson, J. Q./killing, G. I., 1996, S. 121-137, მითითებულია: მ. შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013 წელი, გვ. 21.

4 შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013 წელი, გვ. 21-23.

5 ტერმინ „ლიბერალიზმთან“ დაკავშირებით იხ. გ. ნაჭყებია, საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მეთოდოლოგიური პრობლემები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016 წელი, გვ. 17-22.



ხურების როლი, რომლებსაც მიეკუთვნება პრობაციის სამსახური. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ თითქოსდა მარტივად გასაგები ცნების – „პრობაციის სამსახურის“, უკან ძალზე რთული, ფართომასშტაბიანი, უამრავმოვალეობადაკისრებული სისტემა დგას<sup>6</sup>. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომის მიზნების გათვალისწინებით, სამართლებრივად მიზანშეწონილია პრობაციის სამსახურის ამოცანებისა და მიზნების განხილვა კონკრეტული ალტერნატიული სასჯელის, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, აღსრულების ქრილში.

## **2. პრობაციის სამსახურის მიზანი – მსჯავრდებულის რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას (ქართული კანონმდებლობის სპეციფიკის გათვალისწინებით)**

პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის 1-ელი ნაწილით განსაზღვრულ პრობაციის სამსახურის ისეთ ძირითად მიზანზე,<sup>7</sup> როგორცაა „მსჯავრდებულის რესოციალიზაცია (მისი საზოგადოებაში ინტეგრაცია) და რეაბილიტაცია (მსჯავრდებულის გამოსწორება და საზოგადოებაში ჯანსაღ წევრად დაბრუნება“, Resocialization and rehabilitation of convicts)<sup>8</sup>, რომლის მიღწევისთვის მას გარკვეული

6 კომენტარი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე წევრ ქვეყნებს Cm/Rec (2010) ევროპის პრობაციის წესების შესახებ, ევროპული კომიტეტი დანაშაულის პრობლემებზე (CDPC) 1075-ე შეხვედრა, 2010 წლის 20 იანვარი, გვ. 2.

7 არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2016 წელი, გვ. 47-52.

8 T. Magradze, National Probation Agency ACHIEVEMENTS, 2015 წელი, ხელმისაწვდომია: <[http://sympa-by.eu/sites/default/files/library/national\\_probation\\_agency.pdf](http://sympa-by.eu/sites/default/files/library/national_probation_agency.pdf)> [26/01/18].

ვალდებულებები აკისრია დამნაშავეისთვის საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის სასჯელის სახით დანიშნვისას მისი განხორციელების განმავლობაში. კერძოდ, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შესახებ სასამართლო განაჩენის ან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების ასლის აღსასრულებლად მიღების შემდეგ, პრობაციის ბიურო ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოს უგზავნის მოთხოვნას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახისა და მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის განსაზღვრის თაობაზე. მოთხოვნაში მითითებული უნდა იყოს სასამართლოს მიერ განსაზღვრული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მთლიანი ვადა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (შემდგომში – სსკ) დადგენილი ასეთი სახის შრომის ყოველდღიური ხანგრძლივობა. თავის მხრივ, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ვალდებულია, წერილობით აცნობოს პრობაციის ოფიცერს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახის, ხანგრძლივობისა და მსჯავრდებულის სამუშაო ადგილის შესახებ. პრობაციის ოფიცერი პერიოდულად სასჯელის მოხდის ადგილზე მისვლით აკონტროლებს მსჯავრდებულის მიერ მისთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას („არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-33 მუხლები). აღნიშნული ფაქტორი კი მიუთითებს პრობაციის ოფიცრის მსჯავრდებულის მაკონტროლებელ (თუ როგორ ასრულებს მსჯავრდებულს დაკისრებულ სამუშაოს), ამასთანავე, – დამხმარე ფუნქციაზე, მასში გარკვეული გამოსავლის პოვნის იმედის ჩასახვაზე, რაც მსჯავრდებულს ხელახლა, როგორც „განახლებულ პიროვნებას“, დამნაშავეის ეტიკეტის გარეშე, დააკავშირებს საზოგადოებასთან და მის განუყოფელ წევრად გახდის. სწორედ პრობაციის ოფიცრის მსჯავრდებულისთვის დახმარების აუცილებლობაზეა მითითებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის CM/Rec ძირითად პრინციპებში – „დაეხმარონ და ხელი შეუწყონ წარმატებულ სოციალურ ინ-

ტეგრაციამი“.<sup>9</sup> აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით განსაზღვრულია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის<sup>10</sup> სტანდარტი, რომლის შესაბამისადაც, პრობაციის ორგანოები უნდა შეეცადონ ისეთი სამუშაოს მოძიებას, რომელიც ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის უნარ-ჩვევების განვითარებასა და მის სოციალურ ჩართულობას. მოცემული ალტერნატიული სასჯელის იდეაც ხომ საკუთარ თავში მსჯავრდებული პირის საზოგადოებისაგან მოუცილებლობას, მის ნაწილად ყოფნის შენარჩუნებას და ამის მსჯავრდებულისთვის შეგრძნებას მოიცავს. სწორედ ამ ერთ-ერთი ვალიდური მიზეზის გამოა იგი მეტად ეფექტური, ვიდრე – საპატიმრო სასჯელი. უნდა ითქვას, სსკ-ის 39-ე (1) მუხლით განსაზღვრულ სასჯელის ერთ-ერთ მიზანსაც, სწორედ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია წარმოადგენს, რომელიც, თავისთავად, სასჯელის მეორე მიზნის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილების, მიღწევის წინაპირობაა.

აქვე, ლოგიკურია, აღინიშნოს მოცემული არასაპატიმრო სასჯელის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით რეგულირების საკითხი. კერძოდ, სსკ-ის 44-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახეს განსაზღვრავს პრობაციის ბიურო, ხოლო რაც შეეხება სპეციფიკურ და საკმაოდ ფრთხილად მისადგომ საკითხს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსს“ (შემდგომში – ამკ), ზოგადად, მის შემთხვევაში უფრო იზრდება საპატიმრო სასჯელთა ნაცვლად ალტერნატიული სასჯელების გამოყენების სავალდებულობა, ვინაიდან ცნობილი ამერიკელი კრიმინოლოგ ფრენკ ტანბენ-ბაუმის სიტყვების თანახმად, „მოზარდის იუსტიციის საქმიანობის ორბიტაში ჩართვის მომენტიდან იწყება სტიგმატიზაციის ადრეული პროცესი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს

9 ვროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია წევრ ქვეყნებს CM/Rec (2010)1 evrosabWos probaciiis wesebis Sesaxeб, გვ. 16.

10 საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომასთან დაკავშირებით იხ. არსომული გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2016 წელი, გვ. 134-140.

არასრულწლოვნის დანაშაულებრივ და დელინკვენტური კარიერის განვითარებაში“, ე.ი. „მოზარდის ადრეული შემხებლობა სასამართლოსთან მასზე არა მარტო არ ახდენს გამოსწორებით ზემოქმედებას, არამედ, პირიქით, აღრმავებს მის მდგომარეობას და ხელს უწყობს მისი დანაშაულებრივი გადახრების განვითარებას. მოზარდი აღმოჩნდება, როგორც „გასვრილი“, რომელსაც „დაედება სტიგმა და ოფიციალურად გარდაიქმნება დელინკვენტის რანგში“.<sup>11</sup>

აქედან გამომდინარე, ზემოაღნიშნული კოდექსის 71-ე მუხლით განსაზღვრულია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების შესაძლებლობა. მართებულია, აპელირება მოხდეს მოცემული მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის შესაბამისადაც, არასრულწლოვანს აღნიშნული სასჯელი ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს. უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში წინა პლანზეა წამოწეული არასრულწლოვნის პიროვნული განვითარების, განათლების უფლება (არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა – ამკ-ის მე-4 მუხ.) და ამ მხრივ ქართული კანონმდებლობა, პროგრესული თვალსაზრისით, საკმაოდ წინ წავიდა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული სასჯელი, რესოციალიზაციის/სოციალიზაციის კუთხით, ახალი დანაშაულის თავიდან აცილების თვალსაზრისით, მეტად ეფექტური იქნებოდა, რომ არ გულისხმობდეს მსჯავრდებულის „უსასყიდლო“ შრომას. სასურველია, მსჯავრდებულის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შესაძლებელი იყოს გარკვეული თანხის მოპოვება, რომელიც, მაგალითისთვის, საქველმოქმედო მიზნებისთვის იქნება გამოყენებული. ამ შემთხვევაში კონკრეტული მსჯავრდებული დაინახავს და გაიაზრებს, გაითავისებს საკუთარ სარგებლიანობას, ფუნქციას, საზოგადოების სხვა წევრებთან მიმართებით.

11 დაუთაშვილი პ., არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესი და პრობაციის კანონი სტიგმათა და ზოგიერთი თეორიის ქრილში, ჟურნალი „სამართალი“, №1-2, თბილისი, 2003 წელი, გვ. 60.

აღნიშნული კი თავისთავად ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას/სოციალიზაციას/რეაბილიტაციას, იმის გათვალისწინებით, რომ დასახელებული სასჯელის აღსრულება მსჯავრდებულის საზოგადოებისაგან მოუცილებლობის პირობებში ხორციელდება. სასჯელის დასახელებული მიზნის მიღწევა კი განაპირობებს მსჯავრდებულის მიერ მომავალში ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას.

რაც შეეხება ამკ-ის 71-ე მუხლის მუხლის მე-4 ნაწილს – არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სამუშაოდ ისეთ ადგილას განწესების სურვილს, სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისთვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს. ცოტა არ იყოს, საეჭვოა აღნიშნული სურვილის რეალიზება. საეჭვოა, პრობაციის ოფიცრები, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობები რამდენად მოიძიებენ შესაბამის ადგილს და განაწესებენ არასრულწლოვანს აღნიშნულ ადგილზე, ვინაიდან იგი მხოლოდ სურვილის და არა – აუცილებლობის დონეზე განიხილება. ამასთან, მოცემული დანაწესის იმპერატიული ხასიათის შემთხვევაშიც კი პრაქტიკაში მის განხორციელებას ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობა მაინც შეეზოკავდა (სამუშაო ადგილების სინაკლებე/არქონა). შესაბამისად, მტკიცება მსჯავრდებული არასრულწლოვნის მისთვის „არასასარგებლო“ ადგილზე განთავსების შესაძლებლობისა აზრსმოკლებული არ უნდა იყოს. აქვე, უნდა აღინიშნოს ამკ-ის 71-ე მუხლის 1-ელ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც უშვებს არასრულწლოვნისთვის 40-დან 300 სთ-მდე (დღიური ხანგრძლივობა არა უმეტეს 4 საათისა) ვადით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შესაძლებლობას. თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის ან მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება, უფრო მეტი ვადითაც დაინიშნოს (ამკ-ის 71 (2) მუხ.). აღნიშნული იწვევს ცალსახა ალოგიკურობას, კერძოდ, როგორ უნდა შეძლოს კონკრეტულმა არასრულწლოვანმა, რომელიც სკოლაში დადის/მუშაობს, პარა-

ლელურად შეასრულოს მისთვის სასჯელის სახით დაკისრებულ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ამასთან, ამის გათვალისწინებით, რამდენად ექნება არასრულწლოვანს მომდევნო დღისთვის გაკვეთილის მასალების მომზადებისა თუ სხვა აქტივობების განხორციელების უნარი. შესაბამისად, არასრულწლოვნის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 300 სთ-ის ოდენობით (ავსტრიაში მისი მაქსიმალური ვადა 60 სთ-ს შეადგენს) შესრულება მიჩნეულ უნდა იქნეს, როგორც შესასრულებლად შეუძლებლად და თანაფარდობის კონსტიტუციური პრინციპის დარღვევად, ვინაიდან იგი ხელს უშლის არასრულწლოვნის სრულფასოვან განვითარებას, მისი საუკეთესო ინტერესის ჯეროვან გათვალისწინებას სათანადო განათლებისა თუ სხვა მნიშვნელოვანი აქტივობების განხორციელების კუთხით.<sup>12</sup> ანალოგიური პრობლემა იკვეთება სრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებითაც, კერძოდ, მათ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შესაძლოა, დაენიშნოთ 40-დან 800 საათის ოდენობით, (ყოველდღიური შრომის მაქსიმალური ხანგრძლივობა 8 საათი), მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში კი მისი დანიშვნა მეტი ოდენობითაც არის შესაძლებელი (სსკ-ის 44 (2) მუხ.).

უნდა აღინიშნოს, რომ მისასაღმებელი იქნებოდა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის უპირატესად გათვალისწინებით, მისი შემდგომი პიროვნული ჩამოყალიბებისთვის შესაბამის სამუშაო ადგილას განწესების სავალდებულოება განმტკიცებულიყო. ცხადია, სამუშაო ადგილების სინაკლებე/არქონა ვერ გადანონის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის უპირატესად დაცვის აუცილებლობას. არასრულწლოვნის სამუშაოდ განთავსება უნდა მოხდეს ისეთ ადგილას, სადაც რეალურად, მაღალი ალბათობით, მიიღებს სასარგებლო უნარ-ჩვევებს. აღნიშნული კი შესაძლებელია, საკმაოდ მართებულად მივიჩნიოთ არასრულწლოვნის სოციალიზაციისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების ერთ-ერთ წინაპირობად. ამასთან, აუცილებელია

12 შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016 წელი, გვ. 141-144.

მოცემული საათობრივი ოდენობა გონივრულად შემცირდეს როგორც არასრულწლოვან, ისე სრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებით, რათა მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს მათ შემდგომ პიროვნულ განვითარებას.

#### **4. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის უპირატესად გამოყენების დანერგვის მცდელობა/ პრობლემატიკა სხვადასხვა ქვეყნის გათვალისწინებით**

მოცემული ნაშრომის მიზნებისთვის, მართებულია, საზოგადოებას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესახებ საქართველოსა და ესპანეთის კანონმდებლობის მსგავსებას.<sup>13</sup> კერძოდ, ესპანეთის კანონმდებლობა განამტკიცებს, რომ ნებისმიერმა დაკისრებულმა სამუშაო არ უნდა შელახოს დამნაშავეს ღირსება და ამით მსჯავრდებულმა არ უნდა მიიღოს რაიმე ფინანსური სარგებელი. სწორედ ადამიანის უფლებათა დარღვევის კონტექსტში განიხილება კონსტიტუციური „თანაზომიერების პრინციპი“, რომლის გათვალისწინებითაც, დარღვეული უფლება, უფლებაში ჩარევის გზა მიღწეული მიზნისა და მიზნის მისაღწევად გამოყენებული საშუალების თანაზომიერი უნდა იყოს. „ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ნევრ ქვეყნებს CM/Rec (2010) 1 ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ“ პრობაციის პერსონალს, სწორედ სამართალდამრღვევის უფლების მინიმალური პრინციპის დაცვით შეზღუდვის შესაძლებლობას ანიჭებს, ე.ი., სამართალდამრღვევის უფლების შეზღუდვა არ უნდა იყოს იმაზე მეტი, ვიდრე ამას სამართალდამრღვევის სიმძიმე და/ან წარმოქმნილი რისკი მოითხოვს. ვინაიდან „სამართალდამრღვევთა შრომა“ (offender’s service) დიდი შრომითი რესურსია სახელმწიფო და არაკომერციული ორგანიზაციებისთვის<sup>14</sup> და იგი ხორციელდება ანაზღაურების გარეშე, სამართ-

13 ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები (შედარებითი ანალიზი), მზიან ლექსიკონი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014 წელი, გვ. 30.

14 ტორიაშვილი ნ., ალტერნატიული სასჯელები, თბილისი, 2013 წელი, III.

ლებრივად რელევანტურია, ყურადღება გამახვილდეს სასჯელის ერთ-ერთ მიზანზე – სამართლიანობის აღდგენის (სსკ-ის 39 (1)-ე მუხ., სასჯელის აბსოლუტური თეორია)<sup>15</sup> მიღწევაზე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შემთხვევაში, რადგანაც მსჯავრდებული თავისი უსასყიდლო შრომით „გამოისყიდის“ საკუთარ დანაშაულს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე. ამასთან, თუკი ესპანეთს დავუბრუნდებით, უნდა აღინიშნოს, რომ მისი კანონმდებლობის მიხედვით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შესაძლოა, ჩაენაცვლოს ჯარიმას მისივე გადაუხდელობის შემთხვევაში, რისთვისაც საჭიროა დამნაშავეს თანხმობა. მოცემულ შემთხვევაში 1 დღის შრომა 2 აუნაზღაურებელი დღის ტოლფასია.<sup>16</sup> აღნიშნული სასჯელის აღსრულების ადგილს მუშაკი არჩევს დამნაშავე პიროვნების, მისი ოჯახური, სოციალური და სხვა მდგომარეობიდან გამომდინარე (უკავშირდება დამსაქმებელ ორგანიზაციას, მოლაპარაკებას მართავს მასთან და სხვ.), იგი ადგენს შესაბამის ანგარიშს, რომელსაც სათანადო სასამართლოს წარუდგენს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების განმავლობაში მუშაკი უზრუნველყოფს კონტროლს მოცემულ მსჯავრდებულზე.<sup>17</sup>

ასევე, ჯარიმის არ/ვერ გადახდის შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით მის ჩანაცვლებას ითვალისწინებს გერმანიის კანონმდებლობა. კერძოდ, 1986 წლიდან გერმანიის კანონმდებლობით ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში ჯარიმის სანაცვლო თავისუფლების აღკვეთა გამოიყენება. მოგვიანებით ფედერალური მიწების მთავრობებს მიენიჭათ უფლება, პროკურატურას მისცენ შესაძლებლობა, რომ ნება დართონ მსჯავრდებულს, ჯარიმის სანაცვლო თავისუფლების აღკვეთა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულების გზით

15 ტურავა მ., დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011 წელი, გვ. 41.

16 Anton M. van Kalmthout, Jack T. M. Derks, Probation and Probation Services, A European Perspective, Spain, Probation work in different stages of the criminal justice process, 2015, p. 504.

17 იქვე, p. 506.



მოიხადოს.<sup>18</sup> შესაბამისად, აღნიშნული შრომა გამოიყენება არა როგორც სასჯელის დამოუკიდებელი სახე, არამედ, როგორც ჯარიმის სანაცვლო თავისუფლების აღკვეთის მოხდის საშუალება.<sup>19</sup> მოცემული სასჯელის სახე მთელი ამგვარი სასჯელების დაახლოებით 80%-ს შეადგენს, თუმცა დანაშაულთა მხოლოდ 8.5%-ია ისეთი ხასიათის, რომ შესაძლებელი გახდეს სასჯელის სახით ჯარიმის დანიშვნა.<sup>20</sup>

ლუქსემბურგში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ძირითად სასჯელად დანიშვნა შესაძლებელია, თუკი სასამართლო მიიჩნევს, რომ დანაშაულმა არ შეიძლება, გამოიწვიოს საპატიმრო სასჯელი 6 თვეზე მეტი ვადით. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესრულების საათობრივი კუთხით აღნიშნული სახელმწიფო შედარებით უფრო ლიბერალურია, აღნიშნული სასჯელის საათობრივი ოდენობაა 40-დან 240 სთ-მდე დროის პერიოდი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მისი გაგრძელება შესაძლებელია შეუქცევადად 18 თვის განმავლობაში. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის თაობაზე გადწყვეტილებას იღებს General-Attorney.<sup>21</sup>

რაც შეეხება საქართველოს, უნდა ითქვას, რომ ამ ეტაპზე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის უპირატესად გამოყენების პრობლემატიკის დაძლევა და მისი აქტიური გამოყენება სრულწლოვან თუ არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად იქცა, რაც, თავის მხრივ, განაპირობა საქართველოსა და ევროკავშირის შორის დადებულმა ასოცირების ხელშეკრულებამ,

18 ცქიტიშვილი თ, საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მეთოდოლოგიური პრობლემები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016 წელი, გვ. 552.

19 იქვე, გვ. 551-552.

20 Anton M. van Kalmthout, Jack T. M. Derks, Probation and Probation Services, A European Perspective, Spain, Probation work in different stages of the criminal justice process, 2015, p. 249.

21 იქვე, პ. 336.

რომლის დღის წესრიგში<sup>22</sup> უპირატესი მნიშვნელობა, მთელ რიგ საკითხებთან ერთად, სისხლის სამართლის სფეროში რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პოლიტიკის გაგრძელებას ენიჭება. აქვე აღნიშნულია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების ხელშეწყობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ შემუშავდა პროექტი „საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა“,<sup>23</sup> რომლის ფონზეც კიდევ უფრო იზრდება პრობაციის სამსახურის როლი. კერძოდ, პრობაციის ბიურო მსჯავრდებულს განუსაზღვრავს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახეს, ყოველდღიურ ხანგრძლივობას და მასზე მონიტორინგს განახორციელებს. აღნიშნული პროექტის განხორციელებაში ჩართულია თბილისის მერიაც, ვინაიდან, ზოგადად, ადგილობრივი თვითმმართველობები თუ გამგეობები ხელს უნდა უწყობდნენ პრობაციის სამსახურებს მსჯავრდებულთათვის შესაბამისი სამუშაო ადგილების გამოძებნაში. აღნიშნული ალტერნატიული სასჯელი, ცხადია, ციხეებში ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულთა რაოდენობის შემცირებას გამოიწვევს, რისი აუცილებლობაც ჩვენი ქვეყნის „ნულოვანი ტოლერანტობის“ აღიარებით გამოწვეულმა სასჯელალსრულების დანესებულებების გადატვირთვამ გამოიწვია, სახალხო დამცველის ანგარიშში კი ბოლო წლებში ხშირად იყო მითითებული სასჯელალსრულების გადატვირთულობის გამო ადამიანის უფლებათა დარღვევის თაობაზე.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში ბოლო ათი წლის გან-

22 ერთის მხრივ, საქართველოსა და, მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: <[http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA%20National%20Action%20Plan%202015%20-%20Final%20GEO\\_0.pdf](http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA%20National%20Action%20Plan%202015%20-%20Final%20GEO_0.pdf)> [26/01/18].

23 ხერხეულიძე ი., პრობაციის ინსტიტუტი – არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014 წელი, გვ. 215-216.

მავლობაში მკვეთრად იცვლებოდა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სტატისტიკა. კერძოდ, 2004 წ. – 7867 ბრალდებული/მსჯავრდებული, 2007 წ<sup>24</sup>. – 18309, 2010 წ. – 23684, ხოლო 2013 წლის ივლისის მდგომარეობით ამ ციფრმა 9255 ბრალდებული/მსჯავრდებული შეადგინა<sup>25</sup>. დასახელებული პრობლემა შემდეგ ქვეყნებშიც გამოიკვეთა, კერძოდ: გერმანიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, ირლანდიაში, მოლდოვაში, პოლონეთში, უკრაინასა და რუსეთში<sup>26</sup>, ასევე აშშ-ში, ტაილანდში, დასავლეთ ევროპაში – ნიდერლანდებსა და გაერთიანებულ სამეფოში (ჩანს, აღნიშნული სახელმწიფოები უპირატესად არ იყენებენ ალტერნატიულ სასჯელებს ყოველ შესაძლო შემთხვევაში). ციხეთა ადმინისტრაციის უმეტესობას, როგორც წესი, არ აქვს საშუალება, გამოყოს დამატებითი რესურსები, – მატერიალური თუ ადამიანური, რათა დაარეგულიროს პატიმართა აღნიშნული მზარდი რაოდენობა. შედეგად კი ვიღებთ გადატვირთვის ეპიდემიურ ხასიათს. ციხეების ადმინისტრაცია ველარ ახერხებს მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას და პატიმრების რეაბილიტაციაზე ზრუნვას, რასაც შედეგად საზოგადოებაში პატიმრების მოუმზადებელი დაბრუნება მოჰყვება<sup>27</sup>. მოცემული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა კი საპატიმრო სასჯელებთან შედარებით ალტერნატიული სასჯელების ინტენსიური გამოყენებაა. სწორედ ამაზე მიუთითებს გაეროს სტანდარტული წესები არასაპატიმრო სასჯელების შესახებ (ტოკიოს წესები)<sup>28</sup>, წესი 2: დანაშაულის სიმძიმისა და ხასიათის, დამნაშა-

24 Prison Studies Centre მონაცემები, მითითებულია: მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელალსრულების სამართალი, 2014 წელი, გვ. 251.

25 საქართველოს სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წერილი MCLA 3 13 00014973, 26.08.2013.

26 Prison Studies Centre მონაცემები, იხ. <<http://prisonstudies.org/info/worldbrief/?search=europe&x=Europe>> [26/01/18].

27 ე. კოლი, პენიტენციალურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისთვის, თბილისი, 2007 წელი, გვ. 157; ასევე, იხ. <[www.prisonstudies.org](http://www.prisonstudies.org)> [26/01/18].

28 arasapatimro RonisZiebaTa gamoyenebis gaeros standartuli minimaluri wesebi (toki-

ვის პიროვნული მახასიათებლებისა და მისი წარმოშობის შესაბამისად, საზოგადოების დაცვისა და უსარგებლო პატიმრობის თავიდან აცილების მიზნით, სისხლისსამართლებრივმა მართლმსაჯულებამ საზოგადოებას უნდა შესთავაზოს არასაპატიმრო სასჯელები. მათი მოცულობა და ხასიათი შესაბამისობაში უნდა იყოს ჩადენილ დანაშაულთან. შესაძლოა, ალტერნატიული სასჯელების უპირატესად გამოყენების მოწინააღმდეგეთა მხრიდან დასახელებული იყოს ამგვარი არგუმენტი – თუკი თავისუფლებააღკვეთილი პატიმრების ქარბი რაოდენობა იწვევს სასჯელალსრულების დაწესებულებათა გადატვირთვას, ხომ შეიძლება პრობაციონერთა დიდმა ოდენობამ პრობაციის სააგენტოს გადატვირთვა გამოიწვიოს. ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ საქმეების გონივრული პროპორციით გადანაწილებითა და პრობაციის ოფიცრების შესაბამისი რაოდენობით/მომზადების უზრუნველყოფით აღნიშნული პრობლემა თავიდან იქნება აცილებული, თანაც საწინააღმდეგო მოსაზრების დაშვება ციხეების გაფართოების აუცილებლობას გამოიწვევს, რაც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის №. R(99) რეკომენდაციის შესაბამისად, „ციხეების გადატვირთვისა და პატიმრების რაოდენობის ზრდის შესახებ“, მხოლოდ გამონაკლის ზომას უნდა წარმოადგენდეს, თანაც იგი ვერ აგვარებს ციხეების გადატვირთვის პრობლემას ხანგრძლივად და საფუძვლიანად, ამასთანავე ჩვენი სახელმწიფოს ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის გათვალისწინებით, აღნიშნული შემთხვევის დაშვება სრულიად უმართებულოა.

მიზანშეწონილია, ყურადღება გამახვილდეს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის უპირატესად გამოყენების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ ფაქტორზე, კერძოდ, სსკ-ის 44-ე მუხლის მე-4 ნაწილში მოცემულ ჩანაწერზე. მოცემული მუხლის მიხედვით, აღნიშნული სასჯელის სახის დანიშვნა დაუშვებელია პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებისთვის, ორსული ქალისთვის, ქალისთვის, რომელსაც ჰყავს 7 წლამდე ასაკის შვილი, საპენსიო ასაკის პირისა და განვეული სამხედრო მოსამსახურისთვის. აღნიშნული

შეუძლებლობა, ცხადია, გამოიწვევს მოცემული ალტერნატიული სასჯელის ნაცვლად, უფრო მკაცრი სასჯელის, თავისუფლების აღკვეთის, დანიშვნას აღნიშნულ პირებთან მიმართებით, რაც სასჯელის მიზნებიდან გამომდინარე, მეტად მიზანშეუწონელია. ამასთან, თავისუფლების აღკვეთის შეფარდების შემთხვევაში ხომ არსებითად მცირდება, მაგ: დედასა და შვილს შორის კომუნიკაციის სიხშირე, შესაბამისად, აღნიშნული ეწინააღმდეგება მათ ინტერესებს. ყოველი კონკრეტული შემთხვევის გათვალისწინებით, უნდა იყოს შესაძლებელი, დასახელებულ პირებს, მაგალითად, ქალს, რომელსაც 7 წლამდე ასაკის შვილი ჰყავს, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, მათივე მდგომარეობისა და აზრის გათვალისწინებით, ძირითადი სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეეფარდოთ.<sup>29</sup>

აქვე, მართებულია, გამოიკვეთოს ზოგადად ალტერნატიული სასჯელის სახით საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოუყენებლობის ფაქტი როგორც სრულწლოვნების, ასევე, – არასრულწლოვნების მიმართ ქართულ რეალობაში. კერძოდ, 2010 წლიდან იკლო ძირითადი სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენებამ და 2014 წელს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.<sup>30</sup> 2011 წლის მაისის სასამართლო პრაქტიკის სტატისტიკის მიხედვით, აღნიშნულ თვეში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულისთვის დანიშნული სასჯელის 0.8 %-ს შეადგენდა, ხოლო, 2012 წლის აპრილის სტატისტიკის შესაბამისად, – 9.0%-ს. „ფაქტიურად, სასჯელის ამ კატეგორიის გამოყენების შესაძლებლობა გაიზარდა“.<sup>31</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ძირითა-

29 ცკიტიშვილი თ., საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მეთოდოლოგიური პრობლემები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016 წელი, გვ. 549-550.

30 შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016 წელი, გვ. 142.

31 ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები (შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014 წელი, გვ. 28-29.

დი სასჯელის სახით მისმა გამოყენებამ 2010 წლიდან (2010 წლის მაჩვენებელი აღემატებოდა 2009 წლისას, განსაკუთრებით აქტიური ამ მხრივ აჭარის რეგიონი იყო)<sup>32</sup> იკლო და 2014 წელს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მონოდედებული სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სასჯელის სახით გამოყენება მოხდა 484-ჯერ (515 ინდივიდუალური პირი). აღნიშნული შეადგენს მთლიანი სასამართლო გადაწყვეტილებების 3.2%-ს (ევროპა – 8%).<sup>33</sup> პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ისეთი პრობლემური საკითხი, როგორცაა სამუშაო ადგილების არქონა. პრობაციის ოფიცრები შესაძლოა, მომზადებული და ორიენტირებული იყვნენ მსჯავრდებულის ამა თუ იმ ადგილზე განწესებისთვის, თუმცა მათ არ ჰქონდეთ შესაბამისი ორგანოების მხარდაჭერა და ხშირად ვერ მოახერხონ კიდევ სამუშაო ადგილების გამოძებნა. სწორედ აღნიშნული პრობლემა გამოიკვეთა პრობაციის ოფიცრებთან საუბრისას და გამოვლინდა ამ კუთხით საზოგადოების აქტიური ჩართულობის აუცილებლობა.<sup>34</sup>

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების კონტექსტში პრობაციის სააგენტოსთან მიმართებით საინტერესოა შემდეგი ინფორმაცია: საქართველოს პრობაციის სააგენტოს ჯერჯერობით არ აქვს საკუთარი სახელოსნოები საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განსახორციელებლად. მიუხედავად ამისა, სააგენტოს აქვს სურვილი, გაზარდოს ისეთ სამუშაოზე გადანაწილების პროპორციულობა, რომელიც იძლევა კონ-

32 შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016 წელი, გვ. 142.

33 არასაპატიმრო სანქციების გამოყენების ხელშეწყობა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში, კვლევის ანგარიში, თბილისი, 2015 წელი, გვ. 26, ხელმისაწვდომია: < [https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/05/Synthesis-research\\_non-custodial-sanctions-in-the-South-Caucasus\\_Geo.pdf](https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/05/Synthesis-research_non-custodial-sanctions-in-the-South-Caucasus_Geo.pdf) > [26/01/18].

34 შალიკაშვილი მ., ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზიან ლეკვეიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014 წელი, გვ. 102-103.

სტრუქციულ სარეაბილიტაციო შედეგს. თბილისში ერთ-ერთი მსგავსი სამსახურის მაგალითია ადგილი (დღის ცენტრი), სადაც დამნაშავე სადღილით უმასპინძლებდა მოხუცებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს. ეს დამნაშავეები განუვლი სამუშაოსთვის იღებენ მნიშვნელოვან პატივისცემას, რაც დადებითად აისახება მათ თვითშეფასებაზე და მათში აღვივებს კმაყოფილების გრძნობას, რომ მათ შესწევთ უნარი, დაეხმარონ სხვას.<sup>35</sup>

ცხადია, მისასალმებელი იქნებოდა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სასჯელის სახედ უპირატესად გამოყენების დანერგვაზე მუშაობა. პირველ რიგში, უნდა განხორციელდეს სათანადო სამუშაო ადგილების მოძიება, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პრობაციის ოფიცრებისთვის გადაუჭრელ პრობლემას არ წარმოადგენდეს, თუ სად უნდა განახორციელოს პირმა მასზე დაკისრებული სამუშაო. ამით კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამალღდება სასჯელის ეფექტიანობის ხარისხი.

## საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების წარმატებული პრაქტიკა აშშ-ის მაგალითზე

ალტერნატიული სასჯელის უპირატესი ეფექტურობის მეტად მკაფიოდ წარმოსაჩენად სამართლებრივად რელევანტურია საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების პრაქტიკის განხილვა აშშ-ის მაგალითზე, ვინაიდან იგი წარმატებით ახორციელებს აღნიშნული ალტერნატიული სასჯელის ეფექტურ გამოყენებას. კერძოდ, იუვენალური იუსტიციის სისტემა აქტიურად იყენებს პრობაციის ინსტიტუტს, რომელიც ხშირ შემთხვევაში მოიცავს საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას, გარკვეულ

35 არასაპატიმრო სანქციების გამოყენების ხელშეწყობა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში, კვლევის ანგარიში, თბილისი, 2015 წელი, გვ. 26, ხელმისაწვდომია: <[https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/05/Synthesis-research\\_non-custodial-sanctions-in-the-South-Caucasus\\_Geo.pdf](https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/05/Synthesis-research_non-custodial-sanctions-in-the-South-Caucasus_Geo.pdf)> [26/01/18].

შემთხვევაში კი ეს უკანასკნელი, როგორც საპატიმრო სახის სასჯელის ალტერნატივა, დამოუკიდებლად გამოიყენება. მაგ, – კანადაში მოცემული სასჯელი გაერთიანებულია პრობაციასთან, რის შედეგადაც მოსამართლე გარკვეულ შემთხვევაში დამნაშავეს ავალებს ლტოლვილების ასოციაციისათვის კონკრეტული დახმარების განწევას. სასამართლოები საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს რეაბილიტაციის საუკეთესო საშუალებად თვლიან. იგივე მიდგომაა აშშ-შიც<sup>36</sup>. მაგ, – არიზონას შტატში, პრობაციის გაძლიერებული მეთვალყურეობის პირობებში (IPS) არასრულწლოვნებმა პრობაციის ისეთი პირობების მორჩილად დაცვასთან ერთად, რომლებსაც მიეკუთვნება სავალდებულო საშუალო განათლების მიღება და მკურნალობის სავალდებულო კურსის გავლა, უნდა აღასრულონ ასევე საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა (community work service), მასზე მეთვალყურეობის განხორციელებით, სულ მცირე 32 საათი ყოველკვირეულად<sup>37</sup>.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა, კანონმდებელი ნებას რთავს მოსამართლეს, გამოიყენოს სხვადასხვა ღონისძიებები, მათ შორის, -საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის მსგავსიც. ამ თვალსაზრისით სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების კანონი ახალ ფორმას აძლევს პრობაციას: ეს არის პრობაციის კომბინირებული დანიშვნა (combination order), რომლის წყალობით მოსამართლე არა მხოლოდ გარკვეულ ვალდებულებებს, არამედ საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს შესრულებასაც აკისრებს პირს 50-100 საათის ფარგლებში. აშშ-ში მდგომარეობა იცვლება შტატების მიხედვით. ზოგიერთი შტატის კანონი ჩამოთვლის პირობებს ან მოსამართლე ამ თვალსაზრისით თავისუფალია, ხოლო სხვა შტატებში მოსამართლე საქმეს გადასცემს პრობაციის კომიტეტებს. ამერიკის ადვოკატთა გაერთიანება მხარს უჭერს ზუსტი პირობების

36 პრადელი ჟ., შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999 წელი, გვ. 437.

37 იხ. <[http://www.ehow.com/list\\_6505860\\_rules-juvenile-probation.html](http://www.ehow.com/list_6505860_rules-juvenile-probation.html)> [26/01/18].



არსებობას, იმგვარი მოვალეობების დაკისრების ჩათვლით, რომლებიც მოიცავს სამედიცინო დახმარების გავლას, დანაშაულის შედეგების გამოსწორებას, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას ან განსაზღვრული ადგილიდან გაუსვლელობის მოვალეობას<sup>38</sup>.

ამერიკელი მკვლევრების მიერ რეციდივთან ბრძოლის საკითხში დადებითი დასკვნა კეთდება ალტერნატიული სასჯელების ისეთი სახეების გამოყენებასთან დაკავშირებით, როგორებიცაა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის განმახორციელებელი პროგრამები. ამ მხრივ, მიზანშეწონილია, გამოიყოს აშშ-ში არსებული ალტერნატიული სასჯელის შემდეგი სახეები – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, სამუშაოს შესასრულებლად გათავისუფლებისა და შაბათ-კვირის სასჯელის პროგრამები, რომელთაგან მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა გამოიყენება როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ, რამდენადაც სამუშაოს შესასრულებლად გათავისუფლებისა და შაბათ – კვირის სასჯელის პროგრამებში არ არის მითითებული მათში არასრულწლოვან დელინკვენტთა შესაძლო მონაწილეობის შესახებ<sup>39</sup>. ამგვარად, მართებულია, ყურადღება გამახვილდეს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სპეციფიკაზე აშშ-ის მიხედვით, სადაც აღნიშნული ალტერნატიული სასჯელი ყველაზე ხშირად დამატებითია სხვა სასჯელზე. ძირითადად იგი სასჯელად გამოიყენება ე.წ. თეთრსაყელიანი (white-collar) კრიმინალების, არასრულწლოვანი დელინკვენტებისა და მათ მიმართ, ვისაც არ ჩაუდენია სერიოზული დანაშაული. ქართული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისადაც, აღნიშნული არასაპატიმრო სასჯელის გამოყენება ნაკლებად მძიმე დანაშაულის შემთხვევაშია შესაძლებელი, რაც გარკვეულ-

38 Stojkovic S., R.Lovell, Corrections. An introduction, Anderson pub. Cincinnati, Ohio, 1992, 475, მითითებულია: ი. ხერხეულიძე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი, მართლმსაჯულება და კანონი №2(29)'11, თბილისი, გვ. 122.

39 იქვე, გვ. 122.

ნილად საკანონმდებლო ხარვეზადაა მიჩნეული, ვინაიდან ნაკლებად მძიმე დანაშაულზე საქმეების დიდი ნაწილი საპროცესო შეთანხმებით მთავრდება<sup>40</sup> და რომ დავუბრუნდეთ აშშ-ს, უნდა აღინიშნოს დამნაშავეთა მიმართ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნის შემთხვევაში მათი განაწილება ისეთ სამთავრობო ან კერძო არაკომერციულ სააგენტოებში, რომელთა საქმიანობაც მიმართულია ისეთი საქმიანობის შესრულებისკენ, როგორცაა, – პარკების დასუფთავება, გზისპირა ნაგვის შეგროვება, საექთნო საქმეებში შესაბამისი დანესებულებების დახმარება<sup>41</sup>. ასეთი სამოქალაქო პროგრამების მაგალითებს შეიცავს კალიფორნიის მეტყვევობისა და ცეცხლისგან დაცვის დეპარტამენტი, რომელიც იყენებს 1500 ციხის ბინადარს, როგორც ველური მიწის მეხანძრეებს და ვაშინგტონის შტატის გამოსასწორებელი ცენტრის პროგრამა ქალებისათვის, რომელშიც მის მობინადრეებს ასწავლიან განრთვნან და გამოკვებონ ძაღლები, რომელთაც შეუძლიათ, დახმარება გაუწიონ უნარშეზღუდულებს<sup>42</sup>.

რაც შეეხება აშშ-ის სხვადასხვა შტატის მიდგომას არასრულწლოვან დამნაშავეთა მიმართ, ამ მხრივ საინტერესოა მათი დაარსებული იუვენალური იუსტიციის სისტემის პროექტი, რათა დაეხმარონ თავიანთ საკანონმდებლო ხელისუფლებას, მართლმსაჯულების სისტემის ფორმირებაში, რომელიც იუვენალური იუსტიციის ფოკუსირებას დასჯიდან რეაბილიტაციაზე გადაიტანს. ასეთი პროექტი გააჩნია ლუიზიანას შტატს (პროექტი აღწევს თავის მიზნებს აღზრდა-განათლების პირველ ადგილზე დაყენებით), მინესოტას შტატს, რომლის პროექტიც ორიენტირებულია უნარშეზღუდული არასრულწლოვნების დაცვაზე, კალი-

40 შალიკაშვილი მ., ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკვეიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014 წელი, გვ. 106.

41 ხერხეულიძე ი., პრობაციის ინსტიტუტი – არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014 წელი, გვ. 195.

42 <<http://www.libraryindex.com/pages/2553/Sentencing-ALTERNATIVE-SENTENCING.html>> [26/01/18].

ფორნიის ლოს ანჯელესის პროექტი, რომელიც საპატიმრო სასჯელების ალტერნატივების ძიებაში ჩამოყალიბდა და სხვ.

აქვე უნდა აღინიშნოს ჯინჯერ მარტინის სტატიის შესახებ „The Effectiveness of Community-Based sanctions in Reducing Recidivism“<sup>43</sup>. მან გამოიკვლია მონაცემები ორეგონის შტატიდან, რომელიც ეხებოდა რეციდივის კოეფიციენტს სასჯელის დანიშვნის ალტერნატიულ ფორმებზე. ამ კვლევაში ჩართული იყო 1999 წლის იანვრიდან 2001 წლის დეკემბრამდე ციხიდან გამოსული 13219 პატიმარი. ჯ. მარტინმა აღმოაჩინა, რომ ისეთი საშუალება, როგორიც არის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, – უფრო იაფი იყო, ვიდრე – პატიმრობა და აჩვენებდა რეციდივის უფრო დაბალ დონეს 12 თვის შემდეგ<sup>44</sup>. ზოგადად, „სასჯელი სახელმწიფოს ძვირი უჯდება“<sup>45</sup>, ამ შემთხვევაში კი გამოიკვეთა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ეკონომიურობა პატიმრობასთან შედარებით, რაც სახელმწიფოსთვის, ცხადია, მნიშვნელოვანი ასპექტია, მით უმეტეს, ეკონომიკურად სუსტი ქვეყნებისთვის, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ „ბუნებრივი და სახელმწიფოებრივი რესურსების სწორად და გააზრებულად გამოყენება არის ქვეყნის განვითარების აუცილებელი პირობა“<sup>46</sup>.

43 Corrections Today Magazine, February, 2003, მითითებულია: ი. ხერხეულიძე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი, მართლმსაჯულება და კანონი №2(29)'11, თბილისი, გვ. 122.

44 <<http://www.libraryindex.com/pages/2553/Sentencing-ALTERNATIVE-SENTENCING.html>> [26/01/18].

45 გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბილისი, 2013 წელი, გვ. 111.

46 შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011 წელი, გვ. 254.

## 6. პრობაციის სამსახურისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის როლი განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების ასპექტში; პრობაციის სამსახურის ამოცანები

ზემოაღნიშნულმა მაგალითმა ასევე გამოავლინა სსკ-ის 39-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელისა და პრობაციის სამსახურის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მიზნის („არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“ კანონით განსაზღვრული სამართლებრივი აქტების აღსრულებას, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვასა და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, რეაბილიტაციასთან ერთად გათვალისწინებული მიზნის (მე-7(II) მუხ.) დანაშაულის პრევენციის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილების რეალიზება, მისი მიღწევა. კონკრეტულად, როგორც აღინიშნა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შემთხვევა აჩვენებდა რეციდივის უფრო დაბალ დონეს 12 თვის შემდეგ.

„მართებულად აღნიშნავენ ჰ. იეშეკი და თ. ვაიგენდი – სასჯელი თვითმიზანი კი არა, მხოლოდ საშუალებაა იმ მიზნის მისაღწევად, რომ დანაშაული მომავალში თავიდან ავიცილოთ“ („poena relata ad effectum“)<sup>47</sup>. განმეორებითი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად კი პრობაციის ორგანოები მაქსიმუმს აკეთებენ, კერძოდ, ზედამხედველობით (სუპერვიზიით), რომელიც მოიცავს კონტროლს შესაბამის საქმეებზე. აღნიშნული ასპექტი გამოკვეთილია „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მეორე ნაწილში, რომლის მიხედვითაც, პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიზნის განხორციელების ერთ-ერთ საშუალებად (მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასებას, სასჯელის აღსრულების ინდივიდუალურ დაგეგმვას, მისი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისათვის ხელის შეწყობასა და დახმარებასთან

47 გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის შესავალი, III ტომი, თბილისი, 2013 წელი, გვ. 102-103.

ერთად) მსჯავრდებულის აუცილებელი ზედამხედველობა და კონტროლია მიჩნეული. ასევე აღნიშნული ელემენტია გათვალისწინებული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში, რომლის შესაბამისადაც, პრობაციის ორგანოებს მრავალი ამოცანა აქვთ, კერძოდ, – ჩართული არიან სასამართლო გადანიშნულებების აღსრულებაში, საზოგადოების უსაფრთხოების დაცვასა, (რომელიც „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით პრობაციის არა – ამოცანად, არამედ მიზნადაა მიჩნეული – 7(1) მუხ.), სისხლის სამართალი სასჯელების მეშვეობით „იცავს საზოგადოებას, ადამიანს, მის უფლებებს დანაშაულებრივი ხელყოფისაგან“<sup>48</sup>) და სამართალდამრღვევთა ზედამხედველობაში, ე.ი. ზედამხედველობა პრობაციის ორგანოების ერთ-ერთ ამოცანადაა მიჩნეული. იგი განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა, ვინაიდან „პრობაციის ორგანოები არასდროს ახორციელებენ მხოლოდ მონიტორინგსა და კონტროლს, მაშინაც კი, როდესაც ეს ზედამხედველობის აუცილებელი ნაწილია. იმ რწმენით რომ ადამიანები იცვლებიან, პრობაცია მიზნად ისახავს, რომ მიაღწიოს რეაბილიტაციას სამართალდამრღვევებთან მუშაობით, მათ დასახმარებლად და შესაგულიანებლად, რომ იცხოვრონ კანონმორჩილი ცხოვრების წესით“<sup>49</sup>, სწორედ მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, რეაბილიტაცია განაპირობებს მეტწილად დანაშაულის პრევენციას, რაც საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შემთხვევაში უფრო მაღალი პროცენტული ალბათობით მიიღწევა, ვიდრე – საპატიმრო სასჯელის დანიშვნისას. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს PRI-ის ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის ონლაინ გამოკითხვის შედეგი არასაპატიმრო, ალტერნატიული სასჯელების შეს-

48 გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008 წელი, გვ. 49.

49 კომენტარი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე წევრ ქვეყნებს Cm/Rec (2010) ევროპის პრობაციის წესების შესახებ, ევროპული კომიტეტი დანაშაულის პრობლემებზე (CDPC) 1075-ე შეხვედრა, 2010 წლის 20 იანვარი, გვ. 3.

ახებ, რომლის შესაბამისადაც, გამოკითხულთა უმრავლესობამ უპირატესობა სწორედ არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებას მიანიჭა<sup>50</sup> მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, რეაბილიტაციის, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა თუ სხვა უპირატესობათა გამო. ასევე აღნიშნული მოსაზრება იკვეთება 2012 – 2013 წლებში საინიციატივო ჯგუფის მიერ(მაია ხასაია, გივი მიქანაძე, მორის შალიკაშვილი) ფონდ ღია საზოგადოება – საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით საქართველოს 5 ქალაქში – თბილისი, რუსთავი, ბათუმი, ქუთაისი და ზუგდიდი, – ჩატარებული სასჯელის აღსრულების შესახებ კვლევის<sup>51</sup> მიხედვით, რომლის შესაბამისადაც, როგორც პრობაციის ოფიცერთა და პრობაციონერთა, აგრეთვე ადვოკატების, პროკურორებისა და მოსამართლეების უმრავლესობამ უპირატესობა არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებას მიანიჭა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ადვოკატების, პროკურორებისა თუ მოსამართლეების მაგ, – 10 საქმიდან 2-3 საქმე დასრულდა ალტერნატიული სასჯელის გამოყენებით.

აქვე, შესაძლებელია, ითქვას, დანაშაულის პრევენციის რეალიზაციის დასტურია პრობაციის ეროვნული სააგენტოს სტატისტიკა (4 წლის) განმეორებით დანაშაულთან დაკავშირებით, რაც 2012 წ.- 1601 – 4,8%-ს შეადგენდა, 2013 წ.- 1515 – 13%-ს, 2014 წ.-637 – 4.15%-ს, ხოლო 2015 წლის აპრილის მონაცემებით – 201 – 1.1%-ს<sup>52</sup>. აქედან გამომდინარე კი, იკვეთება პრობაციის სამსახურის კიდევ უფრო გაუმჯობესების შემთხვევაში დანაშაულის რეალური პრევენციის შესაძლებლობა, რითაც აღნიშნული სამსახურისა და სასჯელის ეს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იქნება მიღწეული.

50 <<http://www.penalreform.org/wp-content/uploads/2014/04/Online-Survey-Responses-Report.pdf>> [26/01/18].

51 შალიკაშვილი მ., ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზილა ლეკვიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014 წელი, გვ. 87-107.

52 T. Magradze, National Probation Agency ACHIEVEMENTS, xelmisawvdomia: <[http://sympa-by.eu/sites/default/files/library/national\\_probation\\_agency.pdf](http://sympa-by.eu/sites/default/files/library/national_probation_agency.pdf)> [26/01/18].

## დასკვნა

ზემოთ დასახელებულ მიზეზთა გარდა, რომლებიც თავისთავად ცხადყოფს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის უპირატესობას ალკვეთის ღონისძიებებთან შედარებით, მიზანშეწონილია ითქვას, რომ მისი სასჯელად დანიშვნის შემთხვევაში:

1. მსჯავრდებული არ მოხვდება ციხის კრიმინალურ გარემოში, შესაბამისად, აცილებული იქნება კრიმინალურ სუბკულტურასთან<sup>53</sup> შეხების პრობლემა, აგრეთვე – ციხის უარყოფითი გარემოს (მსჯავრდებულთა სიკვდილიანობა, მათ მიმართ მოპყრობის წესი და სხვ.) გავლენა;

2. დამნაშავეს არ დაეუფლება საკუთარი თავის მიმართ ე.წ „უსამართლობის“ შეგრძნება, ამგვარად, არც გაბოროტდება და შურისძიების გრძნობასაც თავს დააღწევს, რადგანაც მის მიმართ თავისუფლების აღკვეთა არ იქნება გამოყენებული;

3. ამა თუ იმ ადგილზე სამუშაოდ განთავსებით მსჯავრდებული შეიძენს/განიმტკიცებს პროფესიულ უნარ-ჩვევებს;

4. თავიდან იქნება მეტ-ნაკლებად აცილებული სტიგმატიზაცია<sup>54</sup>, საზოგადოების მხრიდან მითითება პირზე, როგორც დამნაშავეზე;

5. მოცემული ალტერნატიული სასჯელი მსჯავრდებულისთვის ხელახალი ცხოვრების დაწყების წინაპირობა გახდება, ვინაიდან იგი მას საზოგადოებისაგან გამოცალკევების გარეშე მოიხდის, შესაბამისად, მეტად ეფექტური იქნება მისი რესოციალიზაცია<sup>55</sup>, რეაბილიტაცია<sup>56</sup>.

6. სახელმწიფო თავიდან აიცილებს ციხის პირობებში

53 შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., ხასია მ., სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014 წელი, გვ. 401-456.

54 სტიგმატიზაციასთან დაკავშირებით იხ. მ. შალიკაშვილი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011 წელი, გვ. 47-49;

55 რესოციალიზაციასთან დაკავშირებით იხ. მ. შალიკაშვილი, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014 წელი, გვ. 74-77.

56 რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, იხ. იქვე, გვ. 79-84.

მსჯავრდებულის შენახვის ხარჯებს (მიზანშეწონილობა ეკონომიურობის თვალსაზრისით).

ალტერნატიული ღონისძიებების – აქ: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, – გამოყენების პირველად მიზანს წარმოადგენს, ჩამოუყალიბოს კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებს რესოციალიზაციის პროცესის მიმართ ნდობა, განხორციელდეს ასეთი ღონისძიებების ეფექტური ორგანიზება, რის შედეგადაც მიღწეულ უნდა იქნეს უმთავრესი მიზანი – განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება<sup>57</sup>.

საბოლოო ჯამში, დასკვნის სახით რომ ითქვას, რადგანაც თავისუფლების აღკვეთის შეფარდებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ სასჯელი უნდა იყოს – *Ultima Ratio*, როდესაც, ფაქტების სიმძიმედან გამომდინარე, მოსამართლეს სხვა გამოსავალი აღარ აქვს და თავისუფლების აღკვეთას უნდა განსაზღვრავდეს დანაშაულის ისეთი სიმძიმე, როდესაც შეუძლებელია სხვა ალტერნატიული სასჯელის გამოყენება<sup>58</sup>, სხვა შემთხვევებში აქცენტი ალტერნატიულ სასჯელებზე უნდა გაკეთდეს (ტოკიოს წესები (წესი 2(2) ), რასაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ზემოაღნიშნული მსჯელობა. აღნიშნული მოსაზრების მოწინააღმდეგეთა მხრიდან კითხვაზე – ხომ არ გამოინვევს ალტერნატიული სასჯელების უპირატესი, მეტი რაოდენობით გამოყენება დაუსჯელობის სინდრომს, შესაბამისად, დანაშაულის (ხელახალი/ზოგადად) ჩადენის მაღალ ალბათობას, – პასუხად ლოგიკური იქნება ჩეზარე ბაკარიას ცნობილი გამონათვამის გამოყენება, კერძოდ, – „დანაშაულთა თავიდან აცილებაში მთავარია არა სასჯელის სიმკაცრე, არამედ – მისი გარდაუვალობა“ (პასუხისმგებლობის გარდაუვალობის პრინციპი), „როგორც ბრალეულ ქმედებაზე სახელმწიფოს უარყოფითი რეაქცია“<sup>59</sup>. ამგვარად, ნებისმიერ

57 ბერნჰარდტი ე., ქელბაქიანი ა., ნამიჭიშვილი ს., ბაროუზი რ., შეყრილაძე ი., საძაგლიშვილი შ., სახელმძღვანელო კურსისთვის: სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში, თბილისი, 2014 წელი, გვ. 55.

58 პრადელი ჟ., დასახ. ნაშრ., თბილისი, 1999 წელი, გვ. 443.

59 ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007 წელი, გვ. 29.



შემთხვევაში არსებითია სახელმწიფოს მიერ დანაშაულებრივი ქმედების რეაგირების გარეშე არდატოვება (არა – რეაგირების მკაცრი ხასიათი) და სასურველია, მოცემული რეაქცია ზემოთ დასახელებულ მთელ რიგ ფაქტორთა გათვალისწინებით ყოველ შესაძლო შემთხვევაში ალტერნატიულ სასჯელთა გამოყენებით გამოიხატოს. ამ კუთხით კი, ცხადია, გაიზრდება პრობაციის სამსახურისა და, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობა (როცა საკითხი ეხება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას), მეტად დაიხვეწება პრობაციის სამსახურის ცალკეული ამოცანები და მიზნები, საბოლოოდ კი სახეზე იქნება მეტი რესოციალიზებული, რეინტეგრირებული მსჯავრდებული, გადატვირთვისგან შედარებით თავისუფალი სასჯელალსრულების სისტემა, შესაძლებელი გახდება პრობაციის სამსახურის და, რაც მთავარია, სამართლებრივი სახელმწიფოს მიზნების მიღწევა.

## ბიბლიოგრაფია

### სამეცნიერო ლიტერატურა

ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2007 წელი.

არსოშვილი გ., მიქანაძე გ., შალიკაშვილი მ., პრობაციის სამართალი, თბილისი, 2016 წელი.

ბერნჰარდტი ე., ქელბაქიანი ა., ნამიჭიშვილი ს., . ბაროუზი რ, შეყრილაძე ი., საძაგლიშვილი შ., სახელმძღვანელო კურსისთვის: სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში, თბილისი, 2014 წელი.

გამყრელიძე ო., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბილისი, 2008 წელი.

გამყრელიძე ო. ე, სისხლის სამართლის პრობლემები, მესამე ტომი, თბილისი, 2013 წელი.

გამყრელიძე ო., სისხლის სამართლის შესავალი, III ტომი, თბილისი, 2013 წელი.

გოცირიძე ე., გამოსატვის თავისუფლება კონფლიქტურ ღირებულებათა სამართლიანი დაბალანსების კონტექსტში, (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით), თბილისი, 2007 წელი.

დაუთაშვილი პ., არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესი და პრობაციის კანონი სტიგმათა და ზოგიერთი თეორიის ქრილში, ჟურნალი „სამართალი“, N1-2, თბილისი, 2003 წელი.

ივანიძე მ., ალტერნატიული სასჯელები (შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014 წელი.

კოილი ე., პენიტენციალურ კვლევათა საერთაშორისო ცენტრი, პენიტენციალური სისტემის მართვა ადამიანის უფლებათა პოზიციიდან, სახელმძღვანელო პენიტენციალური სისტემის თანამშრომლებისთვის, თბილისი, 2007 წელი.

პრადელ ჟ. ი, შედარებითი სისხლის სამართალი, თბილისი, 1999 წელი.

საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მეთოდოლოგიური პრობლემები, სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, თბილისი, 2016 წელი.

ტორიაშვილი ნ., ალტერნატიული სასჯელის სახეები ქართულ და საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართალში, ალტერნატიული სასჯელები, თბილისი, 2013 წელი, III.

ტურავა მ., დანაშაულის მოძღვრება, თბილისი, 2011 წელი.

შალიკაშვილი მ., ალტერნატიული სასჯელების კვლევა საქართველოში, მზია ლეკვეიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014 წელი.

შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013 წელი.

შალიკაშვილი მ. ი, კრიმინოლოგია, მეორე გამოცემა, თბილისი, 2011 წელი.

შალიკაშვილი მ. ი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელალსრულების სამართალი, თბილისი, 2014 წელი.

შალიკაშვილი მ. ი, გ. მიქანაძე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, თბილისი, ფრაიბურგი, სტრასბურგი, 2016 წელი.

ხერხეულიძე ი., საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – არასაპატიმრო სახის სასჯელთა შორის არასრულწლოვან დამნაშავეთა რესოციალიზაციის ერთ-ერთი საუკეთესო აგენტი, მართლმსაჯულება და კანონი NN№2(29)'11, თბილისი.

ხერხეულიძე ი., პრობაციის ინსტიტუტი – არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი), მზია ლეკვეიშვილი – 85, საიუბილეო კრებული, თბილისი, 2014 წელი.

### **დამხმარე მასალა**

არასაპატიმრო ღონისძიებათა გამოყენების გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები (ტოკიოს წესები), მიღებული გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის №45/110 რეზოლუციით.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია ნევრ ქვეყნებს CM/Rec (2010)1 ევროსაბჭოს პრობაციის წესების შესახებ.

კომენტარი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე ნევრ ქვეყნებს Cm/Rec (2010) ევროპის პრობაციის წესების შესახებ, ევროპული კომიტეტი დანაშაულის პრობლემებზე (CDPC) 1075-ე

შეხვედრა, 2010 წლის 20 იანვარი.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს წერილი MCLA 3 13 00014973, 26.08.2013.

### **ელექტრონული რესურსები**

არასაპატიმრო სანქციების გამოყენების ხელშეწყობა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში, კვლევის ანგარიში, თბილისი, 2015 წელი, ხელმისაწვდომია: <[https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/05/Synthesis-research\\_non-custodial-sanctions-in-the-South-Caucasus\\_Geo.pdf](https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/05/Synthesis-research_non-custodial-sanctions-in-the-South-Caucasus_Geo.pdf)> [26/01/18].

T. Magradze, National Probation Agency ACHIEVEMENTS, 2015, xelmisawvdomia: <[http://sympa-by.eu/sites/default/files/library/national\\_probation\\_agency.pdf](http://sympa-by.eu/sites/default/files/library/national_probation_agency.pdf)> [26/01/18].

<[http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA%20National%20Action%20Plan%202015%20-%20Final%20GEO\\_0.pdf](http://www.eu-nato.gov.ge/sites/default/files/AA%20National%20Action%20Plan%202015%20-%20Final%20GEO_0.pdf)> [26/01/18].

<[http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap\\_aa/associationagenda\\_2014\\_ka.pdf](http://eeas.europa.eu/delegations/georgia/documents/eap_aa/associationagenda_2014_ka.pdf)> [26/01/18].

<<http://prisonstudies.org/info/worldbrief/?search=europe&x=Europe>> [26/01/18].

<[www.prisonstudies.org](http://www.prisonstudies.org)> [26/01/18].

<[http://www.ehow.com/list\\_6505860\\_rules-juvenile-probation.html](http://www.ehow.com/list_6505860_rules-juvenile-probation.html)> [26/01/18].

<<http://www.libraryindex.com/pages/2553/Sentencing-ALTERNATIVE-SENTENCING.html>> [26/01/18].

<<http://www.penalreform.org/wp-content/uploads/2014/04/Online-Survey-Responses-Report.pdf>> [26/01/18].

<[http://sympa-by.eu/sites/default/files/library/national\\_probation\\_agency.pdf](http://sympa-by.eu/sites/default/files/library/national_probation_agency.pdf)> [26/01/18].

**ნინო შარმანაშვილი**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის  
მესამე კურსის სტუდენტი*

## **ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის წარმოშობა-განვითარების ისტორია**

### **შესავალი**

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს მრავალხინიანი განვითარების ისტორია აქვს. აღნიშნული ინსტიტუტი საქართველოში 2010 წლის 1 ოქტომბრიდან დამკვიდრდა მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეების განხილვისათვის, თუმცა აღნიშნული სისტემის შემოღებამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ექსპერტთა ნაწილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს აკრიტიკებს, თუმცა, სხვანი მის დადებით ასპექტებს უსვამენ ხაზს. ეს საკითხი თანამედროვე საზოგადოებაში არ კარგავს აქტუალობას და კვლავ რჩება ინტერესის საგნად. აღსანიშნავია, რომ მისი დამკვიდრების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად სწორედ საზოგადოების დიდი ინტერესი სახელდება სასამართლო პროცესებში ჩართულობასთან დაკავშირებით. ისტორიის გაცნობის შემდეგ მეტად ნათელი ხდება თუ რა სოციალურმა თუ სამართლებრივმა გარემოებებმა გამოიწვია მსგავსი ინსტიტუტის შექმნის საჭიროება.

წარმოდგენილი სტატიის მიზანია, ქრონოლოგიურად ასახოს აღნიშნული სისტემის განვითარების ეტაპები, მისი წარმოშობა და შემდგომი საფეხურები სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე, რათა ნათლად გამოიკვეთოს მისი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. გარდა ამისა, პასუხი გაეცეს შეკითხვებს

მისი საჭიროების შესახებ. საინტერესოა, თუ რამ უბიძგა ჯერ კიდევ განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომ საზოგადოებას ჩამოეყალიბებინა მსგავსი ინსტიტუტი.

ჩემს მიერ შემოთავაზებული ნაშრომით შევეცდები, ისტორიული განხილვის საშუალებით პასუხი გავცე დასახულ შეკითხვას. რაც შეეხება მისი დამკვიდრების აუცილებლობის საკითხს, იგი დღევანდელ სამართლებრივ სისტემაში განცალკევებით მსჯელობას საჭიროებს და სწორედ ამიტომ აღნიშნული სტატია მხოლოდ ისტორიული ექსკურსით შემოიფარგლება, რათა სწორედ გაესვას ხაზი ნაფიც მსაჯულთა წარმოშობის საფუძვლებს, გამოიკვეთოს მისი სპეციფიკა და როლი სასამართლო სისტემაში, წარმოჩინდეს მისი ისტორიული თავისებურებანი. ხაზგასასმელია ისიც, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო უძველესი ტრადიციების მქონე ინსტიტუტია. მისი ჩანასახები ჯერ კიდევ გვაროვნული წყობილების საქართველოში არსებობდა. სწორედ ამიტომ, საჭიროდ მივიჩნევ, განხილვა სწორედ მათი დახასიათებით დავიწყო და შემდგომ უშუალოდ ნაფიც მსაჯულთა წარმოშობა-განვითარების ისტორიით განვაგრძო მსჯელობა.

## **1. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ჩანასახები ძველ ქართულ სამართალში<sup>1</sup>**

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნიშნები საქართველოში 1920 წლიდან ამოქმედდა, თუმცა მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ მისი ჩანასახები ქართულ სამართალწარმოებაში მანამდეც შეიმჩნეოდა<sup>2</sup>. ამგვარი ინსტიტუტები განსაკუთებით თვალსაჩინოდ გამოიყენებოდა საქართველოს მთაში. ამ მოსაზრების გასამყარებლად მეცნიერები თუ ისტორიკოსები სამედიატორო სასამართლოს ასახელებენ, რომელიც თავისი ბუნებით მართლაც ემსგავსება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს.

<sup>1</sup> www.msajuli.ge 10/02/2017

<sup>2</sup> იქვე

## 1.1. სამედიატორო სასამართლო, მისი წარმოშობა და ფუნქციები.

უპირველეს ყოვლისა, მსურს, სამედიატორო სასამართლოს მექანიზმა და დამკვიდრების საჭიროებაზე გავამახვილო ყურადღება. აღსანიშნავია, რომ ამგვარი სასამართლო სწორედ იმ დროს წარმოიშვა, როდესაც საზოგადოება მართლმსაჯულებას სისხლის აღებითა თუ შურისძიებით ახორციელებდა. შესაბამისად, გაჩნდა საჭიროება იმისა, რომ მხარეებს შორის დავა სხვაგვარი მექანიზმით მოგვარებულიყო, კერძოდ, კი მხარეთა მორიგებისა და ჩვეულებითი სამართლით დაწესებული ქონებრივი საზღაურის გადახდის მეშვეობით. ვფიქრობ, სამართლიანია იმის თქმა, რომ სამედიატორო სასამართლოს დანერგვის საჭიროებას და მისი ფუნქციას სწორედ რომ მხარეთა შერიგება და შურისძიებისა და სისხლისღვრის თავიდან აცილება წარმოადგენს.

საზოგადოდ, სამედიატორო სასამართლო, არ იყო მუდმივმოქმედი ორგანო. მისი გამოყენება სადავო საკითხის გადაწყვეტისას, მხარეთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული, ასევე, მათი პრეროგატივა იყო სასამართლოს შემადგენლობის განსაზღვრა. ორივე მოდავე მხარე თანაბარი რაოდენობის მოსამართლეებს ასახელებდა. მხარეები მედიატორებს ნებაყოფლობით ირჩევდნენ. მედიატორ-მოსამართლეებად ისეთ პირებს არჩევდნენ, რომლებიც ხასიათდებოდნენ პატიოსნებით, ავტორიტეტით, ჩვეულებითი სამართლის ცოდნით. მათი ფუნქცია იყო მიეღწიათ მხარეთა შორის კომპრომისისათვის. მათ ამგვარი შედეგისათვის მოდავეებთან ლაპარაკის გზით უნდა მიეღწიათ, რომელიც აღმოფხვრიდა შუღლს და დაპირისპირებას. საბოლოოდ კი დავა ჩვეულებითი სამართლის ნორმათა საფუძელზე უნდა გადაწყვეტილიყო.

როგორც უკვე აღვნიშნე, სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით საკითხების გადაწყვეტა მხარეთა ნებაზე იყო დამოკიდებული და აქედან გამომდინარე, არ არსებობდა მედიატორ-

თა გადანყვეტილების იძულებით აღსრულების მექანიზმიც<sup>3</sup>. იმ შემთხვევაში თუ მხარე გადანყვეტილებას უსამართლოდ მიიჩნევდა, შეეძლო უარი ეთქვა გადანყვეტილების შესრულებაზე და საკითხის ხელახალი განხილვა მოეთხოვა. პროცესი შესაძლოა იქამდე გაგრძელებულიყო, სანამ გადანყვეტილება ორივე მხარეს დააკმაყოფილებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი უარყოფდნენ სასამართლოს გადანყვეტილებას და უფლებათა აღდგენაზე თავად იზრუნებდნენ. სწორედ ამიტომ, მედიატორ-მოსამართლეების ძირითად ფუნქციას სწორედ ორივე მხარისათვის მისაღები გადანყვეტილების მიღება წარმოადგენდა.

რიგ შემთხვევებში მხარეები აღსრულების უზრუნველყოფის საშუალებად ფიცსაც იყენებდნენ. სასჯელს, რომელსაც ძირითად შემთხვევაში მოსამართლე მხარეს აკისრებდა, კომპოზიცია, ანუ, ქონებრივი საზღაური ეწოდებოდა<sup>4</sup>.

სამედიატორო სასამართლოს განსახილველი საკითხები ძირითად შემთხვევაში კერძოსამართლებრივი ხასიათის იყო. სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მედიატორ-მოსამართლეები განიხილავდნენ სწორედ კერძოსამართლებრივ უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებულ საკითხებს: ურთიერთობებს კერძო პირებს შორის, ოჯახის წევრთა შორის, გვარებს შორის და ა.შ.

## 1.2 სამედიატორო სასამართლო ხევესურეთში

ხევესურეთში სამედიატორო სასამართლოს „რჯული“ ერქვა<sup>5</sup>. მისი ჩატარებისას იკვეთებოდა უძველესი სასამართლო პროცესის ფორმა-საბრალდებო პროცესი<sup>6</sup>. ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ხევესურეთში არ ხდებოდა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესების დიფერენცირება, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნე, სამედიატორო სასამართლო მხოლოდ

3 დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო ანუ რჯული ხევესურეთში, თბილისი 2001 წ. გვ. 6-7.

4 დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბილისი, 2002 წ. გვ 17

5 ტერმინის შესახებ იხ. იქვე გვ. 14

6 იქვე გვ.9



კერძოსამართლებრივ დავებს ეხებოდა. „რჯული“ განიხილავდა ისეთ საკითხებსაც როგორებიცაა მკვლელობა, ქურდობა, ჭრა-ჭრილობები და სხვა, თუმცა სავარაუდოა, რომ ისინიც კერძო დელიქტებად მოიაზრებოდა.

მეტად საინტერესოა უშუალოდ საქმის განმხილველ პირთა არჩევის პროცესი ხევსურეთში. მათ „რჯულის კაცებს“ უწოდებდნენ. „რჯულის კაცებს“ მხარეები ირჩევდნენ ან მათ არჩევას შუაკაცებს ანდობდნენ. ასეთ შემთხვევაში ისინი ერთგვარი დელეგირებული უფლების საფუძველზე ირჩევდნენ მოსამართლეებს. მხარეებს ასევე შეეძლოთ საქმის განმხილველად შუაკაცი<sup>7</sup> დაესახელებინათ. ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი კი შუაკაცთა მხრიდან საქმის კარგად ცოდნა სახელდებოდა. მოდავეები თვლიდნენ, რომ სხვისი ძეხვის ნაცვლად სწორედ საქმეში გაცნობიერებული შუაკაცისათვის მიენდოთ საკითხის გადაწყვეტა. მას შემდეგ, რაც სრულად აირჩეოდა „რჯულის კაცთა“ შემადგენლობა, აუცილებელი იყო მათთვის შეეტყობინებინათ არჩევის საკითხი და დაებარებინათ „რჯულის“ ჩატარების ადგილას. შეტყობინების პროცესი „რჯულისათვის“ მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან ხშირ შემთხვევაში პირი სხვა თემებიდანაც ირჩეოდა და საქმის განსახილველად შორი გზიდან ჩამოსვლა გარკვეულ დროს საჭიროებდა. შემტყობინებლებად კი ახალგაზრდა ყმანვილები ინიშნებოდნენ, თუმცა ზოგჯერ „რჯულის კაცთა“ შეკრებას მხარეებიც უზრუნველყოფდნენ. „რჯულის კაცთა“ რაოდენობა განსახილველი საკითხის სიმძიმეზე იყო დამოკიდებული. რაც უფრო რთული იყო საქმე, მით მეტ კაცს საჭიროებდა გადასაწყვეტად. მათ რაოდენობას მხარეები განსაზღვრავდნენ, თუმცა აუცილებლობას არ წარმოადგენდა მათ მიერ თანაბარი რაოდენობის „რჯულის კაცების“ დასახელება. ნყაროთა მიხედვით, არ ჰქონდა მნიშვნელობა ვინ უფრო მეტ კაცს დაასახელებდა, მედიატორები საკითხს მაინც მიუკერძოებლად გადაწყვეტდნენ. თუ საქმის განხილვისას რაიმე გაუგებრო-

<sup>7</sup> დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო ანუ რჯული ხევსურეთში, თბილისი, 2001წ, გვ.32

ბას წაანყებოდნენ, „რჯული“ იშლებოდა, თუმცა ამის შესახებ არავის უნდა გაეგო.

ამჯერად, განვიხილავ სასამართლო პროცესის ჩატარების სტადიებს. პირველ ეტაპად სახელდება საქმის არსებითი განხილვა, რომლის დროსაც „რჯულის კაცებს“ საგულდაგულოდ უნდა შეესწავლათ განსახილველი საკითხი. თავდაპირველად, მათ უნდა დაეკითხათ მხარეები, თუმცა მათ მაგივრად ლაპარაკის უფლება შესაძლოა გვარის უფროსს, ან იმ სხვა ახლო ნათესავს მისცემოდა, რომელიც მჭევრმეტყველებით გამოირჩეოდა. მხარეთა დაკითხვის რიგითობა, შესაძლოა, წილისყრით დადგენილიყო. ორივე მხარის დაკითხვის შემდეგ, „რჯულის კაცები“ მათ სიტყვა-ასიტყვით გადასცემდნენ ერთმანეთის ჩვენებებს. თუ რომელიმე მხარიდან რაიმე გამაღიზიანებელი დაფიქსირდებოდა (მუქარა, შეურაცხყოფა და სხვ.), „რჯულის კაცები“ ამას დაპირისპირებულ მხარეს უმაღლავდნენ, რადგან როგორც უკვე აღინიშნა მათ მთავარი ფუნქცია სწორედ რომ მხარეთა შერიგება იყო, რაც სიბრძნესა და გამოცდილებას მოითხოვდა. ისინი იმდენჯერ მიდიოდნენ მხარეებთან, რამდენჯერაც საჭირო იყო ნალაპარაკების გადაცემა და საქმის დეტალების დაზუსტება, ამიტომ, პროცესი, შესაძლოა, მეორე დღესაც გაგრძელებულიყო. საქმის არსებითი განხილვისას მონშეებიც იკითხებოდნენ, თუმცა, მათი დაკითხვისას მოსამართლე პირის ზნეობრივ თვისებებსა და მიუდგომლობას ითვალისწინებდა. მონშე, რომელიც საქმისთვის გადამწყვეტ ჩვენებას იძლეოდა, ძირითადი მონშე იყო და შესაძლოა მომხდარიყო მისი დაფიცება ჯვარში, ხოლო არაძირითადი მონშე ფიცს არ საჭიროებდა. ჭრა-ჭრილობის საქმის<sup>8</sup> განხილვისას, პროცესს, შესაძლოა, დასახიჩრებულის ექიმიც დასწრებოდა.

საქმის არსებითად განხილვის შემდგომ იწყებოდა პროცესის შემდეგი ეტაპი- განაჩენის გამოტანა. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად „რჯულის კაცები“ განმარტოვდებოდნენ, რადგანაც არავის ჰქონდა უფლება დასწრებოდა მათ მსჯელობას. ისინი

<sup>8</sup> მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2003 წ.

გადანყვეტილების მიღების პროცესში ეყრდნობოდნენ საქმის არსებითი განხილვისას მიღებულ ინფორმაციას. „რჯულის კაცები“ თანმიმდევრობით გამოთქვამდნენ მოსაზრებებს, თათბირობდნენ და საბოლოოდ თანხმდებოდნენ ერთ გადანყვეტილებაზე. თუ ბრალდებულის წინაშე არსებობდა მხოლოდ ეჭვი, მას ცოდვის მოკიდებას ან ჯვარში დაფიცებას დაავალებდნენ სამტკიცებლად თანამოფიცრებთან ერთად<sup>9</sup>. თუ ისინი უარს იტყოდნენ დანაბარების შესრულებაზე, ფიცი „ტყდებოდა“ და ეჭვმიტანილი დამნაშავედ ითვლებოდა. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ განაჩენის გამოტანასთან დაკავშირებული მსჯელობისას, „რჯულის კაცები“ ერთმანეთს ეკითხებოდნენ ხომ არ გაეგოთ მათ „ანდრეზი“ მსგავს საქმესთან დაკავშირებით. როგორც ვიცით, მოსამართლედ, შესაძლოა, სხვა თემის წამრმომადგენელი ყოფილიყო მონვეული და სწორედ ამიტომ, მას ეკითხებოდნენ თუ როგორ წყდებოდა მსგავსი საკითხი მის თემში. დასახელებულ „სჯულის კაცს“ კი სათანადო „ანდრეზი“ უნდა გაეხსენებინა. მიმაჩნია, რომ აღნიშნული ფაქტი პრეცედენტული სამართლის გამოყენებაზე მიგვანიშნებს. იმ შემთხვევაში, თუ „რჯულის კაცები“ ერთ გადანყვეტილებაზე ვერ შეჯერდებოდნენ, „რჯული“ იშლებოდა. ისინი მხარეებს ამის შესახებ უცხადებდნენ და ურჩევდნენ ახალი „რჯულის კაცების“ შერჩევას. მათ ასევე შეეძლოთ გარკვეული ვადით გადაედოთ კონკრეტულ საქმეზე გადანყვეტილების მიღება, თუ ამისათვის სათანადო საფუძველი არსებობდა.

პროცესის შემდეგი სტადია განაჩენის მხარეთათვის გამოცხადება გახლდათ. აღნიშნული ცერემონიული შემდეგნაირად წარიმართებოდა: განაჩენი „რჯულის“ ჩატარების ადგილას ცხადდებოდა. მას ცალ-ცალკე უცხადებდნენ მხარეებს. ერთ-ერთი „რჯულის კაცი“ დგებოდა, ქუდს მოიხდიდა და მხარეებს აცნობდა გადანყვეტილებებს, ნარჯულევს. წესის მიხედვით, გადანყვეტილება ჯერ იმ მხარეს ეცნობებოდა, რომელსაც „დრამის“ (ქონებრივი საზღაურის) გადახდა უწევდა. სასჯელის გამოცხა-

9 იქვე გვ. 424-426, 431.

დებას მრავალი ფუნქცია ეკისრებოდა. მათ შორის აღსანიშნავია მისი დასაბუთების ფუნქცია. „სჯულის კაცებს“ უნდა აეხსნათ მათი გადანყვეტილების საფუძველი.

რაც შეეხება მიღებული განაჩენის აღსრულებას, როგორც უკვე ვიმსჯელებ, არ იყო უზრუნველყოფილი. ხეცსურეთშიც მხარეთა ნებაზე იყო დამოკიდებული შეასრულებდნენ თუ არა მედიატორთა გადანყვეტილებას. არც ამ მხარეში მოიძებნებოდა იძულებითი აღსრულების მექანიზმი.

### 1.3 სამედიატორო სასამართლო სვანეთში

სვანური სასამართლო, ანუ „მორვალი“<sup>10</sup> ქართული სამართლებრივი კულტურის უძველესი ფორმაა. მისთვის დამახასიათებელი საბრალდებო პროცესი, ქართული სამართლებრივი კულტურის მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. მხარეები ამ შემთხვევაშიც თავად ქმნიდნენ სასამართლო შემადგენლობებს, წარადგენდნენ მტკიცებულებებს, რის შედეგადაც მედიატორებს განაჩენი გამოჰქონდათ. სასამართლო პროცესი შეჯიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპზე იყო აგებული, სადაც მოსამართლე პასიურ როლში გვევლინებოდა. მედიატორ მოსამართლეს „მორვეი“ ერქვა (მრავლ.რიცხვში „მორვალი“)<sup>11</sup>.

მორვალის სასამართლო სვანეთში არ ყოფილა მუდმივმოქმედი ორგანო და არც „მორვეები“ ირჩეოდნენ სამუდამოდ. ისინი კონკრეტული საქმის გადასაწყვეტად ინიშნებოდნენ მხარეთ ნება-სურვილით. სამედიატორო სასამართლო სვანეთში ყოველგვარ საქმეს იხილავდა, თუ ეს მხარეთა ინტერესებში შედიოდა ან მისი გადანყვეტა სხვაგვარად შეუძლებელი იყო, თუმცა „მორვალი“ ძალიან უბრალო საქმეებს არ არჩევდა, რადგან მათი მოგვარება თემის ყრილობის კომპეტენცია იყო. უნდა აღინიშნოს ისიც,

10 დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბილისი, 2002წ. გვ15.

11 კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, ტომი 2 , თბილისი 1981წ. გვ 106.

რომ სამედიცინო სასამართლო სვანეთში, ისევე როგორც ხევსურეთში, კერძოსამართლებრივ დავებს მეტად განიხილავდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამედიცინო სასამართლოს მთავარი ფუნქცია მხარეთა შერიგება იყო, თუმცა სვანეთში ეს საკითხი უფრო რთულად იდგა, რადგან, როგორც ვიცით, იქ სისხლის ალების ინსტიტუტს ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული. სვანეთშიც ვხვდებოდით შუამავლებს და მათ „მეცქულარს“ უწოდებდნენ. საინტერესოა ის გარემოება, რომ სვანეთში არსებობდა გარიგების ხელწერილით დამონშება, რაც, თავის მხრივ, გადანყვეტილების აღსრულების გარანტი იყო. გარანტის ფუნქციას ასრულებდა ასევე მხარეთა მიერ დადგენილი ჯარიმა, რომელიც პირობის გამტეხს უნდა გადაეცა მეორე მხარისათვის.

რაც შეეხება, უშუალოდ, გადანყვეტილების მიმღებთა, ანუ „მორვალთა“ შერჩევის ტრადიციას<sup>12</sup>, უნდა ითქვას, რომ მედიატორად ნებისმიერი სრულწლოვანი მამაკაცი შეიძლებოდა დანიშნულიყო, თუმცა, რატქმაუნდა, უპირატესობა აქაც პატიოსან, განსწავლულ და ავტორიტეტულ პირებს ენიჭებოდათ. სვანეთი იცნობს მედიატორთა აცილების შემთხვევებსაც. თუ რომელიმე მხარის მიერ დასახელებული „მორვეი“ მეორე მხარის მტერი აღმოჩნდებოდა, მაშინ იგი გადანყვეტილების მიღების პროცესში ვერ მონაწილეობდა. თუ მკვლელობის საქმე იხილებოდა, „მორვალს“ პირველად ჭირისუფალი ასახელებდა.

საზოგადოდ, სვანები ერიდებოდნენ „მორვეად“ არჩევას, რადგან ეს საქმიანობა დიდ პასუხისმგებლობასთან იგივდებოდა. „მორვალი“ ფიცს დებდა, რომ საქმეს ობიექტურად გადანყვეტდა ორი სახის ფიცი: 1) ტოლობის ფიცი - „მორვეები“ მხარეებს უდებდნენ; 2) ერთგულების ფიცი-მხარეები მოსამართლეების წინაშე დებდნენ. ფიცი სვანეთში წმინდათაწმინდა რიტუალად მოიაზრებოდა, რომლის გატეხვის შემთხვევაში, მათი რწმენით, ფიცის დამრღვევსა და მის ოჯახს დიდი უბედურება დაატყდებო-

12 დავითაშვილი გ., სამედიცინო სასამართლო სვანეთში, თბილისი, 2002წ. გვ 23-26.

და თავს. მედიატორად ყოფნისას კი დიდი იყო იმის ალბათობა, რომ პირი შემცდარიყო. სწორედ ამიტომ, სვანები გაურბოდნენ ამ თანამდებობას და „მორევის“ პოვნა დიდ სირთულეს წარმოადგენდა.

მედიატორთა რაოდენობა სვანეთშიც საქმის სირთულეზე იყო დამოკიდებული. ყველაზე მეტი, 24 მედიატორი, მკვლელობის საქმეს არჩევდა. თავდაპირველად, მხარეები თანაბარი რაოდენობის მედიატორებს ასახელებდნენ, თუმცა მოგვიანებით, დაზარალებულის, მოკლულის მხარეს უპირატესობა მიენიჭა-მას შეეძლო უფრო მეტი მედიატორი ჰყოლოდა, ვიდრე ბრალდებულს.

სვანეთში მედიატორთა სასამართლოს რამოდენიმე თავისებურება ახასიათებდა. მათგან აღსანიშნავია უფროსი მედიატორის - „მუნვრის“ , ანუ, „ნუგსაჩუ მეგნეს“<sup>13</sup> არსებობა. მისი არჩევა განსაკუთრებული საქმეების განხილვისას ხდებოდა. იგი უნდა ყოფილიყო ნეიტრალური, ორივე მხარისათვის მისაღები პიროვნება. „მუნვრი“ ჩვეულებრივი „მორვებისგან“ განსხვავებით მეტი უფლებებით იყო აღჭურვილი, კერძოდ, მას შეეძლო მოპასუხე მხარისათვის გარკვეული თანხა დაეკისრებინა, რომელსაც „მუნვრი მალვრა“ ეწოდებოდა და დაახლოებით 300 მანეთს შეადგენდა.

ასევე, თავისი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა მედიატორთა გასამრჯელოც: 1) „ლერქვანი“- 3 მანეთის ღირებულების ნივთი, რომელსაც ისინი იღებდნენ განაჩენის დადგენის მომენტისთვის; 2) „ნაღვრიელი“- 3-3 მანეთის ღირებულების პური ღვინო ან სხვა ნივთი, რომელიც მათ ხატზე დაფიცებისთანავე გადაეცემოდათ; 3) „ათისთავი“-მორევთა მიერ დამნაშავისათვის დაზარალებულის სასარგებლოდ დაკისრებული გადასახადის ერთი მეათედი<sup>14</sup>.

მეტად საინტერესოა სვანეთისათვის დამახასიათებელი სა-

13 დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო სვანეთში,თბილისი, 2002წ,გვ 26-35

14 იქვე გვ.17

სამართლო პროცესი. პროცესის პირველი ეტაპი ემსგავსებოდა ხევისურეთში არსებულს, კეძოდ ორივე კუთხეში საქმის წარმოება განსახილველი საკითხის საგულდაგულო შესანავლითა და მონ-მეთა დაკითხვით იწყებოდა. შემდგომ კი მედიატორთა თათბირ-ით გრძელდებოდა. „მორვები“ სამსჯელოდ უკაცრიელ ადგილზე გადიოდნენ, რათა მათი განაჩენი საიდუმლოდ დარჩენილიყო. განაჩენის, „ნამორავის“ გამოტანას 10-15 დღე სჭირდებოდა. შემდეგ ეტაპზე ისინი მიღებულ გადაწყვეტილებას მხარეებს აც-ნობდნენ, თუმცა მოდავეებს შეეძლოთ არ აღესრულებინათ ის და მოეშალათ ყოველი დადგენილი პირობა. განაჩენი, შესაძლოა, წერილობით ყოფილიყო გაფორმებული, რომელიც სრულდებოდა ფიცითა და მედიატორთა სახელისა და გვარების ჩამონათვალ-ით<sup>15</sup>.

განაჩენის გამოტანის შემდეგ ტარდებოდა „ქვის ჩაფლვის“ რიტუალი, იგივე, „ბაჩა ლილჯენი“. ამ დროს ერთ-ერთი მედია-ტორი ქვას მიწაში ფლავდა, რაც საქმის დასასრულის მომასწავე-ბელი იყო.

„ნამორავის“ გამოცხადება ეკლესიაში ფიცის შემდგომ ხდე-ბოდა. „მორვები“ განაჩენს ღამით აცხადებდნენ. ისინი მიდიოდ-ნენ დამნაშავეს ოჯახში, იბარებდნენ დაზარალებულს და შემდ-გომ შლიდნენ შერიგების სუფრას. თუ დამნაშავე გადაწყვეტილე-ბას არ აღასრულებდა, დაზარალებულს თავად შეეძლო მას გას-ნორებოდა. „მორვალის“ საბოლოო პროცესი სწორედ განაჩენის აღსრულება იყო. ამ დროს დამნაშავე ხატზე იფიცებდა, რომ დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულებდა დანაპირებს.

15 დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბილისი 2002 წ. გვ.83-100.

## 2. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის წარმოშობა-განვითარება მსოფლიოში

### 2.1 მოსაზრებები ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის წარმოშობაზე<sup>16</sup>

ინსტიტუტის წარმოშობის თაობაზე სხადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული. მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩამოყალიბების პროცესი ანგლოსაქსონური უესექსის სამეფოს მეფის, ალფრედ დიდის დროს დაიწყო მე-9 საუკუნეში და მასზე გავლენა ინგლისურმა ტრადიციებმა იქონია. მოსაზრებათა მეორე ნაწილის თანახმად, აღნიშნული ინსტიტუტი პირველად საფრანგეთში აღმოცენდა ლუდოვიკო VIII-ის ზეობისას 829 წელს. არსებობს განსახვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საფუძველი 1066 წელს ჩაეყარა ვილჰელმ I-ის მეთაურობით ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობის დროს. აგრეთვე აღსანიშნავია მეცნიერთა ის აზრიც, რომ ნაფიც მსაჯულთა პირველი სასამართლო ჯერ კიდევ ძველ ათენში არსებობდა და მას ჰეილია ერქვა<sup>17</sup>.

ჰეილია შედგებოდა 5000 ძირითადი და 1000 სათადარიგო მოსამართლისგან, რომლებსაც ირჩევდა ხალხი. ისინი 30 წელს მიღწეულები უნდა ყოფილიყვნენ. მათ ერთი წლის ვადით, კენჭისყრით ირჩევდნენ. სასამართლოში ფუნქციონირებდა 10 კოლეგია – 500 ძირითადი და 1000 სათადარიგო (სახალხო მოსამართლის) შემადგენლობით. მოვალეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, მათთვის ცნობილი არ იყო, თუ როდის გამოიძახებდნენ მოვალეობის შესასრულებლად, ეს ნყდებოდა კენჭისყრით, საქმის განხილვის დღეს. სასამართლოში წარმოდგენილი იყვნენ მხარეები, რომლებიც იცავდნენ თავიანთ საპროცესო ინტერესებს ნეიტრალური სახალხო მოსამართლე-

16 ლურნკაია მ., სამაგისტრო ნაშრომი „ნაფიც მსაჯულთა საქართველოში დანერგვის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები“, თბილისი 2011წ. გვ 14

17 Alan L.Boeghold, The lawcourt at Athens sites, buildings, equipment, procedure and testimonia, The American school of classical studies at Princeton, New Jersey, 1995.



ბის წინაშე. გადაწყვეტილებას იღებდნენ ფარული კენჭისყრით. საკითხი წყდებოდა უბრალო უმრავლესობით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ხმები თანაბრად გაიყოფოდა, განსასჯელი გამართლებულად ითვლებოდა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაპრად მეცნიერები სწორედ ჰეილიესტთა სასამართლოს დანაყოფს, დიკასტერიას მიიჩნევდნენ.

## 2.2 ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარება

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს პირველ ოფიციალურ გამოვლენას ინგლისელი მეფის, „ჰენრიხ II-ის“ ორდონანსები წარმოადგენს, რომელთაგან ერთ-ერთშიც, აღნიშნული იყო, რომ მსხვილი დასახლებული პუნქტიდან უნდა არჩეულიყო 12-12 მოციქული, ხოლო მცირე სოფლებიდან 4-4. (1116წ.) ამგვარ კოლეგიებს მოგვიანებით ჟიური დაერქვა და სწორედ ისინი წარმოადგენენ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ძველ ფორმებსა და ჩანასახებს<sup>18</sup>.

განვითარების შემდგომ ეტაპზე, 1215 წელს, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლების აღიარება სახელმწიფოს დონეზე მოხდა. აღნიშნული პერიოდი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მეფემ ხელი მოაწერა „მაგნა ხარტა“-ს (თავისუფლების დიდი ქარტია), რომლის ძალითაც განმტკიცებული იყო ყოველი ადამიანის უფლება მოეთხოვა საქმის გადაწყვეტა თანამოქალაქის მიერ.

ქრონოლოგიურად თუ გავყვებით, აღსანიშნავია ასევე XV საუკუნის დასაწყისისათვის არსებული რეალობა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებით. ამ დროისათვის საქმის გადაწყვეტა ხდებოდა არა მტკიცებულებებზე დაყრდნობით, არამედ, მყარი ფიცის ან სასტიკი სასჯელებისადმი გამძლეობის საშუალებით. გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო თუ რამდენად გაუძლებდა განსასჯელი ამა თუ იმ წამებას. ხაზგასასმელია,

18 ლურწყაია მ., სამაგისტრო ნაშრომი „ნაფიც მსაჯულთა საქართველოში დანერგვის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები“, თბილისი 2011წ. გვ 14

რომ არანორი ვერდიქტისათვის მოსამართლეები მკაცრად ისჯებოდნენ.

XVI-XVII საუკუნეებში არსებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თავისი ბუნებით ახლოს დგას თანამედროვე განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის საქმეების განმხილველ სასამართლოსთან. XVII საუკუნეში ის უკვე დამოუკიდებელ სასამართლო ორგანოდ გვევლინება. მისი დამოუკიდებლობის განმტკიცებაში დიდი როლი ითამაშა 1670 წლის გადაწყვეტილებამ, რომლის თანახმადაც, ბრალდებულის გამართლებისათვის ნაფიც მსაჯულთა დასჯა (დაჯარიმება, ციხეში ჩასმა) იკრძალებოდა (XV საუკუნისგან განსხვავებით, როდესაც მსგავსი ვერდიქტის გამო მოსამართლეებს სჯიდნენ). ამ გადაწყვეტილების საშუალებით ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მეფისა და სამეფო სასამართლოსაგან დამოუკიდებელი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მას უპირისპირდებოდა კათოლიკური ეკლესია, აღნიშნული სასამართლო ფართოდ გავრცელდა ევროპის მოწინავე სახელმწიფოებში და მათ კოლონიებში.

მოგვიანებით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გავრცელებაზე დიდი ზეგავლენა იქონია 1776 წლის ამერიკის შეერთებული შტატების „დამოუკიდებლობის დეკლარაციამ“, რომლის მეშვეობითაც ყველა შტატმა აღიარა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლებები.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დანერგვის იდეა გაიზიარა მეფის რუსეთმაც. რუსეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედების თაობაზე პირველად მოსაზრება 1767 წელს ეკატერინე მეორეს წარუდგინა რუსმა იურისტმა-მეცნიერმა ს.ე. დესნიცკიმ. სახელმწიფო მოღვაწემ მ.მ. სპერანსკიმ კი, ეს ინსტიტუტი ალექსანდრე პირველს 1809 წელს შესთავაზა. თუმცა, ის რეალურად ამოქმედდა 1864 წელს, როცა იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიერ საყოველთაოდ ცნობილი სასამართლო რეფორმა ჩატარდა. სტარტი ამ სასამართლომ რუსეთში პირველად 1864 წლის 20 ნოემბერს აიღო და მოქმედებდა 1917 წლამდე – „სასამართლოს შესახებ დეკრეტი №1“-ის მიღების შემდეგ ის

გაუქმდა. პირველი საქმეები განიხილეს სანკტ-პეტერბურგში და მოსკოვში. აღნიშნული რეფორმა საკმაოდ პროგრესულ ნაბიჯად ითვლებოდა, თუმცა იმპერიამ ის ნაკლებად გაავრცელა დაპყრობილ ხალხებზე, რასთან დაკავშირებითაც კრიტიკულ მოსაზრებებს გამოთქვამდა ილია ჭავჭავაძე<sup>19</sup>.

ნაფიც მსაჯულთა შერჩევის განსაკუთრებული სისტემა მოქმედებდა რუსეთშიც<sup>20</sup>. ნაფიც მსაჯულებად ირჩეოდნენ ის პირები, რომელთაც ჰქონდათ უნივერსიტეტის ან სხვა უმაღლესი სასწავლებლის იურიდიული კურსის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი. ასევე ისინი, რომელთაც ჩაბარებული ჰქონდათ გამოცდები იურიდიულ მეცნიერებებში და მუშაობდნენ არანაკლებ 5 წელი სასამართლო დანესებულებებში, სადაც იღებდნენ პრაქტიკულ გამოცდილებას საქმის წარმოებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ნაფიც მსაჯულად ირჩეოდნენ ის პირებიც, რომლებიც არანაკლებ 5 წლის მანძილზე იყვნენ წარდგენილნი სასამართლო უწყებების თანამდებობის პირების კანდიდატებად. მათი არჩევისას ყურადღება ექცეოდა მათ მონაწილეობას იმგვარ საქმიანობაში, რომლითაც შეეძლოთ შეეძინათ პრაქტიკული უნარები (მაგალითად ნაფიც მსაჯულთა ასისტენტობა და ა.შ). მეფის რუსეთი აყალიბებდა კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც პირი ვერ აირჩეოდა ნაფიც მსაჯულად, მაშასადამე აღნიშნულ საქმიანობას ვერ შეასრულებდნენ შემდეგი პირები:

ა) 25 წლის ასაკს მიუღწევდნენ;  
 ბ) უცხო ქვეყნის წარმომადგენელნი;  
 გ) დიდი ვალის მქონე გადახდისუუნარო პირები;  
 დ) სახელმწიფო ორგანოთა ან საარჩევნო კომისიის წარმომადგენელნი.

ე) ნასამართლობის მქონენი, ან ის სასულიერო პირები, რომლებიც გარიცხულნი იყვნენ სასულიერო უწყებიდან რაიმე ნაკლის გამო. აგრეთვე, ეჭვმიტანილები ან ის მოწმეები, რომელთაც

19 სურგულაძე ი., ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისი, 20016.

20 ჭავჭავაძე ი., თხზ. სრ. კრებული, ტომი 5, თბილისი, 1995წ.

შეზღუდული ან აღკვეთილი ჰქონდათ თავისუფლება;

ვ) ისინი, ვისაც სასამართლოში სხვის საქმესთან დაკავშირებული ეკრძალებოდათ სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღება ან ამორიცხეს ნაფიც მსაჯულთა სიიდან.

## **სისხლის სამართლის პროცესი რევოლუციამდელ რუსეთში საოლქო სასამართლოს ქვემდებარე მაფიც მსაჯულთა მონაწილეობით<sup>21</sup>**

სასამართლოს თავმჯდომარე სასამართლოს მდივანი

1) ბრალდებულის იდენტიფიცირება და საბრალდებო აქტის მიღება;

2) ექსპერტთა და მონშეთა სასამართლოზე გამოცხადების შემოწმება;

3) სასამართლოს შემადგენლობის გაცნობა

4) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე გამოცხადების შემოწმება;

5) აცილების საკითხი ნაფიც მსაჯულთა მიმართ;

6) ნაფიც მსაჯულთა შერჩევა (12 მსაჯულის ამორჩევა)

მოსამზადებელი პერიოდი

**საბრალდებო აქტის წაკითხვა**

**ბრალდებულისათვის ბრალდების არსის განმარტება**

**პროკურორის გამოსვლა, (მტკიცებულებათა და ჩვენებათა გაცნობა სასამართლოსთვის)**

21 ГОЛУНСКИЙ С.А., КАРЕВ Д.С., ИСТОРИЯ СУДА И УГАЛОВНОГО ПРОЦЕССА, МОСКВА, 1938г. გვ. 76

## დაცვის მხარის გამოსვლა

### შემდგომი ეტაპები:

#### მხარეთა მოსმენა

ნაფიც მსაჯულთათვის კითხვების ჩამოყალიბება სასამართლოს თავმჯდომარის შემაჯამებელი სიტყვა ნაფიც მსაჯულთა თათბირი და საბოლოო ვერდიქტი პროკურორის გადანყვეტილება, ქმედების კვალიფიკაცია და სასჯელის წარდგენა მოსარჩელის მიერ დაყენებული შუამდგომლობები

**საბოლოო განაჩენის გამოტანა (არაუგვიანეს 2 კვირის ვადისა რეზოლუციის გამოტანიდან)**

#### სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატა

(პროკურორი საჭიროების შემთხვევაში წარადგენდა საკასაციო საჩივარს ან პროტესტს, ხოლო დაცვის მხარე საკასაციო სარჩელს)

რაც შეეხება უახლეს ისტორიას, უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნეში მკვეთრი ცვლილებები შეინიშნებოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსთან მიმართებაში. რიგ ქვეყნებში კლასიკური ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გადაკეთდა ან გაუქმდა. ამგვარი ფორმირება ძირითადად რომანულ-გერმანული სამართლის ქვეყნებში მოხდა. დღეისათვის კლასიკური ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სულ 25-მდე ქვეყანაში ფუნქციონირებს, თუმცა მისი გამოყენების არეალი ამ ქვეყნებში საგრძნობლად შემცირებულია. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ამგვარი ქვეყნების უმრავლესობა ანგლო-საქსური ქვეყნებია. აუცილებლად აღსანიშნავია ისიც, რომ დიდ ბრიტანეთში დასახელებული ინსტიტუტი დღესაც დიდი წარმატებით ფუნქციონირებს.

## დასკვნა

წინამდებარე სტატიაში გამოკვეთილია ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის უძველესი ჩანასახები, აგრეთვე მისი ჩამოყალიბება-განვითარების პროცესი. ისტორიული ანალიზის მიზანია აღნიშნული ინსტიტუტის საჭიროების გამოკვეთა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ისტორიული ექსკურსი ცხადყოფს, რომ სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულმა მოთხოვნებმა თუ საჭიროებებმა გამოიწვია მისი დანერგვა. საზოგადოების განვითარების საწყის ეტაპზე მისი ჩამოყალიბების უმთავრესი მიზანი შურისძიებისა და სისხლისღვრის თავიდან აცილება იყო. მოგვიანებით, სოციუმის მოთხოვნა მართლმსაჯულების მიუკერძოებლობა და გამჭვირვალობა გახდა. თანამედროვე საზოგადოებაში კი წინ წამოიწია საზოგადოების ცნობისმოყვარეობა სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით. ამას გარდა, მათმა სურვილმა უშუალოდ იყვნენ ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

როგორც ჩანს, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ჩამოყალიბების ერთადერთი მიზეზი არ არსებობს, ის მრავალია და განსხვავდება ეპოქების მიხედვით, რადგან განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საზოგადოება განსხვავებულ პრობლემას აწყდება. ხშირ შემთხვევაში, პრობლემის მოგვარების ძველი მექანიზმი არ უზრუნველყოფს ეფექტურობას, თუმცა ისტორია საპირისპირო მაგალითებსაც გვთავაზობს. ვფიქრობ, რომ ყოველი საკითხისადმი მიდგომა ისტორიული თუ სოციოლოგიური ანალიზის საფუძველზე უნდა მოხდეს საჭიროებათა და მოთხოვნათა შესაბამისად.

ნაფიც მსაჯულთა შესახებ თანამედროვე სამართლის სისტემაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა სწორედ ამ საჭიროებათა სხვადასხვაგვარად დანახვითაა განპირობებული. ისტორიული ანალიზიც გვაჩვენებს, რომ ყველა ეპოქის საზოგადოებისათვის განსაკუთრებული მოთხოვნები თუ საჭიროებებია დამახასიათებელი და სწორედ ამიტომ, სადავოა, ერგება თუ არა ახალ მისწრაფებებს ძველი ინსტიტუტები, თუმცა, როგორც უკვე

აღვნიშნე, ისტორიაში მოიძებნება მრავალი ფაქტი ძველი ინსტიტუტების წარმატებული მოდიფიცირების შესახებ.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

1. დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო ანუ რჯული ხევსურეთში, თბილისი, 2001წ.
2. დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბილისი, 2002წ.
3. დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ძველ ქართულ სამართალში, თბილისი, 2002წ.
4. მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2003 წ.
5. ოჩიაური ალ., ხევსურული მასალები, II, კრებული „ქართული ჩეულებითი სამართალი“, 1988წ.
6. სურგულაძე ი., ნარკვევები საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისი, 2001წ.
7. ლურწკაია მ., ნაფიც მსაჯულთა საქართველოში დანერგვის დადებითი და უარყოფითი ფაქტორები, სამაგისტრო ნაშრომი, კოდი :115.07-М.0704, თბილისი, 2011წ.
8. ჭავჭავაძე ი., თხზ. სრ. კრებული, ტომი 5, თბილისი, 1995წ.
9. ჭავჭავაძე ი., თხზ. სრ. კრებული, ტომი 6, თბილისი, 1956წ.
10. ГОЛУНСКИЙ С.А., КАРЕВ Д.С., ИСТОРИЯ СУДА И УГАЛОВНОГО ПРОЦЕССА, МОСКВА, 1938г.
11. Boeghold Alan L., The lawcourt at Athens sites, buildings, equipment, procedure and testimonia, The American school of classical studies at Princeton, New Jersey, 1995.

**ელ. მასალა:**

1. [www.msajuli.ge](http://www.msajuli.ge)

**მარიამ ხუროშვილი**  
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი*

## **შინაპატიმრობა, როგორც არასრულწლოვნის სასჯელის ერთ-ერთი სახე**

### **შესავალი**

თანამედროვე სისხლის სამართალში არსებული კანონმდებლობის ლიბერალიზაციის პოლიტიკის მთავარი გამოწვევაა უზრუნველყოს თავისუფლების აღკვეთის ჩანაცვლება ალტერნატიული სასჯელებით. თავისუფლების აღკვეთის გამოყენება-ultima ratio- „უკანასკნელ საშუალებად“ უნდა განიხილებოდეს.<sup>1</sup> განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე არასრულწლოვანს ეხება. ამ დროს ყველა ზომა უნდა იქნეს მიღებული, რათა თავიდან ავიცილოთ არასრულწლოვნისთვის თავისუფლების აღკვეთა, რაც საფრთხეს შეუქმნის მის შემდგომ განვითარებას. „თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ უკიდურეს ზომად და მინიმალური ხანგრძლივობით, საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე უნდა იყოს გამოყენებული.“<sup>2</sup>

2015 წელს საქართველოში განხორციელდა მნიშვნელოვანი ცვლილება და შეიქმნა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომელიც სასჯელის ერთ-ერთ ალტერნატიულ სახედ შინაპატიმრობას ითვალისწინებს. შინაპატიმრობა არასრულწლო-

---

1 სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ. ნ. თოდუა, თბილისი, 2016, გვ. 665.

2 შაჰოვიჩი ნ., დოეკი ი., ცერმატენი ჟ., ბავშვის უფლებები საერთაშორისო სამართალში, ბერნი, 2012, 178-179.



ვანთათვის 2015 წლის სექტემბრიდან ამოქმედდა.<sup>3</sup> შინაპატიმრობა თავისი ბუნებით წარმოადგენს სასჯელის ისეთ ნაირსახეობას, რომელიც დაკავშირებულია თავისუფლების აღკვეთასთან, თუმცა გამოიყენება როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა. მისი ასეთი გამოყენების რეკომენდაციას იძლევა გაეროს არასაპატიმრო ღონისძიების მინიმალური სტანდარტული წესები (ტოკიოს წესები)<sup>4</sup>. შესაფასებელია, რამდენად ეფექტური და შესაბამისი სასჯელის სახეა შინაპატიმრობა არასრულწლოვანთათვის; იმავდროულად, რამდენად არის შესაძლებელი სასჯელის ამ სახის დანიშნისას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების -არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და დანაშაულის თავიდან აცილების-განხორციელება, ასევე არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა.

აღნიშნული საკითხები დაფიქრებას საჭიროებენ.

## 1. შინაპატიმრობა, როგორც ალტერნატიული სასჯელის სახე

შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე, პირველად ამერიკაში, 1983 წელს, ნიუ მეხიკოს შტატში გამოიყენეს. ამის შემდეგ კი აღნიშნული სასჯელი ისე სწრაფად გავრცელდა, რომ 1988 წლისთვის ამერიკის 22 შტატის მასშტაბით შინაპატიმრობაში მყოფი 2.300 მსჯავრდებული იყო.<sup>5</sup>

3 მახარობლიძე თ., შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში, გურამ ნაჭყებია-75, საიბილეო სტატიათა კრებული, რედ. ნ. თოდუა, თბილისი, 2016, გვ. 281.

4 გორგოძე მ., იუვენალური იუსტიციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები და ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი პრობლემატური საკითხი, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, №1, თბილისი, 2017, გვ.92.

5 მახარობლიძე თ., შინაპატიმრობა, როგორც საპატიმრო სასჯელის ახალი ალტერნატივა იუვენალურ იუსტიციაში, გურამ ნაჭყებია-75, საიბილეო სტატიათა კრებული, რედ. ნ. თოდუა, თბილისი, 2016, გვ. 282.

შინაპატიმრობის ერთ-ერთ პრიორიტეტად იმას განიხილავენ, რომ მან შეიძლება სახელმწიფოსა და გადასახადების გადამხდელების ბიუჯეტი დაზოგოს. შინაპატიმრობის გამოყენებისას ხდება ციხეების გათავისუფლება.<sup>6</sup> სასჯელალსრულების დანესებულებაში არასრულწლოვანის ყოფნასთან შედარებით, სახელმწიფოს სასჯელის ამ სახის აღსრულება ბევრად უფრო იაფი უჯდება.

საქართველოში დაახლოებით ელექტრონული სამაჯურის ღირებულება დღეში საპატიმრო სასჯელის აღსრულების (დღიურად) 1/3 ჯდება.<sup>7</sup>

ბევრი კვლევა ადასტურებს რომ სასჯელის ამ სახის დანიშვნისას იზრდება რეაბილიტაციის შანსები, რადგან არასრულწლოვანს აქვს შესაძლებლობა იყოს სახლში და იაროს სკოლაში.<sup>8</sup>

ცალკე განხილვის საგანია შინაპატიმრობის მიზნობრივი ჯგუფის განსაზღვრა. იმ პირთა შერჩევა, რომელთა მიმართაც შინაპატიმრობა სასურველ შედეგს გამოიწვევს და კონტრაპროდუქტიული არ იქნება ძალიან რთულია. ეს საკითხი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად წყდება.<sup>9</sup> მაგალითად, აშშ-ში შინაპატიმრობის შეფარდება ხდება დაბალი რისკის მქონე პირთა მიმართ. ესენი ის პირები არიან, რომლებმაც ჩაიდინეს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული მსუბუქი ან საშუალო სიმძიმის დანაშაული, რომ-

6 მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში-ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, სისხლისსამართლის აქტუალური საკითხები, №1, თბილისი, 2017, გვ. 63.

7 სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ. ნ. თოდუა, თბილისი, 2016, გვ.709.

8 Sklaver S., The Pros and Cons of using Electronic Monitoring Programs in juvenile Cases, Ameican Bar Association, ix. <http://studylib.net/doc/7301782/the-pros-and-cons-of-electronic-monitoring> [30.01.2018]

9 მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში-ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება, სისხლისსამართლის აქტუალური საკითხები, №1, თბილისი, 2017, გვ. 66..

ლებიც რეციდივის დაბალი საშიშროებით ხასიათდებიან და სოციალური ფენის მყარ ნაწილად გვევლინებიან, ხოლო ინგლისში კი შინაპატიმრობა ძირითადად სატრანსპორტო და ნარკოტიკული დანაშაულებისთვის გამოიყენება.<sup>10</sup> საქართველოში შინაპატიმრობის მიზნობრივი ჯგუფი არის ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანი, თუმცა „პატიმრობის შესახებ კოდექსის“ 44-ე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, 2018 წლის 1 იანვრიდან სასჯელის ეს სახე სრულწლოვანი პირების მიმართაც ამოქმედდა.

### 1.1. შინაპატიმრობის სახეები

აღსანიშნავია რომ აშშ-ში განასხვავებენ შინაპატიმრობის სამ ფორმას:

1. Curfew (მსუბუქი ფორმა) -თავისუფლების შეზღუდვის ამ დროს დამნაშავე ვალდებულია წინასწარ განსაზღვრულ დროის მონაკვეთში სახლში იმყოფებოდეს.

ამ ფორმის გამოყენება ხდება თერაპიულ კურსზე სიარულის ან ჯარიმის გამოყენებასთან ერთად.

2. Home detention (ნაკლებად მძიმე ფორმა)-წინასწარ დადგენილი გეგმის მიხედვით მსჯავრდებულს უფლება აქვს სახლი დატოვოს-სწავლის, სამუშაოს ან თერაპიაზე სიარულისთვის.

3. Home Incarceration (მძიმე ფორმა)-შინაპატიმრობის ამ ფორმის დროს მისჯილს უფლება არა აქვს დატოვოს სახლი.<sup>11</sup>

ყველაზე ზოგადი დაყოფით შინაპატიმრობა შეიძლება ორ სახედ განვიხილოთ:

ციხის კარამდელი (Frontdoor System) და ციხის კარის შემდგომი (Backdoor System). ციხის კარამდელი შინაპატიმრობა გამოიყენება წინასწარი პატიმრობის ან მოკლევადიანი თავისუფ-

<sup>10</sup> სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ.ნ. თოდუა, თბილისი, 2016, გვ. 698-699.

<sup>11</sup> შალიკაშვილი მ.,მიქანაძე გ.,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი,2016 ,136.

ფლების აღკვეთის ნაცვლად. ციხის შემდგომი სისტემა (Backdoor System) კი საპატიმრო სასჯელის ნაწილობრივი მოხდის შემდეგ, პირობით ვადამდე გათავისუფლებისას გამოიყენება. ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი მიიჩნევს რომ ელექტრონული სამაჯურის გამოყენებამ უკეთესი შედეგი შეიძლება მოიტანოს, თუ ის გამოყენებულ იქნება არასრულწლოვანთა პირობით ვადამდე გათავისუფლებისას და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლისას შინაპატიმრობით და მისი ელექტრონული კონტროლით. საპატიმრო სასჯელის ნაწილობრივ მოხდის შემდეგ, ელექტრონული სასჯელის გამოყენებით, შეიძლება პირი თავისუფლებისთვის მოემზადოს და ამ დროს თავიდან აცილებული იქნება სხვათა მიერ დადგენილი დღის წესრიგიდან ავტონომიურ დღის წესრიგზე გადასვლით გამონვეული პრობლემები.<sup>12</sup>

ციხის კარის შემდგომი (Backdoor system) ზედამხედველობის გამოყენებით ამერიკაში ცნობილია ოკლაჰომასა და ნიუ ჯერსის შტატები, ხოლო ციხის კარამდელი ზედამხედველობა (Frontdoor system) კი გამოიყენება ფლორიდაში.<sup>13</sup>

## 1.2. შინაპატიმრობა-ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული არასრულწლოვანთა სასჯელის ერთ-ერთი სახე

შინაპატიმრობა საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლში განმარტებულია, როგორც არასრულწლოვნისთვის „დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრება.“ შინაპატიმრობა სასჯელის ახალი სახეა, თუმცა თუ საკითხს ისტორიულად განვიხილავთ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში შინაპატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება

12 მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში-ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშნის თავისებურება, სისხლის-სამართლის აქტუალური საკითხები, №1, 2017, გვ.65.

13 MorrisN, Torny M, Between Prison and Probation, New York, 1990, 213.

ბევრად უფრო ადრე არსებობდა. „1923 წელს მიღებული რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 157-ე მუხლის მიხედვით, შინაპატიმრობა განმარტებული იყო, როგორც ბრალდებულის საკუთარ ბინაზე იზოლაცია დარაჯის დანიშვნით, ან უიმისოდ. იგი გამოიყენებოდა იმ შემთხვევაში, როცა ბრალდებულის დამალვის საფრთხე არ არსებობდა, მაგრამ მაინც საჭირო იყო მისი იზოლირება, რათა მას ხელი არ შეეშალა გამოძიების მსვლელობისთვის.<sup>14</sup> შესაბამისად, ქართული კანონმდებლობა შინაპატიმრობას წლების წინ იცნობდა.

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლში გათვალისწინებულია, რომ შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს არასრულწლოვანს 6 თვიდან 1 წლამდე ვადით. ამასთან, არასრულწლოვანს უნდა ჰქონდეს ანაზღაურებადი სამუშაოს განხორციელებისა და სწავლის შესაძლებლობა.

შინაპატიმრობის აღსრულების საშუალებად ელექტრონული ზედამხედველობა გვევლინება. თუმცა, იმ შემთხვევაში, სადაც ფიზიკურად არ არის ტექნოლოგიის გამოყენების საშუალება, პრობაციის სამსახური ვალდებულია გარკვეული პერიოდულობით გადაამონმოს მსჯავრდებულის სახლში ყოფნა. არასრულწლოვნის საცხოვრებელ ადგილზე უნდა მივიდეს გაუფრთხილებელი ვიზიტით, თვეში ექვსჯერ მაინც. კანონით გათვალისწინებული საპატიო პირობების არსებობის შემთხვევაში, პრობაციის ბიუროს უფროსის წერილობითი ნებართვით მსჯავრდებულს შესაძლებელია მიეცეს საცხოვრებლიდან დროებით გასვლის უფლება.<sup>15</sup>

ასეთი შემთხვევები გათვალისწინებულია საქართველოს კანონის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებს წესისა და პრობაციის მე-12<sup>1</sup> მუხლში. ასეთი შემთხვევებია: როდესაც არასრულწ-

14 ბენიძე ვ., დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბილისი, 2003, გვ.109.

15 საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მუხლი 448 მე-8 და მე-9 ნაწილები.

ლოვნის ჯანმრთელობის მდგომარეობა ისეთია რომ შეუძლებელს ხდის დადგენილი რეჟიმის განხორციელებას, რასაც ადასტურებს ექიმის მიერ გაცემული ცნობა; მსჯავრდებულის ახლო ნათესავის ან მსჯავრდებულთან მუდმივად მცხოვრები პირის გარდაცვალება; მსჯავრდებულის სამსახურებრივ ან პროფესიულ, ანდა სპორტულ, კულტურულ ან საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული მივლინება, რასაც ადასტურებს შესაბამისი დოკუმენტი და ა.შ.

შინაპატიმრობის რეჟიმის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა. მოსამართლემ კონკრეტული შემთხვევის თავისებურებებისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით უნდა დაუნიშნოს მას შინაპატიმრობაში ყოფნის ყოველდღიური საათები. “მნიშვნელოვანია რომ სადამსჯელო ეფექტი არ იყოს გადაჭარბებული.”<sup>16</sup> ამასთან, აუცილებელია რომ არასრულწლოვანს ხელი არ შეეშალოს სწავლის მიღებაში, განვითარებაში, ანაზღაურებადი საქმიანობის განხორციელებაში. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსამართლის მიერ შინაპატიმრობის საათების გონივრულ განსაზღვრას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 75-ე მუხლის მიხედვით, არასრულწლოვნისთვის არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე უფლებამოსილია მას დააკისროს იმავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე მოვალეობა. მაგალითად, აეკრძალოს კონკრეტულ პირების მონახულება, ბინადრობის ადგილის შეცვლა, დროის გარკვეულ მონაკვეთში შინიდან გასვლა და ა.შ; ან დაევალოს: სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით სწავლის დაწყება ან გაგრძელება, სახელმწიფო ორგანოს დახმარებით მუშაობის დაწყება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ამავე მუხლის

16 Handbook of Basic Principles and Promising Practices on Alternatives to Imprisonment, Criminal Justice Handbook შერიეს, ჯინიტედ ნატონს, 2007, 38. იხ. [https://www.unodc.org/pdf/criminal\\_justice/Handbook\\_of\\_Basic\\_Principles\\_and\\_Promising\\_Practices\\_on\\_Alternatives\\_to\\_Imprisonment.pdf](https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/Handbook_of_Basic_Principles_and_Promising_Practices_on_Alternatives_to_Imprisonment.pdf) [30.01.2018]

მიხედვით დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც დიდი ალბათობით არ შესრულდება ან რომლის შესრულებაც აღემატება არასრულწლოვნის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დროის გარკვეულ მონაკვეთში შინიდან გასვლის აკრძალვის ურთიერთმიმართება შინაპატიმრობასთან. შინაპატიმრობა შეიძლება დაწესდეს 6 თვიდან 1 წლამდე ვადით, არასრულწლოვნისთვის შინიდან გასვლის მოვალეობის დაკისრების შემთხვევაში კანონმდებელი არ აწესებს ვადას. სრულიად შესაძლებელია ეს ვადა იყოს იმ ვადაზე მეტი ვიდრე ეს შინაპატიმრობისთვისაა გათვალისწინებული. შესაბამისად, აუცილებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 45-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის ტრანსფორმაცია ისე, რომ განისაზღვროს აკრძალვისთვის კონკრეტული ვადა, დაწესდეს მისი გამოყენების ისეთ ფარგლები, რომელიც მას შინაპატიმრობისგან უფრო მკვეთრი კონტურებით გამოაცალკევებს.<sup>17</sup>

## 2. ელექტრონული ზედამხედველობა-შინაპატიმრობის აღსრულების საშუალება

ელექტრონული ზედამხედველობა არის ტიპური ამერიკული პროდუქტი. ელექტრონული მონიტორინგის ექსპერიმენტი 1964 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტში უკვე განხორციელებული იყო. არსებობს მონიტორინგის ორი სისტემა: აქტიური და პასიური. აქტიურის დროს მონიტორინგი ხორციელდება ელექტრონული სამაჯურით, ხოლო პასიურის დროს კი მონიტორინგი ხორციელდება არარეგულარული სატელეფონო ზარების განხორციელებით არასრულწლოვანთან. თანამედროვე ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდება და დღეს შეიძლება ტელეფონს მიმაგრებული ჰქონდეს

17 გორგოძე მ., *იუვენალური იუსტიციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი მოდელები და ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგიერთი პრობლემატური საკითხი*, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, №1, 2017, გვ.98.

მონყობილობა, რომელიც ამონმებს იმას, მსჯარდებულს მიღებული აქვს თუ არა ალკოჰოლური საშუალება, როდესაც ის სატელეფონო ზარს ახორციელებს.<sup>18</sup> მეორე შემთხვევა უფრო ნაკლებ ხარჯებს საჭიროებს,<sup>19</sup> მაგრამ რა თქმა უნდა, ის უფრო ნაკლებ ეფექტურია ვიდრე ელექტრონული სამაჯურით განხორციელებული მონიტორინგი.

ამერიკაში ელექტრონული კონტროლის შემოღებისას ბევრი ასპექტის გათვალისწინება გახდა საჭირო. კერძოდ, არიან თუ არა არასრულწლოვნები მომნიჭებულები და სტაბილურები, რომ საკუთარ თავზე აიღონ ის პასუხისმგებლობა, რასაც ელექტრონული ზედამხედველობა მოითხოვს. განსაკუთრებით დასაფიქრებელი იყო ის, თუ რა ნეგატიური ფსიქიკური და ფიზიკური გავლენა შეიძლება ჰქონოდა ამ ყოველივეს ახალგაზრდების განვითარებაზე, თუ მათ ოჯახში ძალადობისა და დაჩაგვრის ფაქტები არსებობდა.<sup>20</sup> ამერიკაში ელექტრონული კონტროლი ხორციელდებოდა ძირითადად 14-17 წლის პირებზე. ელექტრონული მონიტორინგი არ ინიშნებოდა იმ პირების მიმართ, რომლებიც ალკოჰოლსა და ნარკოტიკებზე იყვნენ დამოკიდებულნი. ამერიკაში ელექტრონული ზედამხედველობის პროგრამის განხორციელების შეწყვეტის რაოდენობა 4.5%-30%-მდე მერყეობდა. შეწყვეტის მიზეზები იყო არა დანაშაულის ჩადენა, არამედ ტექნიკური ხარვეზები. ყველაზე კრიტიკული იყო 6-8 თვემდე. ამ პერიოდში გამოვლინდა მსჯავრდებულების „სანყისი შოკი“ ელექტრონული კონტროლის მიმართ და ოჯახური პრობლემები. ზოგიერთი არასრულწლოვანი კი არ აღიქვამდა ელექტრონულ

18 Handbook of Basic Principles and Promising Practices on Alternatives to Imprisonment, Criminal Justice Handbook Series, United Nations, New York, 2007, 39, იხ. [https://www.unodc.org/pdf/criminal\\_justice/Handbook\\_of\\_Basic\\_Principles\\_and\\_Promising\\_Practices\\_on\\_Alternatives\\_to\\_Imprisonment.pdf](https://www.unodc.org/pdf/criminal_justice/Handbook_of_Basic_Principles_and_Promising_Practices_on_Alternatives_to_Imprisonment.pdf) [30.01.2018]

19 Junger-Tas J, Alternatives to Prison Sentences Experiences and Developments, Amsterdam/New York, 1994, 31. [https://english.wodc.nl/binaries/ov-1994-01-full-text\\_tcm29-77924.pdf](https://english.wodc.nl/binaries/ov-1994-01-full-text_tcm29-77924.pdf) [30.01.2018]

20 Illert H., Aspekte einer Implementierung des Elektronisch überwachten Hausarrests in das Deutsche Recht, Band 1, Güttingen, 2005, gv. 147.



ზედამხედველობას, როგორც სასჯელს და ნაკლები სერიოზულობით ეკიდებოდა მას.<sup>21</sup>

საქართველოში ელექტრონული მონიტორინგი ხორციელდება ელექტრონული სამაჯურის მეშვეობით. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №178 ბრძანების მეორე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ელექტრონული აპარატურა შედგება გადამცემისა და მიმღებისაგან. როგორც წესი, ელექტრონული სამაჯური მაგრდება ქვედა კიდურზე, (თუ მისი დამაგრება ვერ ხერხება ქვედა კიდურზე ის მაგრდება ზედა კიდურზე), ისე რომ დაზიანების გარეშე შეუძლებელია მისი მოხსნა. ის მუდმივად მიმაგრებული უნდა იყოს მსჯავრებულის საცხოვრებელ ადგილას დენის წყაროსთან.

მიმღებ და გადამცემ ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებაზე ნებისმიერი ზემოქმედება აგრეთვე მსჯავრდებულ მიერ პერიმეტრის დატოვება შეტყობინების სახით აისახება ელექტრონული ზედამხედველობის სისტემაში (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №178 ბრძანების მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი). პრობაციის ინსტრუქტორი ვალდებულია გააცნოს არასრულწლოვანს და მის კანონიერ წარმომადგენელს ელექტრონული აპარატურის გამოყენების ინსტრუქცია (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 31 დეკემბრის №178 ბრძანების მე-3 მუხლის მე-3 ნაწილი).

დადგინდა რომ ელექტრონული სამაჯური ნაკლოვანებებით ხასიათდება. „მრავალსართულიან სახლებში მათი ცდომილება დიდია. პერიოდულად ასევე შესაძლებელია ცდომილება ადგილსამყოფელის განსაზღვრისას. ელექტრონული სამაჯურების მატარებლები უჩივიან ტკივილებს ფეხის არეში. გარდა ამისა, პრაქტიკაში დადგინდა რომ ელექტრონული სამაჯურის ფეხიდან მოცილებაც შესაძლებელია და ამისი მაგალითებიც არსებობს.

21 იქვე 148-150.

შესაბამისად, ელექტრონული სამაჯური რეციდივის ფაქტს ვერ აგვაცილებს და პრევენციისთვის ნაკლებად გამოდგება.<sup>22</sup> ასევე, შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა სახის მანიპულაცია ელექტრონულ სამაჯურზე, რითაც გართულდება არასრულწლოვნის ადგილსამყოფელის დადგენა. მაგალითად, უბრალო ფოლგის ქაღალდის გამოყენებით.<sup>23</sup> შესაბამისად, ელექტრონულ კონტროლთან ერთად საჭიროა პრობაციის ოფიცრის მიერ განხორციელებული ზედამხედველობა.<sup>24</sup>

არასრულწლოვანი მსჯავრდებულის შემთხვევაში ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებისთვის ხარჯებს გასცემს სახელმწიფო. რაც ვფიქრობ, სწორი მიდგომაა. გასათვალისწინებელია ცვლილება, რომელიც შევიდა საქართველოს კანონში არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ და 2018 წლის 1 იანვარს ამოქმედდა. ცვლილების მიხედვით: შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულების შემთხვევაში შეიძლება დაწესდეს საფასური. შინაპატიმრობის ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებით აღსრულებისათვის დაწესებული საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება მსჯავრდებული, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საარსებო შემწეობის მისაღებად საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულას არ აღემატება<sup>25</sup> და ასევე არასრულწლოვანი მსჯავრდებული.<sup>26</sup>

22 სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ. ნ. თოდუა, თბილისი, 2016, გვ.712-713.

23 მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., „შენიშვნები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსზე“, „სამართალი და მსოფლიო“, №2, თბილისი, 2015, გვ.61.

24 ხერხეულიძე ი., *პრობაციის ინსტიტუტი-არასრულწლოვან დამნაშავეთა რეინტეგრაციის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი (საქართველოსა და აშშ-ის სისხლისსამართლებრივი მიდგომის შედარებითი ანალიზი)*, მზია ლეკვეიშვილი 85 – საიუბილეო კრებული, რედ. მ. ივანიძე, თბილისი, 2014, გვ.199.

25 საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მუხლი 448, 11-12 ნაწილი

26 <http://fortuna.ge/shinapatimroba-fasiani-khdeba-cvlileba-dzalashi-wels-sheva/>, [30.01.2018]

როგორც ნესი, არასრულწლოვანს, რომელიც დანაშაულს ჩადის არ აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი. შესაბამისად, ელექტრონული ზედამხედველობის საფასურის გადახდა, იმ შემთხვევაში თუ კანონში ცვლილება არასრულწლოვანებსაც შეეხებოდათ, დაეკისრებოდა არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს. ეს კი ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის უხეში დარღვევა იქნებოდა. არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს ვსჯით იმ დანაშაულისთვის, რაც მას არ ჩაუდენია. შესაბამისად, კარგია რომ ამ ცვლილების ძალაში შესვლა არასრულწლოვანი პირების მიმართ არ იგეგმება.

77-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვნის მიერ არასაპატიმრო სასჯელის, პირობითი მსჯავრის ან დაკისრებული მოვალეობის შესრულებისთვის თავის არიდების შემთხვევაში მოსამართლე პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარდგინებისა და შესაბამისი მასალების განხილვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას მათი უცვლელად დატოვების ან შეცვლის თაობაზე. შესაბამისად, მსჯავრდებულის მხრიდან შინაპატიმრობისთვის თავის არიდების შემთხვევაში მოსამართლეს შეუძლია შეუცვალოს არასრულწლოვანს შინაპატიმრობა სხვა სასჯელით.

ამასთანავე, კანონი ითვალისწინებს რომ ელექტრონული ზედამხედველობისას მსჯავრდებულის მიერ ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების დაკარგვის ან მსჯავრდებულის ბრალეული ქმედებით ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების დაზიანების შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მის კანონიერ წარმომადგენელს.<sup>27</sup>

### **3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზნების ურთიერთმიმართება შინაპატიმრობასთან**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში გათვალისწინებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის

<sup>27</sup> საქართველოს კანონი არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ, მუხლი 448, ნაწილი 7.

მიზნები. სწორედ ამ მიზნების შესაბამისად უნდა მოხდეს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზნები შეესაბამება საერთაშორისო კონვენციებით დადგენილ პრინციპებს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პირველივე მუხლში ჩამოყალიბებულია მისი მიზნები: „ამ კოდექსის მიზანია მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის მეორეული ვიქტიმიზაციისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.“ მოცემული მიზნებიდან განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს შინაპატიმრობისა და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, შინაპატიმრობისა და არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ურთიერთმიმართების განსაზღვრა.

### **3.1. არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის ურთიერთმიმართება შინაპატიმრობასთან**

არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილში განმარტებულია, როგორც „არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება.“

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა არის როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიზანი, ასევე პრინციპი. იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია რომ სისხლის სამართალი სხვა პრინციპებთან მიმართებით და უფრო მეტიც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის სხვა პრინციპებთანაც შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებს. სხვა პრინციპი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მხოლოდ მაშინ უნდა გამოვიყენოთ, თუ იგი არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს. იგი უფრო დაკონკრეტებულია ბავშვის უფლებათა კომიტეტის №10 ზოგად კომენტარში: „მაგალითისთვის, ბავშვის ყველაზე საუკეთესო ინტერესების დაცვა ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორცაა დამნაშავეის დასჯა, დანაშაულის ჩამდენი ბავშვებისთვის უნდა შეიცვალოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების მიზნებით. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე ყურადღების გამახვილების პარალელურად.“<sup>28</sup>

არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესები დაცულია ბავშვთა უფლებების კონვენციით, რაც გულისხმობს „ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი-სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები-უპირველეს ყოვლისა ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.“<sup>29</sup>

როგორც ვხედავთ, სასჯელი რომ შეესაბამებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს უნდა შეუწყოს ხელი განვითარებაში, განათლების მიღებაში და ა.შ. რამდენად განხორ-

28 ვარძელაშვილი ი., არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობის, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპის მნიშვნელობა სასამართლო პრაქტიკაში, - სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, თბილისი, 2017, გვ.72.

29 ბავშვთა უფლებათა კონვენცია, მუხლი 3.

ციელებადია ეს შინაპატიმრობის დანიშვნის შემთხვევაში?!

ელექტრონული მონიტორინგის პირობებში მსჯავრდებულის ფეხზე ან ხელზე უკეთია ელექტრონული მონყობილობა, ეს კი იძლევა იმის შესაძლებლობას რომ იგი იდენტიფიცირებული იქნეს როგორც სამართალდამრღვევი, რაც ზრდის მისი სტიგმატიზაციის რისკს. მსჯავრდებულის სტიგმატიზაცია კი ზღუდავს მის კონსტიტუციის მე-16 მუხლით გარანტირებულ პიროვნების განვითარების შესაძლებლობას.<sup>30</sup> საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება მოიცავს ზოგად პიროვნულ და საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებას და ამით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების აბსოლუტურ დაცვას.<sup>31</sup> ადამიანის ზოგადი პიროვნული უფლება კი მოიცავს სამ უფლებას: თვითგამორკვევის, პირადი ცხოვრებისა და თვითგამოსახვის უფლებებს.<sup>32</sup> თითოეული ეს უფლება კიდევ იშლება ცალკეულ უფლებებად. პირადი ცხოვრების უფლება გულისხმობს რომ „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავად განსაზღვროს პირადი ცხოვრების გარე სამყაროსთან ურთიერთობის ფარგლები“<sup>33</sup> აღსანიშნავია რომ უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 5 ივლისის №ბს-1278-1210(კ-08) განჩინებაში სასამართლომ პირადი მონაცემების შემცველი ინფორმაცია დაყო ორ ნაწილად: განსაკუთრებით მგრძნობიარე და ჩვეულებრივ პერსონალურ მონაცემებად. განსაკუთრებულ მგრძნობიარე პერსონალურ მონაცემად სასამართლო მიიჩნევს ინფორმაციას, რომელიც უკავშირდება ნასამართლეობის საკითხს, ხოლო ჩვეულებრივ პერსონალურ მონაცემად მიიჩნევს სამხედრო სამსახურში გადავადების შესახებ პრეზიდენტის ბრძანებას.

ამასთანავე, საერთაშორისო რეკომენდაციებით, მოსამართლეებს ვეალებათ არ დაუშვან მასობრივი მედიის თანდასწრე-

30 შალიკაშვილი მ., მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, თბილისი, 2016, გვ.137.

31 კუბლაშვილი კ., ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, თბილისი, 2017, გვ.87.

32 იქვე 95.

33 იქვე 99.

---

ბით იმ საქმეების განხილვა, რომლებიც არასრულწლოვნებს შეეხებათ.<sup>34</sup>

თუმცა, ამ ყველაფერს შინაპატიმრობისას აზრი ეკარგება, რადგან ინფორმაცია იმის შესახებ რომ პირი მსჯავრდებული ადვილად ხილვადია. შინაპატიმრობის ელექტრონულად აღსრულებისას სწორედ პირის მგრძობიარე პერსონალური მონაცემი, მისი ნასამართლობა, გარშემომყოფთათვის ნათელი ხდება. ამან შეიძლება გამოიწვიოს სოციალური კლასებისგან, თანატოლებისგან მისი გარიყვა და დაჩაგვრა. ის ამის გამო შეიძლება მოერიდოს სოციალურ კონტაქტებს, ჩაიკეტოს საკუთარ თავში. სკოლაში სიარულს მოერიდოს. მოხდეს მისი გარიყვა საზოგადოებისგან. როგორც უკვე აღინიშნა, ხდება ამ პირის სტიგმატიზაცია, საზოგადოება მას არქმევს “სამართალდამრღვევს”, პირმა შეიძლება ამ სახელის მოშორება მთელი ცხოვრების განმავლობაშიც კი ვერ მოახერხოს და იცხოვროს ამ სტიგმით. ეს უარყოფით გავლენას იქონიებს არასრულწლოვნის პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

ფორმალურად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში მოცემული ფორმულირების მიხედვით არასრულწლოვანს შინაპატიმრობისას უნარჩუნდება ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების, განათლების მიღების უფლება, მაგრამ საინტერესოა რეალურად რამდენად დაასაქმებს დამსაქმებელი პირს, რომელსაც ელექტრონული სამაჯური უკეთია. დამსაქმებლების უმრავლესობა მსჯავრდებულის დასაქმებას თავს აარიდებს სხვადასხვა მიზეზით. ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ის რომ დამსაქმებელს არ ექნება ნდობა ამ პირისა და მისი კეთილსინდისიერებისადმი. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში დასაქმება არც ისე მარტივია და დამსაქმებელი დიდი ალბათობით არჩევანს გააკეთებს სხვა პირის სასარგებლოდ, ვიდრე მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

---

34 Рабец А. М., Ювенальное право Российской Федерации, Москва, 2015, 170.

ასე რომ, შინაპატიმრობა გარკვეულ კოლიზიაში მოდის არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვასთან.

### **3.2. არასრულწლოვნის რესოციალიზაცია- რეაბილიტაციის განხორციელება მისთვის შინაპატიმრობის დანიშნისას**

არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია. ასევე, ის არასრულწლოვანთა სასჯელის მიზანიც არის და არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდანაც გამომდინარეობს.

რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია გულისხმობს „არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, არასრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობას და მისი მომზადება საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად.“<sup>35</sup>

არასრულწლოვანი სისხლის სამართლის განსაკუთრებული სუბიექტია. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი მოქმედება კანონმდებლისა და სასამართლოს მხრიდან განსაკუთრებულ დაკვირვებას საჭიროებს, რამდენადაც „არასრულწლოვნის სოციალიზაციის პროცესი არაა დასრულებული. არასრულწლოვანს არა აქვს მკაფიოდ განსაზღვრული როლი საზოგადოებაში, საბოლოოდ არ აქვს ჩამოყალიბებული წარმოდგენა რა არის სწორი და რა არასწორი.“<sup>36</sup> ამიტომ „მოსამართლის მიერ შერჩეული უნდა იყოს სას-

35 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მე-3 მუხლი, მე-18 ნაწილი.

36 გიორგაძე ა., „არასრულწლოვანთა სასჯელის მიზანი (რა მიზანს ემსახურება სასჯელი?), არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდევლობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიების შეფარდების პრობლემები, თბილისი, 2011, გვ. 80.



ჯელის ისეთი ზომა, რომელიც არასრულწლოვნის რესოციალიზაციას უზრუნველყოფს. სასჯელის ზომა უნდა იყოს ორიენტირებული აღზრდის მიღწევაზე“.<sup>37</sup>

იმისათვის რომ შინაპატიმრობის შედეგად მიღწეული იქნას პირის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანი, საჭიროა ელექტრონული ბორკილის მატარებელთა სხვადასხვა სოციალურ ღონისძიებაში ჩართვა, დასაქმება, სოციალური ტრენინგის კურსები და სხვა.<sup>38</sup> რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის მიზანი არასრულწლოვანი შინაპატიმრების მიმართ მხოლოდ მაშინ განხორციელდება, თუ შინაპატიმრობის პარალელურად არასრულწლოვნის მიმართ ასეთ ღონისძიებები გატარდება. ფსიქოლოგის ჩართვა ამ დროს აუცილებელია, რათა არასრულწლოვანმა დაძლიოს ის სტიგმა, რომელიც მის მიმართ ელექტრონული სამაჯურის ტარების გამო არსებობს და მოხდეს მისი საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბება.

#### 4. სასამართლო პრაქტიკა

განვიხილოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 22 მარტის განაჩენი,<sup>39</sup> 2016 წლის 22 მარტს დახურულ სასამართლო სხდომაზე განხილული იქნა არასრულწლოვნის საქმე, რომელსაც წარდგენილი ჰქონდა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ქურდობა) და ამავე კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით ძარცვა. კერძოდ, არასრულწლოვანი ქ.თბილისში დავით აღმაშენებლის გამზირზე მდებარე მაღაზიაში „ახალი სტილი“ ფარულად დაეუფლა 45 ლარად ღირებულ მამაკაცის მაისურს. რაც შეეხება მეორე ეპიზოდს, სასურსათო მაღაზიაში იგი აშკარად დაეუფლა

37 ვარძელაშვილი ი., სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ. 262.

38 სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში, რედ. ნ. თოდუა, თბილისი, 2016, გვ. 711.

39 თბილისის საქალაქო სასამართლოს 22 მარტის 2016 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №1/571-16.

4.90 თეთრად ღირებულ 2 ბოთლ ლუდს, ბრალდებულმა წარდგენილ ბრალდებებში თავი სრულად ცნო დამნაშავედ, რაც მხარეთა მიერ არ გახდა სადავო და გამოკვლევის გარეშე იქნა მიღებული მტკიცებულებად.

სასამართლომ კონკრეტულ შემთხვევაში პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად სწორედ ის ფაქტი მიიჩნია, რომ პირი აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება მას არ გააჩნია; მოსამართლე გადაწყვეტილებების დასაბუთებისას იშველიებს საერთაშორისო კონვენციებს, კერძოდ: ბავშვთა უფლებების კონვენციის მე-3 მუხლს, ამავე კონვენციის მე-14 მუხლს. ხაზს უსვამს იმ გარემოებას რომ უპირატესი ყურადღება უნდა მიენიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესს, თუმცა შენიშვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ რჩება შთაბეჭდილება თითქოს საერთაშორისო კონვენციები მოხსენიებულია ფორმალურად და ნაკლებია მსჯელობა მოცემული შემთხვევის კონკრეტულ გარემოებებზე. სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს გაითვალისწინა ის გარემოება რომ საქართველოს სისხლის სამართლის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების შეზღუდვას ერთიდან სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას იმავე ვადით, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ჩადენის შემთხვევაში სასჯელის სახეებად გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების შეზღუდვა ვადით ორიდან სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთა ვადით სამიდან 5 წლამდე. ამასთან, მოცემული დანაშაულები მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

სასამართლომ გამოიკვლია რომ კონკრეტულ შემთხვევაში არასრულწლოვანი ბრალდებული არ იყო შემოსავლის მქონე პირი, რაც ჯარიმის დანიშვნის შესაძლებლობას არ იძლეოდა. რაც შეეხება ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებულ სასჯელის კიდევ ერთ სახეს-თავისუფლების შეზღუდვას, არასრულწლოვანთათვის მსგავსი ტიპის სასჯელის მოხდის დაწესე-

ბულება განაჩენის გამოტანის დროისთვის არ არსებობდა. ამდენად, არასრულწლოვნის მიმართ წარდგენილ ბრალდების ორივე ეპიზოდში სასჯელის სახედ განსაზღვრულ იქნა შინაპატიმრობა ექვსი(6) თვის ვადით. შთანთქმის პრინციპის შედეგად (59-ე მუხლის მეორე ნაწილი) არასრულწლოვანს საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა შინაპატიმრობა ექვსი (6) თვის ვადით, საცხოვრებელ ადგილას ყოფნა დაეკისრა 23:00-დან 7:00 საათამდე.

მოცემულ განაჩენში არ ჩანს შესწავლილია თუ არა ბავშვის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში და მოსამართლე რამდენად ითვალისწინებს მას. კერძოდ, არასრულწლოვნის ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახის ვითარებას და სხვა გარემოებებს, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებები შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.<sup>40</sup>

საინტერესოა, კონკრეტულ შემთხვევაში რამდენად ჰქონდა ბავშვს ისეთი ოჯახური ვითარება რომ მისთვის მიზანშეწონილი ყოფილიყო შინაპატიმრობის დანიშვნა.

მოცემულ საქმეში მოსამართლეს უკეთ უნდა დაესაბუთებინა შინაპატიმრობის დანიშვნის მიზანშეწონილობა. რჩება ისეთი შთაბეჭდილება თითქოს მას სხვა გზა არ ჰქონდა და სწორედ ამიტომ დანიშნა შინაპატიმრობა, ვგულისხმობ, მსჯელობას იმის თაობაზე რომ კონკრეტულ შემთხვევაში შეუძლებელი იყო ჯარიმის ან თავისუფლების შეზღუდვის დანიშვნა და სწორედ ამიტომ შეირჩა შინაპატიმრობა, ხოლო დასაბუთება იმისა, რომ ეს სასჯელი ადეკვატური, თანაზომიერი და პროპორციული იყო ჩადენილი დანაშაულისა, სახეზე არ გვაქვს.

საინტერესოა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016

40 მახარობლიძე თ., *ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში*, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, №1, თბილისი, 2017, გვ.79.

წლის 23 მარტის გადაწყვეტილება.<sup>41</sup> აღსანიშნავია რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 30 დეკემბრის განაჩენით, ზ.ყ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

ბრალდების თანახმად, 2014 წლის 14 ოქტომბერს, არასრულწლოვანი მეტალის საგნის გამოყენებით სწრაფი ჩარიცხვის აპარატიდან, ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა ფულად თანხას 3 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ 2015 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნა რომ ქმედება, რომლის განხორციელებაც ბრალად ედება არასრულწლოვან ბრალდებულს, ფორმალურად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს და ის სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას წარმოადგენს. ამასთან, მხოლოდ ფორმალური შესაბამისობა არ არის საკმარისი, თუ რა ინვესს ზოგადად დანაშაულისთვის დამახასიათებელ ზიანს. სასამართლომ მიიჩნია რომ მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქმედება მცირემნიშვნელოვანია, რადგან მას არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რაც აუცილებელს გახდიდა არასრულწლოვნის პასუხისმგებლობას და არასრულწლოვანი გაამართლა.

სააპელაციო სასამართლომ კი გააუქმა აღნიშნული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ზიანის მიხედვით ქმედების კრიმინალიზება მიბმულია ქმედების ხასიათზე. ბუნებრივია, შესაძლებელია უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი ერთ თეთრს არ აჭარბებდეს, თუმცა იგი მაინც არ ჩაითვალოს მცირე მნიშვნელობის ზიანად. ამ თვალსაზრისით ყურადღება სწორედ ქმედების ხასიათსა და მასში გამოხატულ მართლსაწინააღმდეგო ნებას უნდა მიექცეს და

41 თბილისის სააპელაციო სასამართლო მარტის გადაწყვეტილება საქმეზე №1/ბ-165-16.

არა მხოლოდ ზიანის მათემატიკურ გამოსახულებას. სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ მართალია, დაუფლებული თანხის ოდენობა შეადგენდა 3 ლარს, თუმცა სუბიექტურად განზრახვა არ იყო მიმართული 3 ლარის დაუფლებისკენ. ზ.ყ.-მ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა თუ რა თანხის ჩარიხვას მოახდენდნენ მოქალაქეები აპარატით. მას ამოძრავებდა სხვისი ნივთის და არა კონკრეტულად 3 ლარის დაუფლების მართლსაწინააღმდეგო განზრახვა. პალატა ყურადღებას ამახვილებს თავად ბრალდებულის მიერ დასახელებულ ფაქტებზე. მან დაინახა ახალგაზრდა მამაკაცი მისკენ წამოვიდა. შეშინდა, ქალაქის იქვე ქრილში ჩაჭედა რკინის ჩხირით რომ არსებული მონეტები არ ჩამოვარდნილიყო და ახალგაზრდა მამაკაცი არ მიმხვდარიყო რას აკეთებდა. ასევე, პალატა ყურადღებას ამახვილებს დანაშაულის საშუალებაზე და ხერხზე-ქალაქი და რკინის წვრილი ჩხირი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ გადაწყვიტა გაუქმდეს 2015 წლის გამამართლებელი განაჩენი და მის ნაცვლად დადგეს გამამტყუნებელი განაჩენი. სააპელაციო სასამართლო თავის განაჩენში უთითებს ბავშვთა უფლებების კონვენციაზე და მის მიერ გათვალისწინებულ არასრულწლოვნის ქეშმარიტ ინტერესებზე, ასევე პეკინურ წესებზე, არასრულწლოვნის სასჯელის მიზნებზე-რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია-სა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებაზე და ამბობს რომ „აღნიშნული გარემოებები იძლევა საფუძველს სასამართლომ გამოიყენოს სასჯელის ერთ-ერთი მსუბუქი ფორმა“. მოცემულ შემთხვევაში ჯარიმას ვერ უფარდებს, რადგან მას დამოუკიდებელი შემოსავალი არ გააჩნია. პალატამ მიიჩნია, რომ 69-ე მუხლით გათვალისწინებული შინაპატიმრობის დანიშვნა ბრალდებულისთვის ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია-სა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

ამასთან, სააპელაციო პალატა აღნიშნავს რომ მან გაითვალისწინა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი, მისი ინდივიდუალური შეფასების ანგარიში და მიუთითებს გადაწყვეტილებაში რომ დანაშაულის ჩადენის დროს არასრულწლოვანი იყო 16 წლის,

ცხოვრობდა დედასთან ერთად, ნაქირავებ ბინაში. ამასთან დედა მუშაობს სხვა ქალაქში და მათ ყოველდღიური ურთიერთობა არ გააჩნიათ. სასამართლო თვითონვე ეწინააღმდეგება ამ ცნობების აღნიშვნით თავის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. არასრულწლოვანს სახლი აქვს ნაქირავები, შესაბამისად, მას არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რაც აუცილებელი პირობაა ამ სასჯელის დანიშვნისთვის.

შინაპატიმრობაზე, როგორც სასჯელის სახეზე დაკვირვებამ აშშ-ში აჩვენა, რომ მის მოხდასთან დაკავშირებით ფსიქიკური პრობლემები წარმოიშობოდა მაშინ, როდესაც არასრულწლოვანი 24 საათს სახლში მარტო ატარებდა. მონყენილობის გამო არასრულწლოვანს ქცევითი პრობლემები უჩნდება მაშინ თუ ზრდასრული პირი ამ დროს მასზე არ ზრუნავს.<sup>42</sup> ვინაიდან მსჯავრდებულის დედა სხვა ქალაქში მუშაობდა, სავარაუდოა, რომ მას დიდი პერიოდის განმავლობაში მოუწევდა მარტო ყოფნა, რასაც შესაძლოა დართოდა ფსიქიკური პრობლემები და ქცევის გაუარესება.

ამასთანავე, არასრულწლოვანზე ზემოქმედების ფორმა ყოველთვის უნდა იყოს არა მარტო სამართალდარღვევის სიმძიმისა და გარემოებების პროპორციული, არამედ როგორც არასრულწლოვნის მდგომარეობისა და მოთხოვნების, ისე საზოგადოების მოთხოვნების პროპორციული.<sup>43</sup> აღნიშნულ შემთხვევაში დანიშნული სასჯელი არ არის არასრულწლოვნის მდგომარეობის პროპორციული.

42 მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., *შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში-ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება*, სისხლის-სამართლის აქტუალური საკითხები, № 1, თბილისი, 2017, გვ.67

43 გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვნის მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“) მუხლი 17.1 ,ა.

## დასკვნა

შინაპატიმრობა, როგორც არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის სახე მეცნიერების ნაწილისგან მკაცრ კრიტიკას იმსახურებს. ნაწილი ამართლებს სასჯელის ამ სახის არსებობას, ზოგი კი მიიჩნევს რომ შინაპატიმრობა, როგორც სასჯელის სახე, უნდა არსებობდეს საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში და მასში გარკვეული ცვლილებების შეტანა საჭირო, მაგალითად, სასჯელის ეს სახე გამოყენებული უნდა იყოს არასრულწლოვნის მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლებისას ან უცილობელი წინასწარი პატიმრობის დროს.<sup>44</sup>

ხშირად, შინაპატიმრობის მომხრეები იმაზე აპელირებენ, რომ თავისუფლების აღკვეთასთან შედარებით, სასჯელის ეს ფორმა უფრო მეტ შანსს აძლევს არასრულწლოვანს განვითარებისთვის, რომ შინაპატიმრობის განხილვა იმ კონტექსტში რომ ის უკეთესია თავისუფლების აღკვეთასთან შედარებით, არასწორია.

შინაპატიმრობა სასჯელის დამოუკიდებელ სახეს წარმოადგენს. მასზე მსჯელობისას საინტერესოა ის გარემოება, თუ რამდენად მიზანშეწონილია ეს სასჯელი არასრულწლოვნისთვის, მისი საუკეთესო ინტერესების დაცვისათვის, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისთვის და ა.შ. თუ ამ ყოველივეს განხორციელება შინაპატიმრობის დანიშვნისას ვერ ხერხდება, მაშინ მხოლოდ ის ფაქტი, რომ ის უფრო მეტად ჰუმანურია, ვიდრე თავისუფლების აღკვეთა და ის სახელმწიფოს უფრო იაფი უჯდება, ალბათ სუსტი არგუმენტებია.

მოცემული ნაშრომიდანაც იკვეთება რომ შინაპატიმრობა აღსრულებისას, ხშირ შემთხვევაში ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას. ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში მოსამართლემ უნდა შეაფასოს კონკრეტული

44 მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., *შინაპატიმრობა, როგორც თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში-ისტორიული, სამართლებრივი ასპექტები და დანიშვნის თავისებურება*, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, №1, თბილისი, 2017, გვ.70.


გარემოებების გათვალისწინებით, რამდენად მიზანშეწონილი იქნება შინაპატიმრობის დანიშვნა და რა ეფექტს მოახდენს იგი არასრულწლოვანზე, ასევე შინაპატიმრობის საათები უნდა იყოს სწორად განსაზღვრული.

ერთი რამ ცხადია, არასრულწლოვნის მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული ყოველი საკითხი მისი საუკეთესო ინტერესიდან უნდა გამომდინარეობდეს.



**დაიკავდა:**

გამომცემლობა „მერიდიანი“,  
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.

 239-15-22

E-mail: [meridiani777@gmail.com](mailto:meridiani777@gmail.com)

ISSN 2587-4977



9 772587 497009